

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მერი დაუშვილი

საბაჟო სტატისტიკის ინსტიტუციური რეფორმირება საქართველოში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე

თბილისი

2017

შინაარსი

შესავალი.....	3
თავი I. საბაჟო სტატისტიკის ინსტიტუციური მოწყობის ეტაპები და სტატისტიკის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე.....	10
1.1. საბაჟო სტატისტიკის განვითარებისა და საბაჟო კანონმდებლობის ცვლილების ეტაპები საქართველოში	10
1.2. საბაჟო სასაქონლო ოპერაციების ზოგადი მიმოხილვა	44
1.3. საბაჟო სტატისტიკის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები და სტატისტიკის ამოცანები	61
თავი II. საბაჟო სტატისტიკის პრობლემები და აღრიცხვის სრულყოფის საკითხები ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფონზე.....	69
2.1. საბაჟო მოვლენების სტატისტიკური აღრიცხვის თავისებურებები.....	69
2.2. საბაჟო სტატისტიკის მეთოდოლოგიური სრულყოფის საკითხები.....	85
2.3. საინდექსო მეთოდის გამოყენების სპეციფიკა საბაჟო სტატისტიკაში.....	95
თავი III. საბაჟო შემოსავლების ეკონომიურ-სტატისტიკური ანალიზი.....	107
3.1. საბაჟო შემოსავლების რეგიონული სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი..	107
3.2. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური ანალიზი	127
3.3. სპეციალური საბაჟო სტატისტიკა საქართველოში.....	160
დასკვნა	170
დანართები.....	183
გამოყენებული ლიტერატურა:.....	188

შესავალი

თემის აქტუალობა

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმება საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარების პროცესში, სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობასთან ერთად, საბაჟო სისტემის ევროკავშირის სისტემასთან პრინციპულ მიახლოებასაც გულისხმობს. ეს, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს საბაჟო სისტემის ევროკავშირის მოდელთან დაახლოებას, საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის მსგავსი საბაჟო რეგულირების გარემოს შექმნას; კერძო სექტორის ნებაყოფლობითი კანონმორჩილების მაღალი სტანდარტების შემოღებას, საბაჟო კონტროლის ეფექტურობის ამაღლებას, საბაჟო ადმინისტრირების სისტემის მოდერნიზაციას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და მის სათანადოდ აღჭურვას; თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. შედეგად შეიქმნება ევროპული დონის ეროვნული ინფრასტრუქტურული სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას, ეკონომიკური რეფორმების პროცესის განვითარებასა და ქმედითი, ფუნქციონირებადი და ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

ცხადია, მსოფლიოში გლობალიზაციის ფონზე მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები დიდ გავლენას ახდენს ოფიციალურ სტატისტიკაზე. რადგან ყველა სტატისტიკური მონაცემი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო დონესა და საერთაშორისო სტანდარტებს, ამიტომ სტატისტიკის ამოცანები სცილდება ეროვნული მოთხოვნილებების საზღვრებს. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით სტატისტიკური სისტემები, ფაქტობრივად, ინტეგრირებული სუბიექტების ეკონომიკის მართვის აუცილებელი წინაპირობა ხდება.

საბაჟო სტატისტიკა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო ქვეყნის საბაჟო სამსახურის, არამედ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ინფორმაციულ უზრუნველყოფას საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო ორგანოების საქმიანობის შესახებ. ამის შესაბამისად, საბაჟო სტატისტიკა, როგორც სტატისტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, შეისწავლის არა მარტო საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენების რაოდენობრივ მხარეს, არამედ საბაჟო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებას, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო გადასახადების აღრიცხვასა და ანალიზთან, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლასა

და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევასთან. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბაჟო სტატისტიკა შედგება ორი ნაწილისაგან: საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკისა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკისაგან. საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა შეისწავლის ექსპორტის, იმპორტისა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის სტატისტიკას. ისინი ასახავენ ნატურალურ და ღირებულებით გამოსახულებაში საქონლის მოძრაობას სასაქონლო ჯგუფების, საბაჟო პროცედურებისა და სხვა ნიშნების მიხედვით. ხოლო სპეციალური საბაჟო სტატისტიკა მოიცავს დეკლარირების სტატისტიკას, საბაჟო გადასახადების სტატისტიკას, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებს, კონტრაბანდის, კონფისკაციის, საერთაშორისო გადაზიდვების, საერთაშორისო საფოსტო გზავნილების სტატისტიკასა და სხვ.

საბაჟო სტატისტიკის ბაზის ფორმირებისათვის ამოსავალს წარმოადგენს სასაქონლო დეკლარაციებში ასახული მონაცემები და ის სხვა დოკუმენტაციები, რომლებიც წარედგინება საბაჟო ორგანოებს.

საბაჟო სტატისტიკის წარმოების ძირითად ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტს მიეკუთვნება საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგია. მისი შესაბამისი მეთოდოლოგიური კონცეფციები, პრინციპები, წესები და კრიტერიუმები თავმოყრილია საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სახელმძღვანელოებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უახლეს რეკომენდაციებში.

რადგან საბაჟო პოლიტიკა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სწორი საბაჟო პოლიტიკა. მისი სწორად წარმართვა და შედეგად ადეკვატური საქმიანობა მიმართულია ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების საბაჟო რეგულირებისა და კონტროლის ინსტიტუტების ეფექტური გამოყენებისკენ, ასევე შიდა ბაზრის დაცვისა და ეკონომიკის განვითარების სტიმულირების სავაჭრო-პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციისკენ.

სწორედ აქ დგება უტყუარი, საიმედო, ობიექტური სტატისტიკური ინფორმაციის აუცილებლობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას აწარმოებს გაეროს საერთაშორისო მეთოდოლოგიის შესაბამისად, საბაჟო სტატისტიკის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის ფონზე

თვალსაჩინო ხდება საბაჟოზე სტატისტიკური აღრიცხვის ის ძირითადი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც დღეს აუცილებელია.

ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბაჟო სტატისტიკის სწორ წარმოებას. ეს უკანასკნელი თავისთავად დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაზე, რომელიც დიდ როლს თამაშობს ქვეყნის სწორი და ეფექტური საგარეო-ეკონომიკური და, მათ შორის, საბაჟო პოლიტიკის შემუშავების საკითხებში. კერძოდ, საგარეო სავაჭრო ბალანსის სალდოს მონაცემებზე დამოკიდებულია ქვეყნის მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა და, პირიქით. ამასთან, სავალუტო რეზერვების ოდენობა გარკვეულ პროპორციაში უნდა იყოს იმპორტის მოცულობასთან, რათა შენარჩუნდეს ეფექტური მონეტარული პოლიტიკა.¹ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა წარმოადგენს, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას. ის მიღწეულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული სატარიფო პოლიტიკის და, ასევე, ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმის საფუძველზე.

ამჟამად, როდესაც საქართველოს საგარეო ინტერესებში მოწინავე ევროპული ფასეულობებისა და გამოცდილების გაზიარება და ევროკავშირში გაწევრიანება შედის, განსაკუთრებით აქტუალურია ეროვნული სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თუმცა დღეს, საქართველოს ევროპასთან მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციის ფონზე, თვალსაჩინო ხდება საბაჟო სფეროში სტატისტიკური აღრიცხვის ძირითადი პრობლემები, რომელთა დაძლევა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია საბაჟო სტატისტიკის ინსტიტუციური რეფორმირების ფონზე საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკისა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკის მეთოდური და მეთოდოლოგიური სრულყოფა. აღნიშნული მიზნის მიღწევა გულისხმობს:

- საბაჟო სტატისტიკის ორგანიზაციის პრინციპების განსაზღვრას;

¹ ურიდია გ., რუხაია ფ., საბაჟო საქმის თეორია. თბ., 2009 გვ. 15.

- საბაჟოზე საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის ძირითადი მეთოდების დახასიათებას;
- საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოების პრობლემების გამოკვეთასა და გამომწვევი მიზეზების დადგენას;
- სპეციალური საბაჟო სტატისტიკის ანალიზს;
- საბაჟო სტატისტიკის სრულყოფის მეთოდოლოგიური საკითხების გამოვლენას ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფონზე;
- საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურისა და გეოგრაფიული მიმართულებების განსაზღვრას;
- საბაჟო შემოსავლების მოცულობისა და სტრუქტურის სტატისტიკურ ანალიზს;
- საინდექსო მეთოდის გამოყენების სპეციფიკის გამოვლენას საბაჟო სტატისტიკაში;
- საბაჟო შემოსავლების რეგიონული სტრუქტურის სტატისტიკურ ანალიზს.
სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:
- საბაჟო სტატისტიკის განვითარების ეტაპების დახასიათება ინსტიტუციური რეფორმირების ფონზე;
- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის შეუსაბამობების გამოვლენა საქართველოს საგადასახადო კოდექსთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე;
- საბაჟო კანონმდებლობის ცვლილების ეტაპების განსაზღვრა საქართველოში;
- საბაჟო სასაქონლო ოპერაციების ზოგადი მიმოხილვა;
- საბაჟოზე საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი და სპეციალური სისტემის დახასიათება;
- საბაჟო შემოსავლების თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა რეგიონული ცენტრების მიხედვით;
- საბაჟო გადასახადების მიხედვით ინდივიდუალური ინდექსებისა და ექსპორტის ცვალებადი, ფიქსირებული შემადგენლობისა და სტრუქტურული ძვრების ინდექსების აგება, გაანგარიშება და ანალიზი;
- საგადასახადო ბაზების, განაკვეთებისა და საგადასახადო შემოსავლების ინდექსების აგების პრობლემების გამოკვეთა;

➤ საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა და შეფასება;

➤ საბაჟო სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევის საგანი და ობიექტი. წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საბაჟო სტატისტიკის რაოდენობრივი მახასიათებლები, ხოლო კვლევის ობიექტია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფონზე საქართველოს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკისა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკის ძირითადი ტენდენციები 2007-2016 წლებში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს იმ ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტების შრომები აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით, რომელთა შორის არიან: ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, ს. გელაშვილი, ქ. მარშავა, ი. მესხია, გ. ლაღანიძე, თ. შენგელია, ლ. ბახტაძე, მ. მუჩიაშვილი მ. ჩიკვილაძე, ლ. ყორღანაშვილი, ნ. ასლამაზიშვილი, ლ. ძევისაური, გ. ურიდია, ნ. კუხიანიძე-ახვლედიანი, ე. ბელიაევა, ო. იუჟკოვი, თ. გრიგორიევა და სხვები. ნაშრომში გამოყენებულია სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ქართული და უცხოური ლიტერატურა, ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ორგანიზაციების მეთოდოლოგიური ხასიათის რეკომენდაციები და სახელმძღვანელოები, ემპირიული სტატისტიკური მონაცემები, ინტერნეტრესურსებიდან მოძიებული მასალები.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო სტატისტიკის წარმოების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა“ (ნიუ იორკი, 2004 წ.), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უახლესი რეკომენდაციები „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, კონცეფციები და განსაზღვრებები“ (ნიუ იორკი, 2011 წ.) და „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, სახელმძღვანელო შემდგენელთათვის, 1 რევიზია, 2010“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2013 წ.).

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ზოგადი და სპეციალური სტატისტიკური მეთოდები: დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის, კერძოდ: შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების, დროითი მწკრივების, საინდექსო, გრაფიკული გამოსახვის მეთოდები და სხვა.

კვლევის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომში მიღებულია როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მეცნიერული სიახლეები, კერძოდ:

➤ დადგენილია საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკისა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები და პრიორიტეტული მიმართულებები;

➤ გამოვლენილია საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში აღრიცხვის ძირითადი ხარვეზები და ნაკლოვანებები, მოცემულია მათი სრულყოფის რეკომენდაციები.

➤ აგებული და გაანგარიშებულია საბაჟო შემოსავლებისა და საბაჟო გადასახადების, აგრეთვე, ვაჭრობის პირობების მოდიფიცირებული სტატისტიკური ინდექსი და მიღებული შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბებულია არგუმენტირებული დასკვნები;

➤ მიღწეულია საბაჟო დეკლარაციების ცვლილების ხარჯზე საბაჟო სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესება, კერძოდ, საერთაშორისო მეთოდოლოგიურ სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფისა და გაეროს რეკომენდაციების შესრულების მიზნით, შემოსავლების სამსახურის წინაშე რეკომენდებულ იქნა:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციაში საზღვარზე სატრანსპორტო საშუალებების ველის გრაფის დამატება.

ა) სატვირთო საბაჟო დეკლარაციაში FOB ფასების გათვალისწინება იმპორტისათვის.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგად მიღებული თეორიული დებულებები ემყარება არა მხოლოდ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკისა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკის სფეროში მიმდინარე პროცესებს, არამედ ადეკვატურ სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის ინფორმაციული ბაზის სრულყოფის ღონისძიებებს და, პერსპექტივაში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატი) მათი დანერგვის საკითხებს, რაც სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში სიახლეს წარმოადგენს. ამიტომ ნაშრომში შემოთავაზებულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს, თეორიულთან ერთად, პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია, რადგან მათი გათვალისწინება ხელს შეუწყობს როგორც საბაჟო სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესებას და მის ბაზაზე საქსტატის ინფორმაციული ბაზის სრულყოფას,

ისე მონაცემთა შესადარისობის უზრუნველყოფას საერთაშორისო დონეზე, რაც, საბოლოო ჯამში, სტატისტიკის ხარისხობრივი სრულყოფის წინაპირობა ხდება.

ნაშრომში მიღებული შედეგები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას ლექციების კურსის – სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში – შესწავლისას და, ასევე, იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

კვლევის შედეგების აპრობაცია. კვლევის ძირითადი შედეგები წარდგენილ იქნა 3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე და გამოქვეყნდა სხვადასხვა გამოცემაში, ორ რეცენზირებად ჟურნალში და საზღვარგარეთ გამოცემულ სამეცნიერო შრომების კრებულში. ნაშრომი აპრობირებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე, სადაც იგი მოწონებულ და რეკომენდებულ იქნა საჯარო დაცვისათვის.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, რვა ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან. ის, სადისერტაციო ნაშრომისთვის წაყენებული ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად, მოიცავს კომპიუტერზე აწყობილ 198 გვერდს. წარმოდგენილია 11 ცხრილი, 52 გრაფიკული გამოსახულება. ნაშრომს თან ახლავს დანართები და გამოყენებული ლიტერატურის სია 168 დასახელებით.

თავი I. საბაჟო სტატისტიკის ინსტიტუციური მოწყობის ეტაპები და სტატისტიკის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე

1.1. საბაჟო სტატისტიკის განვითარებისა და საბაჟო კანონმდებლობის ცვლილების ეტაპები საქართველოში

საბაჟო საქმე ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენია. საქართველოში, სადაც ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფორმირების პროცესში ფართო მასშტაბით ეკონომიკური რეფორმები მიმდინარეობს, სწორედ საბაჟოს უკავია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი რეფორმების სწორად წარმართვაში. აქ განსაკუთრებით იგულისხმება საგარეო ვაჭრობის ბრუნვის რეგულირება, საბაჟო გადასახადების ამოღება, ეკონომიკური საზღვრების, აგრეთვე სახელმწიფოს შიგა ბაზრის დაცვა და ა.შ.

აქედან გამომდინარე, საბაჟო სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკური ანალიზი, განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და კანონზომიერების გამოვლენა აქტუალური და თანამედროვე ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბაჟო საქმე დაკავშირებულია საგარეო ვაჭრობის განვითარებასთან, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ქვეყნებს შორის ურთიერთობების, სატრანსპორტო ინდუსტრიისა და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან. ადამ სმიტი ვაჭრობის განვითარების საწყისებს ტრანსპორტის განვითარებაში, მისი უსაფრთხოების ხარისხის ზრდაში ხედავდა. მისი აზრით, ხალხები, რომლებიც, ყოვლად სარწმუნო ისტორიული წყაროების თანახმად, ცივილიზაციის პირველი მატარებელნი იყვნენ, ხმელთაშუა ზღვის ნაპირების გასწვრივ ცხოვრობდნენ. ეს ზღვა, უდიდესი შინაგანი ზღვა ყველა იმათგან, რომლებიც ცნობილია დედამიწაზე; ზღვა, რომელმაც არ იცის არც მიქცევა-მოქცევა და არც სხვა დეღვა, გარდა ქართთ გამოწვეულისა. ამიტომაც ზედაპირის სიმშვიდის კუნძულების სიმრავლისა და ნაპირებთან სიახლოვის გამო, ის მეტისმეტად უწყობდა ხელს ახლად ფეხადგმულ ნაოსნობას იმ შორეულ დროში, როდესაც ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იცნობდნენ კომპასს, შიშობდნენ მხედველობიდან დაეკარგათ ნაპირი, ხოლო, გემთმშენებლობის ხელოვნების სუსტი განვითარების გამო, ვერ ბედავდნენ თავი

მიეცათ აბობოქრებული ოკეანის ტალღებისათვის. ჰერკულესის სვეტების, ე.ი. გიბრალტარის სრუტის იქით, ოკეანეში ნავით გასვლა ანტიკურ ქვეყანაში დიდხანს ფრიად საკვირველ და უადრესად სახიფათო გმირობად ითვლებოდა. მრავალმა წელმა განვლო, ვიდრე ფინიკიელები და კართაგენლები – იმ შორეული დროის უადრესად დახელოვნებული მეზღვაურები და გემთმშენებლები – შეეცადნენ იქ გასვლას და ამას დიდხანს მარტო ისინი ბედავდნენ.²

ხმელთაშუა ზღვის ნაპირების გასწვრივ მდებარე ყველა ქვეყნიდან, როგორც ჩანს, ეგვიპტე იყო ის პირველი ქვეყანა, სადაც მიწათმოქმედება და მანუფაქტურა მნიშვნელოვნად აღორძინდა და განვითარდა.

მდინარე ნილოსი იშლება მრავალ ტოტად, რომელებიც არართული ხელოვნური ნაგებობების დახმარებით, როგორც ეტყობა, უზრუნველყოფდა წყლით მიმოსვლას არა მხოლოდ ყველა დიდ ქალაქს, არამედ, აგრეთვე, ყველა მნიშვნელოვან სოფელსა და მრავალ ცალკეულ ფერმას შორის. „შინაგანი ნაოსნობის სივრცელე და სიმარტივე იყო, ალბათ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეგვიპტის ადრეული ცივილიზაციისა“.³

ანტიკურ ქალაქ-სახელმწიფოს ხმელთაშუა ზღვისპირეთში, ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიაზე, წარმოადგენდა კართაგენი. ის წარმოიშვა ტვიროსელ ფინიკიელთა სავაჭრო კოლონიის ადგილას (ამჟამინდელი ტუნისის ყურე) დაახლოებით ძვ.წ. IX ს-ის ბოლოს. ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და სავაჭრო კოლონიათა ფართო ქსელმა განამტკიცა კართაგენის ბატონობა დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სავაჭრო გზებზე. ძვ.წ. III საუკუნეში კართაგენში საბაჟო გადასახადი სახელმწიფო შემოსავლის იმდენად მნიშვნელოვანი წყარო იყო, რომ ჰანიბალმა, რომელმაც ერთიან სისტემაში გააერთიანა საზღვაო და სახმელეთო საბაჟოები, შეძლო, მთლიანად დაეფარა ყველა ხარჯი და წარმატებით ეომა რომთან.⁴

² სმიტი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ტომი 1, თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიანიშვილის მიერ. ილიას ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007 წელი გვ. 25.

³ საბაჟო საქმის სპეციალისტის სახელმძღვანელო. განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი. თბ., 2015. გვ. 14.

⁴ საბაჟო საქმის სპეციალისტის სახელმძღვანელო. განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი. თბ., 2015 გვ. 17.

ცნობილია, რომ რომში კარგად იყო განვითარებული საგარეო ვაჭრობა, რომელიც, ძირითადად, საზღვაო გზებით ხორციელდებოდა. რომი ვაჭრობდა კართაგენტან და საბერძნეთთან და, ძირითადად, გაჰქონდა თიხის ქანდაკებები, ღვინო და ზეთუნის ზეთი. ბერძნები დიდ ყურადღებას უთმობდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებას, რამაც წარმოშვა ჭარბი პროდუქტი, ეს კი ვაჭრობის გამოცოცხლების წინაპირობა გახდა. საბერძნეთისათვის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა – სავაჭრო გზები.

აქტიურობით გამოირჩეოდა ინდოეთი, სადაც კარგად იყო განვითარებული როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა. ინდოელები ვაჭრობდნენ პაკისტანთან, სადაც გაჰქონდათ დეკორატიული ნიუარები და სხვადასხვა სახის ქვები. თვითონ კი ირანიდან და ავღანეთიდან შემოჰქონდათ ლითონი და ნახევრადძვირფასი ქვები: ვერცხლი, ფირუზი და სპილენძი. საქონელი, განსაკუთრებით კი ბამბა, როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო გზებით ინდოეთიდან ჩადიოდა შუამდინარეთში. საქართველოზე გადიოდა ე.წ. „აბრეშუმის გზა“, რომელიც აღმოსავლეთს აკავშირებდა ევროპასთან.

სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპული და ამერიკული ცივილიზაციის (მაიას ცივილიზაცია) გადაკვეთა. ცნობილია, რომ ქრისტეფორე კოლუმბის ხომალდებს მოგზაურობისას კუნძულ გუანაიასთან შეხვდათ ცალფა ხეში 1,5 მ სიგანით ამოღებული კანოე – სავაჭრო ნავი, რომელის მგზავრებმაც ევროპელებს შესთავაზეს კერამიკული ნაკეთობები, სპილენძის ფირფიტები, ქვის ხელცულები, კაკაოს მარცვლები და ბამბის ქსოვილები.

1492-1498 წლებში ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა ფართო კავშირების ჩამოყალიბებას, ფაქტობრივად, ახალ მიწებსა და ევროპას შორის. კოლუმბმა პირველმა გადაცურა ატლანტის ოკეანე სუბტროპიკულ და ტროპიკულ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს პოლუსში და ევროპელთაგან პირველმა შეცურა კარიბის ზღვაში. მან დაუდო სათავე სამხრეთ ამერიკის მიწებისა და ჩრდილოეთ ამერიკის ყელის აღმოჩენას.

კოლუმბმა სულ ოთხჯერ იმოგზაურა ცენტრალურ ამერიკაში, ამიტომაც მართებულად მიიჩნევენ, რომ სწორედ ამ მოგზაურობებით დაიწყო შუასაუკუნეების გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა. XV საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპაში გაიზარდა მსხვილი ქალაქების რიცხვი, განვითარდა ვაჭრობა,

საყოველთაო გაცვლის საშუალება გახდა ფული. „სწრაფად გაიზარდა მოთხოვნა ოქროზე. ითვლებოდა, რომ ოქრო შეიძლება მოიპოვო იქ, საიდანაც შემოდის სანელებლები, ანუ ინდოეთში. ამასთან, ოსმალეთის მიერ ბალკანეთისა და მცირე აზიის ტერიტორიის დაპყრობამ ევროპელებს ძველი სავაჭრო (სახმელეთო და საზღვაო) გზების გამოყენების საშუალება აღარ მისცა. პორტუგალიამ გზების ძიება სამხრეთ ზღვაში დაიწყო. ამავე დროს დაიბადა მოსაზრება დასავლეთის გზის არსებობაზე, რომელიც ეფუძნებოდა წარმოდგენას, რომ დედამიწა იყო ბურთის მაგვარი, ეს აზრი განვითარდა ევროპის აღმოსავლეთის ეპოქაში. შორეული საზღვაო გზების მოძიების იმედს იძლეოდა მიღწეული წარმატებები გემთმშენებლობასა და ნავიგაციაშიც“.⁵

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუასაუკუნეების დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის, რადგან ვაჭრობის გაცხოველების შედეგად სავაჭრო დანიშნულების ადგილებმა ხმელთაშუა ზღვიდან გადაინაცვლა ოკეანეში. ეს იმას ნიშნავდა, რომ გაჩნდა კავშირები მოშორებულ მიწებთან; ამიტომ საგარეო ვაჭრობამ მიიღო მსოფლიო ხასიათი. შესამაბისად, შეიცვალა და გაიზარდა ვაჭრობისათვის განკუთვნილი საქონლის ასორტიმენტი, ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ნელ-ნელა ყალიბდებოდა მსოფლიო ბაზარი, ოქროსა და ვერცხლის დიდმა ნაკადმა ევროპაში გამოიწვია ე.წ. „ფასების რევოლუცია“ და ა.შ.

საბაუო საქმიანობა ოდითგანვე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისათვის. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოზე გადიოდა აზია-ევროპის დამაკავშირებელი საქარავენე გზა.

როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, ფეოდალურ საქართველოში გამოიყენებოდა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: „ხარკი“, „ზუერი“, „ბაუი“, „ქირა“, „ტვირთის ხარკი“. „ზუერი“ პირველად მოხსენიებულია სახარების ქართულ თარგმანში, ბიბლიაშიც არის ნახსენები „მებაუე“.

ფეოდალურ საქართველოში გადასახადების აკრეფას ხელმძღვანელობდა საგანგებო მოხელე – შურტა, ხოლო შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესი (სახელმწიფო ხაზინის მთავარი გამგე, მეჭურჭლეთა უფროსი (მაშინდელი ფინანსთა მინისტრი). მეფეების მიერ გაცემული სიგელები კერძო პირებს, დიდგვაროვნებს ანიჭებდა თანამდებობასთან დაკავშირებული შემოსავლების აკრეფის უფლებას. როგორც

⁵ საბაუო საქმის სპეციალისტის სახელმძღვანელო. განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი. თბ., 2015. გვ. 21.

აღნიშნე, საბაჟო საქმე ნახსენებია ბიბლიაშიც. სახარებიდან ცნობილია, რომ მოციქული მათე – ოთხთავის პირველი წიგნის ავტორი – იყო მეზვერე, ანუ გადასახადების (ბაჟის) ამკრეფი. „იესომ დაინახა კაცი, რომელიც საბაჟოსთან იჯდა, სახელად მათე, და უთხრა მას „გამომყევი“, ისიც წამოდგა და გაჰყვა მას (მათე, 9). „და, ჰა, იყო კაცი ვინმე ზაქე – მებაჟეთა უფროსი და მდიდარი. სურდა მას იესოს ხილვა და, რადგანაც ტანად დაბალი იყო, წინ გაიქცა და ლელვის ხეზე ავიდა. იესომ აიხედა მაღლა და უთხრა: „ზაქე, ჩამოდი სწრაფად, დღეს შენს სახლში უნდა დაერჩე“... (ლუკა, 19).

ცნობილმა მაჰმადიანმა ეკონომიკურმა მოაზროვნემ, აბუ იუსუფმა (731-798) წიგნში „დაბეგერის შესახებ“ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები დაბეგერის თაობაზე. მისი აზრით, საგადასახადო სისტემის ცენტრალიზებული ადმინისტრირება შეამცირებდა კორუფციას. აბუ იუსუფი ემხრობოდა საგადასახადო შემოსავლების გამოყენებას სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისათვის.

ქართულ წყაროში გამოთქმა „ბაჟი“ პირველად მე-11 საუკუნეში გვხვდება. ესაა გიორგი მეორის სიგელი შიო მღვიმის მონასტრისადმი (1072-1089).⁶

საბაჟო საქმის განვითარებას, გარკვეული თვალსაზრისით, ემსახურებოდა 1783 წელს გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის მიხედვით, ქართველ ვაჭრებს ეძლეოდათ რუსეთში თავისუფალი აღებ-მციმობის უფლება და ყველა ის შეღავათი, რომლებითაც თვითონ რუსი ვაჭრები სარგებლობდნენ. რა თქმა უნდა, ქართული მხარეც კისრულობდა გარკვეულ ვალდებულებას – შეღავათებს რუსი ვაჭრებისთვისაც. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მეფის უფლებებში რჩებოდა ქვეყნის საშინაო მართვა-გამგეობა, სამართლის წარმოება და გადასახადების აკრეფა. რუსეთთან ურთიერთობის შემდგომი წლები მეტად არაერთგვაროვანი იყო. ამ დროს უკავშირდება რუსეთის იმპერატორის მიერ გამოცემული ოთხი განკარგულება, რომლითაც ქართველ თავად-აზნაურობას აეკრძალა მათ ტერიტორიაზე გამავალ საქონელზე ბაჟის აღება. 1831 წლის 6 მარტს რუსეთის იმპერატორმა დაამტკიცა დებულება „ამიერკავკასიაში ვაჭრობისა და ბაჟების საქმის მოწესრიგების შესახებ“, რომლის საფუძველზე, თანდათანობით

⁶ გ. იმედაშვილი, საბაჟო საქმე. თბ., 2009. გვ. 20.

გაუქმდა ადგილობრივი ფეოდალური საბაჟოები და დამკვიდრდა რუსეთის იმპერიის ერთიანი საბაჟო სამსახური.

თუ თვალს გადავაგვლებთ ისტორიულ წარსულს, ქართული სამართლის ძეგლებიდან გადასახადების რეგულირებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია ტაშისკარის ბაჟის ნუსხა (ის თარიღდება 1753-1754 წლებით), რომელიც შედგება ერთი პირის მიერ დაწერილი ორი მცირე მოცულობის საბუთისაგან.

ტაშისკარი მეთვრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ქართველ აბაშიძეთა სამფლობელოს წარმოადგენდა. ტაშისკარის გამოვლით ვაჭრებს, რომლებსაც ოსმალებიდან შემოჰქონდათ საქონელი აღმოსავლეთ საქართველოში, დაწესებული ჰქონდათ გადასახადები, რომლის ამოღება ევალებოდა პაატა და ნიკოლოზ აბაშიძეების ერთგულ და სანდო პიროვნებას, ბეჟან ნახუცრიშვილს.⁷ „ადრეულ ფეოდალურ საქართველოში თვითონ ფეოდალები აწესებდნენ გადასახადებს, რომლებიც მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყო. მოგვიანებით კი, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში შეტანილი ქართული სამართლის ძეგლით – „დასტურლამალით“ – ფეოდალების მიერ გადასახადების დაწესება აიკრძალა და ამ წიგნის 362-ე მუხლით ცალკე გამოიყო 21 სახელმწიფო გადასახადი, რომლებსაც მიეკუთვნებოდა სახელმწიფო ბეგარა (სახელმწიფო ვალდებულების შესრულება პირადად ან დაქირავებული პირის მიერ, შემსრულებელს თან უნდა ჰქონოდა იარაღი და საგზაღი), კოდის პური (სახელმწიფო გადასახადი ხორბლით ან ქერით (წელიწადში კომლზე 4 კოდი (10 ლიტრი – 1 კოდი პური), საბალახე (გადასახადი ცხვრით. 100 ცხვარზე 1 ცხვარი. დაბეგვრის სუბიექტი – საქონლის პატრონი), ნადირობის (ნადირის მორეკვა, ღამით დარაჯობა), საურავი (ფულადი გადასახადი 14 შაქრის ოდენობით)... გვიანფეოდალურ საქართველოში არსებობდა: შრომამიმაგრებითი რენტა, რენტა პროდუქტებით და ფულადი რენტა.

ამრიგად, საქართველოში საგადასახადო დაბეგვრა უპირატესობას ანიჭებდა გადასახადის ნატურალურ ფორმას, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ფულადმა ფორმამ შეცვალა.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ზვერი“ – „ზუერი“ ბაჟს, ქირას, ხარკს ნიშნავს. „საზუერე“ – საბაჟოს.⁸ ფეოდალური

⁷ მესხია ი., გოცირიძე მ., ლელაძე რ., საგადასახადო ქრესტომათია, დამხმარე სახელმძღვანელო საგადასახადო მოხელეთა ატესტაციისათვის. თბილისი. 2004. გვ. 72.

⁸ იმედაშვილი გ., საბაჟო საქმე. თბ., 2009, გვ. 7.

საქართველოს ეკონომიკაში ბაჟი არაპირდაპირი გადასახადი იყო. როგორც აღვნიშნეთ, საბაჟო საქმეს სპეციალური მოხელე – შურტა – ასრულებდა. მოგვიანებით კი მეჭურჭლეთუხუცესი განაგებდა. საქართველოში არსებობდა არაპირდაპირი გადასახადების სამი ფორმა: ბაჟი, აქციზი და სასაზინო მონოპოლიები.

როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, საქართველოს უძველესი დროიდან ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობები სპარსეთთან, არაბეთთან, საბერძნეთთან, რომის იმპერიასთან და ა.შ. აღსანიშნავია ვაჭრობა რუსეთთან, რომელიც ე.წ „ოსეთის გზის“ აღდგენის შემდეგ განსაკუთრებით გაცხოველდა მე-18 საუკუნიდან. ცარიზმი ატარებდა საკუთარ საბაჟო პოლიტიკას. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქვეყანა, ფაქტობრივად, ჩამოშორდა საბაჟო საქმეს. ამ დროისათვის საბაჟო ორგანოები ფორმალურადაც კი არ არსებობდა საქართველოში.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე – 1921 წელს – სწრაფი ტემპით დაიწყო საბაჟო საქმის მოწესრიგება, მაგრამ რადგან საქართველომ მალევე დაკარგა დამოუკიდებლობა, ეს საქმიანობა შეწყდა და, აქედან გამომდინარე, საქართველოს საბაჟო საქმიანობა აღარ უწარმოებია დამოუკიდებლობის აღდგენამდე.

თუ შევაფასებთ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს 1918-1921 წლებში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დროს მთავარი იყო ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 30 აგვისტოს მიღებული კანონი „საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა საბაჟო ორგანოთა სტრუქტურა, კომპეტენცია, მათი ამოცანები და ფუნქციები.

შემდგომი პერიოდი უკავშირდება 1921-1991 წლებს, როდესაც საქართველო შედიოდა სსრკ-ში ერთ-ერთ მოკავშირე რესპუბლიკად და, შესაბამისად, ამ დროის საქართველოში საბაჟო საქმე აღარ განვითარებულა. ქართველი მებაჟეები დასაქმებული იყვნენ ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტების საბაჟო საგუშაგოებზე, რომლებიც სტრუქტურულად ექვემდებარებოდა სოჭის საბაჟო განყოფილებას.

XX საუკუნის 90-იანი წლებში, მას შემდეგ, რაც საქართველო გახდა სუვერენული სახელმწიფო, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო სამსახური. 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“.

საბაჟო საქმემ და საბაჟო სამსახურმა, ბუნებრივია, საბაჟო სტატისტიკამ, მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში, აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში. ამავე წლებში შეიქმნა და დამკვიდრდა საბაჟო კანონმდებლობა. ქვეყანაში მიმდინარე ღრმა პოლიტიკური ცვლილებების ფონზე ორი მკვეთრად გამოხატული გარემოება გამოვლინდა: ერთი მხრივ, საქართველო გადაიქცა მსოფლიო ეკონომიკური და, მაშასადამე, საბაჟო სივრცის სრულყოფილიან წევრად; მეორე მხრივ, ძველი სისტემის ნგრევამ შექმნა უამრავი პრობლემა ეკონომიკური საზღვრების დაცვის კუთხით. რეალობა იყო ისეთი, რომ არ არსებობდა არანაირი გამოცდილება, არანაირი კადრები, არც ინსტიტუციონალური ბაზა. არადა, ცნობილია, რომ მთავარი საფუძველი, რომელსაც ეყრდნობა საბაჟო სისტემა, არის, ერთი მხრივ, დასაქმებულთა კვალიფიკაცია და, მეორე მხრივ, ტექნიკური აღჭურვილობა. ინფორმაციის ოპერატიულად დამუშავებისათვის დღეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საბაჟო სისტემა მოქცეულია ერთიან კომპიუტერულ ქსელში, რომლის მუშაობა ხორციელდება ხელოვნური თანამგზავრის დახმარებით.

ოპერატიულ პროგრამებსა და სპეცტექნიკას, ასევე, მნიშვნელობა აქვს საბაჟო ფუნქციების სრულფასოვნად შესრულებაში. მესამე ბაზა – ეს არის სრულფასოვანი მენეჯმენტი, რომელიც საბაჟო ინსტიტუტის არსებობას სჭირდება; მეოთხე ელემენტი, რომლის საფუძველზეც ფუნქციონირებს საბაჟო ინსტიტუტი, არის ნორმატიული აქტები.⁹

ფაქტია, რომ თავად საქართველოს საბაჟო სამსახური, როგორც ასეთი, არ არსებობდა, სანამ ქვეყანამ სახელმწიფო დამოუკიდებლობა არ მოიპოვა. ამიტომ საბაჟოს ისტორია და საბაჟო სტატისტიკის განვითარება, პრაქტიკულად, სწორედ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო. საბაჟო ურთიერთობა არის ეკონომიკური ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა გაცვლით განპირობებული განაწილების პროცესში გაცვლის მონაწილეებსა და განაწილების უფლების მქონე სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის.¹⁰

ამით განსხვავდებოდა საქართველო სხვა პოსტრევოლუციური ქვეყნებისაგან (მაგალითად, პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და ა.შ.), რომლებსაც თავიანთი საბაჟო და გამართული სტატისტიკა ჰქონდათ. სწორედ გამოცდილების არარსებობის გამო შეინიშნებოდა გარკვეული ხარვეზები. თავიდან საბაჟო

⁹ ჯგერენაია ე., საბაჟო საქმის ტენოლოგიის საფუძვლები. თბ., 2002. გვ. 109.

¹⁰ იქვე, გვ. 40.

გადასახადები თითქმის არ იკრიფებოდა. ეს იყო ქვეყნისათვის უმძიმესი პერიოდი (90-იანი წლების დასაწყისი), როდესაც მძვინვარებდა სასურსათო კრიზი. მოშლილი იყო სავაჭრო ურთიერთობები, ქვეყანა, ძირითადად, იმპორტის ხარჯზე ვითარდებოდა. ამის გამო გადასახადი იმპორტზე დაწესდა დაბალი (2%), ხოლო ექსპორტზე – შედარებით მაღალი (8%). ეს იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანა სტიმულს არ აძლევდა საექსპორტო პროდუქციას, ანუ არ ახალისებდა, განვითარებისკენ არ უბიძგებდა თავის წარმოებას.

ამავე დროს, 90-იანი წლების დასაწყისში საგარეო ვაჭრობაში შემოღებული იყო ძალიან ბევრი აკრძალვა, კვოტირებისა და ლიცენზირების მექანიზმი. აქედან გამომდინარე, საბაჟოს იმისაც აკონტროლებდა, თუ რამდენად იყო შემოტანილი საქონელი კვოტირებული და ჰქონდა თუ არა ლიცენზია შემომტანს. ანუ მთელი მექანიზმი, თავიდან ბოლომდე, დაკავშირებული იყო კორუფციასთან. პირველად 1994 თუ 1995 წელს დაისვა საკითხი, რომ უნდა მომხდარიყო საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ე.ი. თანდათან, მეთოდურად, საერთოდ გაუქმებულიყო კვოტირება, ხოლო ლიცენზირება და აკრძალვები დასულიყო მინიმუმამდე. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული მხოლოდ კლასიკური აკრძალვებისა და შეზღუდვების დანერგვის პროცესი გაიჭიმა და გაგრძელდა თითქმის 3 წელი.

საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ საბაჟო საქმიანობა მნიშვნელოვნად გაამარტივა. ამ პროცესებზე უდავოდ დიდი გავლენა იქონია ერთიანი საიმპორტო გადასახადის შემოღებამ 12%-ის ოდენობით, აგრეთვე, ექსპორტის გათავისუფლებამ გადასახადების (დღგ-ის და აქციზის) გადახდისაგან.

ამრიგად, 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, საქართველომ დაიწყო საბაჟო სამსახურის შენება, შესაბამისად, ხდებოდა საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბება. ეს უკანასკნელი შეიძლება რამოდენიმე ეტაპად დავყოთ:

პირველი ეტაპი მოიცავს 1990-1991 წლებს. ამ ეტაპზე შეიქმნა საქართველოს საბაჟო სამსახური, 1991 წელს მიღებულ იქნა პირველი საკანონმდებლო აქტი – კანონი საქართველოს საბაჟოს შესახებ და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებშიც განისაზღვრა საბაჟო საქმის ძირითადი მიმართულებები და პრობლემები, საბაჟოების ფუნქციები და ამოცანები.

მეორე ეტაპი მოიცავს 1992-1996 წლებს. ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია საბაჟო კანონმდებლობის შექმნა და მისი სრულყოფა და ის დაკავშირებულია საქართველოს პირველი საბაჟო კოდექსის, საბაჟო ტარიფის შესახებ დეკრეტის,

საქართველოს კანონის „საბაჟო გადასახადის“ შესახებ დებულებების, ინსტრუქციების მიღებასთან. მთავარი მიღწევა მაინც 1992 წელს მიღებული პირველი საბაჟო კოდექსი იყო.

მესამე ეტაპი დაიწყო 1997 წლიდან 2007 წლამდე. 1997 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საბაჟო კოდექსი, ე.ი. 1998 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა რიგით მეორე საბაჟო კოდექსი; იმავე წელს მიღებულ იქნა, ასევე, საქართველოს კანონები საბაჟო ტარიფის, გადასახადის, მოსაკრებლების შესახებ, სხვა კანონქვემდებარე აქტები და დოკუმენტები.¹¹

მეოთხე ეტაპი იწყება 2007 წელს, როდესაც მიღებულ იქნა რიგით მესამე საგადასახდო კოდექსი და ორმოცამდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რითაც დაიწყო საბაჟო სფეროს შემდგომი სრულყოფის პროცესი, რომელიც გრძელდება დღესაც.

საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბებასთან ერთად, საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურული მოწყობა რამდენჯერმე შეიცვალა. ამ ცვლილებების ფონზე ტრასფორმირებას განიცდიდა საბაჟო სტატისტიკაც.

საბაჟო დეპარტამენტი, რომელიც 1992 წლიდან 1996 წლამდე დამოუკიდებლად არსებობდა, ვერ ჩამოყალიბდა გამართულ ინსტიტუტად. 1996 წლიდან დაიწყო საბაჟოში შემოსავლების ზრდა და გარკვეული ინტიტუციონალური ცვლილებები. დასაწყისში სისტემის სტრუქტურაში რეგიონალური საბაჟოები დიდი ქალაქების ნიშნით არსებობდა, ხოლო საბაჟო-გამშვები პუნქტების კოორდინაცია დეპარტამენტის ცენტრალური აპარატიდან, საბაჟო-გამშვები პუნქტების კოორდინაციის სამმართველოდან ხორციელდებოდა. საბაჟო სტატისტიკის წარმოება, ძირითადად, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებას გულისხმობდა, რომლის ისტორია საქართველოში 1995 წლიდან დაიწყო. ის ეფუძნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ 1993 წლის საერთაშორისო მეთოდოლოგიას – „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა“. 2010 წელს შემუშავდა ახალი რეკომენდაციები, რომლებიც მიმართული იყო როგორც საგარეო ვაჭრობის უფრო დეტალური სტატისტიკის წარმოებისკენ, ისე საგადასახდლო ბალანსის ინფორმაციული უზრუნველყოფის გაუმჯობესებისკენ.

¹¹ იმედაშვილი გ., საბაჟო საქმე. თბ., 2009. გვ. 8.

საბაჟო საზღვარზე საქონლის დეკლარირებისათვის გამოიყენებოდა 1995 წლის საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა, რომელიც ეყრდნობოდა საქონლის აღრიცხვისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემას. 1998 წლის ბოლომდე საბაჟო დამოუკიდებელი იყო.

„საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 10 მაისის №279 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის დებულება“, რომლის თანახმადაც, „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტი წარმოადგენდა ქვეყნის საბაჟო პოლიტიკისა და ეკონომიკური საზღვრების დაცვის განმხორციელებელი სახელმწიფო მმართველობის ორგანოს“. აღნიშნული დადგენილება გაუქმდა „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის“ დებულების და „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 იანვრის №2 ბრძანებულებით, რომლის მიხედვით, „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტი იყო სამართალდაცვის ორგანოს სტატუსის მქონე დამოუკიდებლად მოქმედი სამთავრობო დაწესებულება“. შემდგომ ეტაპს უკავშირდება საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს შექმნა. ფაქტობრივად, აღმოჩნდა, რომ საქართველოში იყო ორი ფინანსთა სამინისტრო: ერთი – შემოსავლების ამკრეფი და მეორე – ხარჯების გამწევი. პრეზიდენტის №2 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის დებულება“ ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 ივნისის №280 ბრძანებულებით, რომლის შესაბამისად, საბაჟო დეპარტამენტი ჩამოყალიბდა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სისტემაში შემავალ სამართალდაცვის ორგანოს სტატუსის მქონე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად.

2001 წელს შეიქმნა 18 საბაჟო, მათ შორის, საბაჟო ორგანოს სტატუსით ზოგიერთი საბაჟო-გამშვები პუნქტიც იყო აღჭურვილი. ამ სტრუქტურით საბაჟო დეპარტამენტი 2002 წლის აგვისტომდე ფუნქციონირებდა.

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 მაისის №261 ბრძანებულებით, ძალადაკარგულად ჩაითვადა ხსენებული №280 ბრძანებულება და განხორციელდა

საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, მათ შორის, საბაჟო ორგანოს, რეორგანიზაცია და მათი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში გადაცემა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 19 ივლისის №343 ბრძანებულებით, დამტკიცებული დროებითი დებულების შესაბამისად, საბაჟო დეპარტამენტი წარმოადგენდა სამართალდაცვის სტატუსის მქონე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, რომელიც ამავე სამართლებრივი სტატუსით შედიოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 31 დეკემბრის №567 ბრძანებულების (ძალადაკარგულია „საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 1 აპრილის №114 ბრძანებულებით) მიხედვითაც.

2002 წლის აგვისტოში შეიქმნა 4 მიმართულების რეგიონალური საბაჟო („ადმოსავლეთი“, „დასავლეთი“, „ჩრდილოეთი“, „სამხრეთი“), რკინიგზისა და ენერგეტიკის რეგიონალური საბაჟოები და აჭარისა და აფხაზეთის საბაჟო სამმართველოები.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტით საბაჟო დეპარტამენტი განსაზღვრული იყო, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში არსებული სამართალდაცვის სტატუსის მქონე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. აღნიშნულ დადგენილებაში 2007 წლის 7 მარტის საქართველოს მთავრობის №47 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება და ხსენებული პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ სამართალდამცავი ორგანოს ფუნქციებს“.

2004 წლის 23 ივნისს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა საბაჟო დეპარტამენტის დებულება და საბაჟო დეპარტამენტის რეგიონული საბაჟო ორგანოების ტიპური დებულება, რომელიც ძალაში შევიდა 2 აგვისტოდან,

რომლის მიხედვითაც, დეპარტამენტის სტრუქტურა შედგებოდა ცენტრალური აპარატისა და 4 რეგიონალური საბაჟოსაგან („აღმოსავლეთი“, „დასავლეთი“, „ჩრდილოეთი“, „სამხრეთი“). რკინიგზისა და ენერგეტიკის რეგიონალური საბაჟოების ფუნქციები გადაეცა რეგიონალურ საბაჟო „აღმოსავლეთს“. აჭარის საბაჟო სამმართველო გაერთიანდა რეგიონალურ საბაჟო „დასავლეთის“ სტრუქტურაში, რომლის ოფისი ბათუმში განთავსდა.

საბაჟო სამსახურებში სტატისტიკის წარმოება ემყარება სეს სნ-ს (საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა), რომლის 2002 წლის ვერსია დაინერგა 2006 წელს, რომელშიც საქონლის დეტალიზაციის დონე განისაზღვრებოდა 11-ნიშნა კოდებით (წინა ვერსია 9-ნიშნა დონეზე იყო დეტალიზებული). 2007 წლამდე საბაჟო ფუნქციონირებდა ჯერ საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის, ხოლო შემდეგ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სახით. ამიტომ საბაჟო სტატისტიკაც ორმაგ დაქვემდებარებაში იყო, ერთი მხრივ, თავად საბაჟო დეპარტამენტისა და, მეორე მხრივ, ფინანსთა სამინისტროს წინაშე. ამ პერიოდში განხორციელებული რეფორმების შედეგად გამარტივდა საბაჟო საქმიანობის ადმინისტრირება, რასაც მოჰყვა საქონლის საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დროისა და ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება, აგრეთვე ბიზნესმენების მხრიდან კანონმდებლობის უცოდინრობით გამოწვეულ ჯარიმებთან დაკავშირებული დამატებითი დროისა და ხარჯების შემცირება.

ამ პერიოდში საბაჟოს სტატისტიკის წარმოებისას საერთაშორისო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულების აღრიცხვისა და საერთაშორისო შესადარისობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება მსოფლიო ქვეყნების კლასიფიკატორი.

რაც შეეხება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების ტექნიკურ დამუშავებას, 1995 წლიდან 2003 წლამდე დამუშავება ხორციელდებოდა ევროსტატის მიერ საქართველოსთვის უსასყიდლოდ გადაცემული პროგრამული უზრუნველყოფის „EUROTRACE“-ს საშუალებით, რომელსაც მომსახურებას უწევდა თავად ევროსტატის ტექნიკური პერსონალი. აღნიშნულ პროგრამას გააჩნდა გარკვეული ნაკლოვანებები. კერძოდ, არ იყო შესაძლებელი დეკლარაციების აღწერილობის ნახვა და მონაცემებში გარკვეული კორექტირებების შეტანა, რაც მეტად მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის. აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით, 2003 წლიდან საგარეო ვაჭრობის ბაზების დამუშავებისთვის გამოყენებულ იქნა

Microsoft Office Access. შესაძლებელი გახდა დეკლარაციების დეტალური მონიტორინგი და ინფორმაციის ხარისხიც საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა, ნაკლოვანებებისგან არც ეს პროგრამა იყო თავისუფალი. 2007 წლის გაზაფხულიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები გაერთიანდა ერთ სამსახურად და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სახით ჩამოყალიბდა.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 29 დეკემბერს მიღებული იქნა კანონი „ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“, ამ კანონის შედეგად შემოსავლების სამსახურში გაერთიანდა საბაჟო დეპარტამენტი, ფინანსური პოლიცია და საგადასახადო დეპარტამენტი. შესაბამისად, შეიცვალა სტატისტიკის უწყებრივი დაქვემდებარებაც. ამასთან, აუცილებელი გახდა საბაჟო ორგანოს ფუნქციების გადახედვა. საბაჟოს მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა საქონლის შემოტანასა და გატანასთან დაკავშირებული პროცედურების, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელება სასაზღვრო გამტარ პუნქტებში და საბაჟო კონტროლის სხვა ზონაში, აგრეთვე, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის გამოძიება და პრევენცია, ოპერატიული მეთოდებისა და ზომების გამოყენებით საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენა და წინასწარი გამოძიება.¹² ამის შესაბამისად, იმპორტის გადასახდელების ადმინისტრირება ხორციელდებოდა საბაჟო სამსახურის მიერ და ტარდება პრევენციული შემოწმებები შერჩევისა და რისკის ანალიზის პრინციპებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, საბაჟო ორგანოები აწარმოებენ საქონლის იმპორტისა და ექსპორტის სტატისტიკას.

საბაჟო საქმის განვითარების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 2007 წელს ამოქმედებულ საბაჟო კანონმდებლობას. კერძოდ, როგორც აღინიშნა, 2007 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნებთან იყო ჰარმონიზებული. მასთან ერთად ამოქმედდა, ასევე, ორმოცამდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებშიც თავიდან გაიწერა საბაჟო ორგანოების სტრუქტურა, მათი ამოცანები (შესრულების მექანიზმებთან ერთად), საბაჟო რეჟიმები და საბაჟო კონტროლის პროცედურები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღნიშნული საბაჟო კოდექსით

¹² „საქართველოს საზღვრის მართვის სტრატეგიის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 59, 2008 წლის 4 თებერვალი, ქ.თბილისი, გვ. 16.

შემოდებულ იქნა საბაჟო სამართალდარღვევის ცნება და ამ კოდექსითვე განისაზღვრა პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომები თითოეული საბაჟო სამართალდარღვევისათვის. შედეგად, ბიზნესმენები მხოლოდ ერთი ნორმატიული აქტით ღებულობდნენ ინფორმაციას, თუ რა ითვლება საბაჟო სამართალდარღვევად და რა – არა. შედეგად, ბიზნესმენთათვის კიდევ უფრო მარტივი გახდა საბაჟო კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის მოძიება.

2009 წელს, ევროკავშირის მოთხოვნით, ამოქმედდა სეს სნ-ის (საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა) 2007 წლის ვერსია, 2012 წელს კი დაინერგა სეს სნ 2012, რომელიც მოქმედებს დღემდე. 2010 წლის ოქტომბრიდან საქართველოში მოეწყო და ექსპლუატაციაში შევიდა ხუთი გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ), სადაც, ბიზნესმენის სურვილის შემთხვევაში, საბაჟო დეკლარაციას ავსებს საბაჟო ორგანოს თანამშრომელი. ამასთან, ამოქმედდა მთელი რიგი პროცედურები, რომლებმაც მინიმუმამდე დაიყვანა საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დრო და ხარჯები საერთაშორისო ვაჭრობით დაკავებული ბიზნესმენებისთვის. 2007-2011 წლებში, საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფისა და საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დროისა და ხარჯების კიდევ უფრო შემცირების მიზნით, განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები (ძალაში შევიდა ცვლილების 200-ზე მეტი ნორმატიული აქტი).

2011 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელშიც გაერთიანდა საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კოდექსები. ამასთან, ყველა ზემოხსენებული კანონქვემდებარე აქტიც გაერთიანდა ერთ ნორმატიულ აქტად.

საბაჟო სფეროში განხორციელებული ძირითადი საკანონმდებლო ცვლილებები და საგარეო ვაჭრობის სფეროში გატარებული პოლიტიკა მსოფლიო ნორმებთან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ჰარმონიზაციისაკენ იყო მიმართული.¹³

თანამედროვე საბაჟო გამშვები პუნქტების ინფრასტრუქტურა შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც უკანასკნელი წლებში ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის გაუმჯობესების მიმართულებით

¹³ General Agreement on Tariffs and Trade (GATT) 1994.

International Convention on the simplification and harmonization of Customs procedures (Kyoto Convention) Entered into force on 25 September 1974; Customs Co-operation Council (World Customs Organization) Rue du Marché 30 B-1210 Brussels.

გატარებული სამუშაოების შედეგია. სისტემა აღჭურვილია თანამედროვე სპეცაპარატურით, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს, აადვილებს და ეფექტურს ხდის საბაჟო პროცედურებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა რეფორმირებისას იყო სასაზღვრო კონტროლის პროცედურების გამარტივება, რაც მიღწეულ იქნა ASYCUDA WORD-ს ახალი საინფორმაციო სისტემის დანერგვით.

როგორც უკვე აღნიშნეთ, 2003 წლიდან საგარეო ვაჭრობის ბაზების დამუშავებისთვის გამოიყენება Microsoft Office Access, რამაც შესაძლებელი გახადა დეკლარაციების დეტალური მონიტორინგი და ინფორმაციის ხარისხიც საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა, ნაკლოვანებებისგან არც ეს პროგრამა იყო თავისუფალი. სამუშაოების დიდი ნაწილი მექანიკურად სრულდებოდა, რაც ცალკეულ ეტაპებზე შეცდომების დაშვების ალბათობას არ გამორიცხავდა. ყოველივე ამის გამო, 2014 წელს დაიწყო მუშაობა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დამუშავების სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე, რომელსაც, მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ექნებოდა უფრო მეტი უპირატესობა და დაცვა შეცდომების თავიდან ასაცილებლად. ამ პროგრამით 2016 წლიდან დაიწყო მონაცემთა სრულყოფილად დამუშავება, რამაც შესაძლებელი გახადა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის დეტალური მონაცემების გავრცელების ვადების შემცირება 21-დან 19 დღემდე.

აღსანიშნავია, რომ ახალმა რეგულაციებმა დააზუსტა ის საბაჟო პროცედურების განმარტებები, რომლებიც შეეხებოდა საქონლის საზღვრის გადაკვეთასა და საქონლის გაშვებას, ასევე, საბაჟო პროცედურების აღსრულებასთან დაკავშირებული დებულებების შემოღებას (საბაჟო ტარიფთან დაკავშირებული განმარტებების, საქონლის კლასიფიკაციის, წარმოშობის ქვეყნისა და საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შესახებ). ამან უზრუნველყო საბაჟო დებულებების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, მსოფლიოში დამკვიდრებულ საუკეთესო პრაქტიკასთან და სრულყო სტატისტიკური აღრიცხვა. აქედან გამომდინარე, საბაჟოს, ბაჟის აკრეფის, გადასახადის ფუნქციისა და პროტექციონიზმის ფუნქციის გარდა, დაემატა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის და ხელშეწყობის ფუნქცია.¹⁴

¹⁴ ჯგერენაია ე., საბაჟო საქმის ტენოლოგიის საფუძვლები. თბ., 2002. გვ. 96.

განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებებიდან შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე:¹⁵

1. საბაჟო რეჟიმების რიცხვის შემცირება 15-დან 9 სასაქონლო ოპერაციამდე საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით: იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი, საწყობი, თავისუფალი ზონა, დროებითი შემოტანა, შიდა გადამუშავება, გარე გადამუშავება.

2. ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციის განსაზღვრისას საჭირო ძირითადი დოკუმენტების რაოდენობის შემცირება 19-დან 2 ძირითად დოკუმენტამდე (საქონლის იმპორტის დროს, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციასთან ერთად, მოითხოვება სატრანსპორტო დოკუმენტის წარმოდგენა. თუმცა, მეორე საგადასახადო დოკუმენტს წარმოადგენს ხელშეკრულება ან კომერციული ინვოისი, მაგრამ თუ იმპორტიორს აღნიშნული დოკუმენტი არ გააჩნია, დეკლარირებული საქონელი დაექვემდებარება დათვალიერებას).

3. რისკზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლი (ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა დაიწყო რისკზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლისა და საგადასახადო აუდიტის სისტემის დანერგვა. 2008 წლის მარტიდან ქვეყნის საბაჟო გამშვებ პუნქტებზე მოქმედებაში შევიდა რისკზე დაფუძნებული საბაჟო შემოწმების სისტემა. რისკის შეფასება ხდება ახალი საინფორმაციო სისტემის ASYCUDA WORL-ისა და მისი დამხმარე (დამატებითი) პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, რომელშიც გამოყენებულია ფასთა სხვაობისა და იმპორტიორების/ექსპორტიორების რისკის ანალიზის შესახებ მონაცემები. რისკზე დაფუძნებული შემოწმების სისტემა საშუალებას იძლევა საგრძნობლად შემცირდეს საბაჟო გაფორმებისათვის აუცილებელი დრო, ასევე, დაიზოგოს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული რესურსები. შესაბამისად, მოქმედებაში შევიდა დერეფნების (მწვანე, ლურჯი, ყვითელი და წითელი) სისტემა).

4. გაფორმების შემდგომი კონტროლის სისტემა (რისკზე დაფუძნებული კონტროლის სისტემის სრულფასოვნად ამოქმედებისათვის 2009 წლის იანვრიდან დაინერგა გაფორმების შემდგომი კონტროლის სისტემა. ის გულისხმობს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილებას, გაუშვას დეკლარირებული საქონელი დოკუმენტური

¹⁵ Chikovani E., Avaliani M., Customs Modernization in Georgia: Changes, Outcomes and Future Perspectives. Article . Institute of Strategic Studies of the Caucasus. The Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 5, Issue 3-4, 2011, CA&CC Press, Sweden. p. 62-71.

შემოწმებისა და ფიზიკური შემოწმების გარეშე, მაგრამ აღნიშნული საქონელი გაშვების შემდგომ უნდა შემოწმდეს (კამერალური ან გასვლითი).

5. ოქროს სია (პირის მიერ განხორციელებული იმპორტის სასაქონლო ოპერაციების მოცულობისა და მისი რეპუტაციის გათვალისწინებით, იგი შედის ე.წ. „ოქროს სიაში“. ოქროს სიის წევრობა პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, ისარგებლოს გამარტივებული საბაჟო პროცედურებით და იმპორტის გადასახდელების გადავადებით. თუ დეკლარაციისათვის განისაზღვრება „მწვანე“ დერეფანი, შესაძლებელია საქონელი საბაჟო დათვალიერების გარეშე, საზღვრიდანვე გაიშვას იმპორტიორის სრულ განკარგულებაში გადაცემით, ხოლო წითელი დერეფნის შემთხვევაში, შესაძლებელია საქონლის წარდგენა და დათვალიერება ოქროს სიის მონაწილის საწყობში. ამასთან, იმპორტიორმა იმპორტის გადასახდელები უნდა გადაიხადოს 30 დღის ვადაში).¹⁶

მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზა საზღვარზე გაერთიანდა. ამან შექმნა პრეცედენტი ერთი ფანჯრის პრინციპის ამოქმედებისა, რითაც გამარტივდა სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება და ამალდა მომსახურების დონე, შემცირდა მომსახურების დრო და, თუ ბაზების ინტეგრირებამდე ავტომანქანებისათვის პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო იყო ცარიელ ავტომანქანაზე 5-6 წუთი, დატვირთულზე 20-25 წუთი, ინტეგრირების შემდეგ ცარიელზე 2-3 წუთი, დატვირთულზე 10-12 წუთია საჭირო; განხორციელდა სასაზღვრო საბაჟო ორგანოებში რისკის პროფილის ბაზების ამუშავება და, თუ ჯერ კიდევ 2007–2008 წლებში საზღვარზე ხდებოდა თითქმის ყველა სატრანსპორტო საშუალების გარეგანი ვიზუალური, ასევე ფიზიკური პირების ბარგისა და ხელბარგის დათვალიერება ფიზიკურად ან რენტგენოსკანერის საშუალებით,¹⁷ 2009–2010 წლებში შეიქმნა და თანდათანობით დაიხვეწა რისკის შემცველი პირებისა და სატრანსპორტო საშუალების ერთიანი მონაცემთა ბაზა. დღეის მდგომარეობით, დათვალიერება ხდება შერჩევით, რისკის შემცველი ბაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. საბაჟოს თანამშრომლების მიერ ხორციელდება

¹⁶ საქართველოს საბაჟო რეზენტაცია საბაჟო სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ. თბილისი, 2010 წ. გვ. 7.

¹⁷ Chikovani E., Avaliani M., Customs Modernization in Georgia: Changes, Outcomes and Future Perspectives. Article . Institute of Strategic Studies of the Caucasus. The Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 5, Issue 3-4, 2011, CA&CC Press, Sweden. p. 62-71.

გამარტივებული საბაჟო პროცედურები, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს საქონლის დეკლარირების შესაძლებლობას გამშვებ პუნქტზე და საქონლის გატანას თავისუფალ მიმოქცევაში გადასახდელების 5, 15 ან 30-დღიანი ვადით გადავადების უფლებით.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია ექსპორტის პროცედურების გამარტივების მიმართულებითაც. ადრე მეწარმე წარმოებული საკუთარი პროდუქციის საზღვარგარეთ გატანისათვის სატრანსპორტო საშუალებაზე ტვირთავდა საქონელს, შემდეგ წარადგენდა საბაჟო საწყოში, შევსებული საბაჟო დეკლარაცია მიჰქონდა საბაჟო ორგანოში. ყოველივე ამის შემდეგ საბაჟო ამოწმებდა დეკლარაციას (ხშირად საქონელს ათვალიერებდა კიდევ), შემდეგ ბრუნდებოდა საბაჟო საწყოში, საქონელს ედებოდა საბაჟო ლუქი და შემდგომ ისევ საბაჟო ორგანოში ბრუნდებოდა, რათა გამოწერილიყო აღრიცხვის მოწმობა. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მეწარმეს სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა, სადაც ასევე ხდებოდა სატრანსპორტო საშუალების გარეგანი ვიზუალური დათვალიერება და დოკუმენტალური შემოწმება. ამჟამად მას შეუძლია:

- საბაჟო ორგანოს მეშვეობით, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საწყოში წარდგენისა გარეშე განახორციელოს საქონლის დეკლარირება;

- ამასთან, თვითონ განახორციელოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების ნიშანდება საბაჟოსგან მიღებული ლუქების გამოყენებით, და პირდაპირ წარადგინოს საბაჟო გამშვებ პუნქტზე, სადაც წარიმართება საბაჟო კონტროლის ღონისძიებები რისკის მართვის პროფილის მეშვეობით.

- ზედნადების წარდგენით განახორციელოს საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში საბაჟო გამშვებ პუნქტზე დეკლარირება და გაიტანოს ტერიტორიის გარეთ. ფიზიკურ პირს 15 000 ლარამდე ღირებულების საქონლის ექსპორტის შემთხვევაში შეუძლია ადგილზე – გამშვებ პუნქტზე – განახორციელოს საქონლის დეკლარირება გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით ან ზეპირი დეკლარირებით. მუდმივად საცხოვრებლად გასვლისას დეკლარირება განახორციელოს ზეპირი ფორმითაც.¹⁸

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა ნებართვას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა; გამარტივდა წარმოშობის სერტიფიკატის

¹⁸ Chikovani E., Avaliani M., Customs Modernization in Georgia: Changes, Outcomes and Future Perspectives. Article . Institute of Strategic Studies of the Caucasus. The Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 5, Issue 3-4, 2011, CA&CC Press, Sweden. p. 62-71.

გაცემის წესი ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით, ნებართვებისა და სერტიფიკატების აღება შესაძლებელი გახდა ნებისმიერ საბაჟო ორგანოში.

თუ რეფორმამდე საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებით მგზავრის მიერ საზღვრის გადაკვეთისას სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა უწყების მიერ ხორციელდებოდა საპასპორტო კონტროლი და სხვა დანარჩენი სასაზღვრო პროცედურები (მ.შ. საბაჟო), რეფორმის შედეგად ძირითად საავტომობილო საბაჟო გამშვებ პუნქტებში (სარფი, სადახლო, წითელი ხიდი, ლაგოდეხი) სატვირთო სატრანსპორტო საშუალებით საზღვრის კვეთისას საპასპორტო კონტროლს ახორციელებს საბაჟო ორგანო. შესაბამისად, აღნიშნულ გამშვებ პუნქტებზე საზღვრის კვეთისას ტარდება ინტეგრირებული პროცედურები.

ცვლილებებია ფიტოსანიტარული და ვეტერინალური სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის სფეროში. კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ტრანზიტზე გაუქმდა ფიტოსანიტარული და ვეტერინალური ნებართვების წარდგენის ვალდებულება. ამასთან, თუ რეფორმამდე ზენორმატიული დატვირთვის გამოსავლენად უცხოეთიდან შემოსული ყველა საავტომობილო სატრანსპორტო საშუალება იწონებოდა საბაჟო გამშვებ პუნქტში, რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა აწონილი სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, რადგან დაწესდა შერჩევითი შემოწმება როგორც ზენორმატიული დატვირთვის გამოვლენის, ისე საგაბარიტო პარამეტრების შემოწმების მიზნით.

2015 წლის 1 იანვრიდან „საგადასახადო კოდექსის“ ახალი ნორმები ამოქმედდა, რომლის თანახმად, ჩამოწერას დაექვემდებარა: 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ გადამხდელს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება; 2009 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა, აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება; ეტაპობრივად განხორციელდება საგადასახადო შემოწმების, გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის და სანქციის დარიცხვის, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადის 3 წლამდე შემცირება. 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე ხანდაზმულობის ვადა შემცირდება 5 წლამდე, 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე – 4 წლამდე, 2017 წლიდან – 3 წლამდე. დამატებული ღირებულების გადასახდისგან გათავისუფლდა შიდა გადამუშავების

სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე აღნიშნული სასაქონლო ოპერაციის ფარგლებში მონტაჟის, აწყობის, რემონტის, წარმოების, შეკეთების და სხვა მომსახურების გაწევა. დავალიანების გადახდევინების გადავადება შესაძლებელი გახდა ერთი წლით, უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენის გარეშე, თუ საგადასახადო დავალიანების თანხა არ აღემატება 5000 ლარს.

ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დანერგვის და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით, 2015 წლის 1 ივლისიდან შემოდებულ იქნა თამბაქოს ნაწარმის აქციზის გადასახადით დაბეგვრის ე.წ. „შერეული სისტემა“, რომელიც მოიცავს როგორც ფიქსირებულ, ისე ე.წ. ადვალურ კომპონენტს. ამასთან, აქციზის გადახდა განხორციელდება არა აქციზური მარკის გატანისას, არამედ საქონლის რელიზაციის/იმპორტის დროს.

დღეისათვის, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის ფორმირებამ წინ წამოწია ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც დგას დღეს საქართველოში საბაჟოს წინაშე, ეს არის:

- საბაჟო სისტემის ძირეული და საბაჟო პროცედურების პრინციპული დებულებები;
- კანონქვემდებარე აქტები;
- ერთიანი სამართლებრივი სისტემა – საბაჟო კოდექსი.

არსებული მდგომარეობით, საბაჟო სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი რიგი პრინციპული და პროცედურული დებულებები, რომლებიც ადრე იყო საბაჟო კოდექსის შემადგენელი ნაწილი, წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შემოსავლების სამსახურის ბრძანების ნაწილს (კანონქვემდებარე აქტები). შესაბამისად, იერარქიულად დაბლა მდგომ აქტებში მოცემულია საბაჟო სისტემის ძირეული და საბაჟო პროცედურების პრინციპული დებულებები.

ევროკავშირის საბაჟო კოდექსის მიხედვით, საქონლის შემოტანა-გატანასთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელი ძირითადი ნორმები მოცემულია საკანონმდებლო აქტში, რომელიც იძლევა საშუალებას, შეიქმნას ერთიანი სამართლებრივი სისტემა. არსებულის გათვალისწინებით აღნიშნული ეტაპზე მიმდინარეობს საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტზე მუშაობა. ზემოქმულიდან გამომდინარე, ევროკავშირთან მიახლოების მიზნით აუცილებელია:

- კანონშესაბამისობა;

• კომერციული და სატრანსპორტო მონაცემების მართვის დამაკმაყოფილებელი სისტემის არსებობა, რომელიც შესაბამისი საბაჟო კონტროლის შესაძლებლობას იძლევა;

- შესაბამის უსაფრთხოებისა და დაცვის სტანდარტები.

მიმდინარეობს მუშაობა და მოლაპარაკებები ახალი კომპიუტერიზირებული სატრანზიტო სისტემა CTS-ის დანერგვისათვის საქართველოში, რომელიც, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას, კერძოდ, წინასწარ გაიგზავნება ელექტრონულად მომზადებული დეკლარაციები, რაც ნაკლებ დროს მოითხოვს. საბაჟო წინასწარ მიიღებს გადაწყვეტილებას შემოწმების შესახებ, ამასთან, შემცირდება საქონლის არაელექტრონულ დეკლარირებასთან დაკავშირებული მაღალი ხარჯები და, ბოლოს, სწრაფად გაიცემა გარანტია. ეს უპირატესობები შეიძლება მივაკუთვნოთ საბაჟოსაც, რადგან ანალოგიური ეფექტები აქაც იჩენს თავს.

გარდა ამისა, საბაჟო ვალდებულებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის ვადა ეტაპობრივად შემცირდება ექვსი წლიდან სამ წლამდე. ევროკავშირის და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებთან მიმართებაში გამარტივდება სასაზღვრო ფორმალობები და ტრანზიტის დროს დამკვიდრდება საერთო პროცედურა. ევროკავშირის მასშტაბით გადამზიდავებს აღარ დაჭირდებათ გარანტიის განმეორებით მოპოვება და ტრანზიტის ქვეყნისთვის დამატებითი დოკუმენტის გაფორმება.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის საბაჟო კოდექსის დებულებები არ შეესაბამება ქართულ კანონმდებლობას. საქართველოში მთელი რიგი საბაჟო პროცესები ხორციელდება ქართული კანონმდებლობით და, შესაბამისად, აღირიცხება სტატისტიკური მეთოდებით. ამიტომაც ვლინდება გარკვეული პრობლემები საბაჟო სფეროს მოვლენების რაოდენობრივი აღრიცხვის მიმართულებით.

არსებული მდგომარეობით საბაჟო სამართალური ერთობების მომწესრიგებელი ზოგიერთი პრინციპული და პროცედურული დებულება, რომლებიც ადრე იყო საბაჟო კოდექსის შემადგენელი ნაწილი, წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შემოსავლების სამსახურის ბრძანების ნაწილს. შესაბამისად, იერარქიულად დაბლა მდგომ აქტებში მოცემულია საბაჟო სისტემის ძირეული და საბაჟო პროცედურების პრინციპული დებულებები.

ევროკავშირის საბაჟო კოდექსის მიხედვით, საქონლის შემოტანა-გატანასთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელი ძირითადი ნორმები მოცემულია საკანონმდებლო აქტში, რომელიც იძლევა საშუალებას, შეიქმნას ერთიანი სამართლებრივი სისტემა.

ჩვენი აზრით, აუცილებელია ევროკავშირის საბაჟო კოდექსში მოცემული პრინციპებისა და საბაჟო პროცედურების გათვალისწინებით შეიქმნას ისეთივე იერარქიის სამართლებრივი აქტი, რომლითაც საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდება საბაჟო სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები და შეიქმნება რეგულირების სტაბილური ნორმატიული მექანიზმი – საქართველოს საბაჟო კოდექსი. აუცილებელია საბაჟო პროცედურების მარეგულირებელი ფუნდამენტური წესები და რეგულაციები დადგინდეს საკანონმდებლო აქტით და არა ქვენორმატიული აქტით. გასათვალისწინებელია, რომ არ მოიპოვება იმ ტერმინების განმარტებები ქართულ კანონმდებლობაში, რომლებიც ასახულია ევროკავშირის საბაჟო კოდექსის მე-4 მუხლში – „საბაჟო გადაწყვეტილება“, „რისკი“, „რისკებზე დაფუძნებული მართვა“, „პროცედურის მფლობელი“, „გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ“ (ზოგადად, ტერმინები ასახულია საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლში). საქართველოს საბაჟო კოდექსის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია რიგი ტერმინების ერთად თავმოყრა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბაჟო სფეროს ტერმინები ასახულია სსკ-ის 207-ე მუხლში და, ამ კუთხით, შესაძლებელია გაფართოვდეს ტერმინთა ჩამონათვალი.

საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლის მიხედვით, განმარტებულია, თუ ვინაა გადასახადის გადამხდელის წარმომადგენელი. თუმცა არ არის წარმოდგენილი განსხვავება პირდაპირ და არაპირდაპირ წარმომადგენელს შორის, რომელიც ასახულია ევროკავშირის საბაჟო კოდექსის მე-5 მუხლში. უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო დეპარტამენტი არ იზიარებს ევროკავშირის პრაქტიკას.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსი – მუხლი 5ა კონცენტრირებულია „უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის“ ვალდებულებაზე. აღნიშნული ინსტიტუტი ქართულ კანონმდებლობაში არ იდენტიფიცირდება, თუმცა აღნიშნულ ჭრილში არსებობს „ოქროს სიის“ ინსტიტუტი.

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლის მე-8 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად სასაქონლო კოდის

განსაზღვრის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მოქმედების ვადაა 3 წელი, ხოლო ევროკავშირის საბაჟო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად 6 წელია.¹⁹ ჩვენი აზრით, მიზნანშეწონლია, რომ ასევე საქართველოს კანონმდებლობითაც, საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად, სასაქონლო კოდის განსაზღვრის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მოქმედების ვადა იყოს 6 წელი.²⁰

- საქართველოს კანონმდებლობით, იმპორტის სასაქონლო რეჟიმისას საქონლის მიმართ არ გამოიყენება ე .წ. „სატარიფო კვოტები“ და „უმაღლესი სატარიფო განაკვეთები“, რომლებიც გაწერილია ევროკავშირის საბაჟო კოდექსის მე-20 მუხლში. ჩვენი აზრით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა არ უნდა გაიზიაროს ევროკავშირის პრაქტიკა.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 36 ა, ბ, და გ მუხლში საუბარია ზოგად დეკლარაციაზე. ევროკავშირის ზოგადი დეკლარაცია არ შეესაბამება ქართულ რეალობაში არსებული ზოგადი დეკლარირების ფორმულირებას. ევრორეგულაციის მიხედვით, ზოგადი დეკლარაციის წინასწარ წარდგენაა სავალდებულო. ზოგადი დეკლარაციის ფორმა კი საქართველოში არ არის. აქ ზოგადი დეკლარაციის ფორმად გამოიყენება სატრანსპორტო დოკუმენტაცია, ხოლო ე.წ. ტ1 ფორმაში (აღრიცხვის ფორმა) მონაცემები შეაქვს საბაჟო უწყებას. მაშასადამე, ზოგადი დეკლარაციის ფორმა საქართველოში არ არსებობს. ზოგადი დეკლარირების საფუძველზე სპეციალურ ელექტრონულ ფორმას ავსებს მებაჟე.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 49-ე მუხლის მიხედვით, ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შემდეგ საბაჟო დეკლარაცია უნდა გაფორმდეს 20 ან 45 დღეში, მაშინ როდესაც ქართული კანონმდებლობით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დეკლარირებულ საქონელზე საბაჟო დეკლარაცია შესაძლოა გაფორმდეს სხვადასხვა ოფციის მიხედვით. ჩვენი აზრით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა არ უნდა გაიზიაროს ევროკავშირის პრაქტიკა ყველას მიმართ 20-დღიანი ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ვინაიდან არსებული სხვადასხვა ვადა, მიგვაჩნია, რომ უფრო მოქნილი მექანიზმია.

¹⁹ შემოსავლების სამსახურის სტრატეგია 2017-2020. გვ. 14.

http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=10291; საბჭოს რეგულაცია 2913/92 ევროკავშირის საბაჟო კოდექსი.

²⁰ შემოსავლების სამსახურის სტრატეგია 2017-2020. გვ. 14. http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=10291; საბჭოს რეგულაცია 2913/92 ევროკავშირის საბაჟო კოდექსი.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 51-ე მუხლის მიხედვით, საქონლის დროებითი შენახვისას საბაჟო უწყებას შეუძლია ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს გარანტია. ქართული კანონმდებლობის მიხედვით კი, გარანტია არ მოითხოვება.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 64-ე მუხლის მიხედვით, საქონლის დეკლარირებისას დეკლარანტი დაფუძნებული უნდა იყოს ევროკავშირში, თუმცა, ეს ვალდებულება არ ვრცელდება იმ დეკლარანტებზე, რომლებიც ახორციელებენ ტრანზიტის ან დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციას, ან საქონლის დეკლარირებას იშვიათად ახდენს. აღსანიშნავია, რომ, ქართული კანონმდებლობით, დეკლარანტისთვის სავალდებულო არ არის, რომ იყოს დაფუძნებული საქართველოში ნებისმიერი სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას. იგი რეგისტრირდება გადასახადის გადამხდელად საბაჟო ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში. ამრიგად, მიგვაჩნია, რომ საბაჟო დეპარტამენტის მიერ ამ პოზიციის არგაზიარება მიზანშეწონილია.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 65-66-ე მუხლების მიხედვით, საქონლის გაშვების შემდეგ არ შეიძლება დეკლარანტმა ცვლილება შეიტანოს დეკლარაციაში, თუმცა, ქართული კანონმდებლობით, აღნიშნული შეზღუდვა არ არსებობს, მაგრამ იქ, სადაც დეკლარაციაში ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობაზეა საუბარი, საუბარია დეკლარანტის მხოლოდ ინიციატივაზე, ანუ ფიზიკურად ცვლილებას ახორციელებს საბაჟო უწყება.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 74-ე მუხლის მიხედვით, საბაჟო ვალდებულებების წარმოშობისას არ გაიშვება საქონელი, სანამ არ მოხდება გადასახდელების გადახდა, ან არ იქნება წარდგენილი გარანტია, მაშინ როდესაც ქართული კანონმდებლობით, გარანტია არ მოითხოვება (საბაჟო დეპარტამენტი არ იზიარებს ევროკავშირის პრაქტიკას).²¹

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ სასაქონლო პარტიაში მოცემულია რამდენიმე სასაქონლო კოდის მიხედვით კოდირებული საქონელი, რომელთა მიმართაც იმპორტის გადასახადის სხვადასხვა განაკვეთია გათვალისწინებული, დეკლარანტს უფლება აქვს ნაცვლად იმისა, რომ დახარჯოს რესურსი თითოეული საქონლის სწორად დაბეგვრის მიზნით ზუსტ იდენტიფიცირებაზე, შეარჩიოს ყველაზე მაღალი საბაჟო

²¹ შემოსავლების სამსახურის სტრატეგია 2017-2020. გვ. 14. http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=10291; საბჭოს რეგულაცია 2913/92 ევროკავშირის საბაჟო კოდექსი.

გადასახადის განაკვეთის საქონელი და მის მიხედვით დაბეგროს მთლიანი სასაქონლო პარტია. აღნიშნული მიდგომა ქართულ კანონმდებლობაში არ იდენტიფიცირდება. ჩვენი აზრით, ეს მისაღებია. აღნიშნული არჩევანი დამოკიდებული იქნება ეკონომიკური ოპერატორის ნება-სურვილზე.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 84-ე მუხლის მიხედვით, ჩამოთვლილია ის რეჟიმები, რომელთა მიმართაც გამოიყენება „ეკონომიკური გავლენის“ პოლიტიკა. ზემოაღნიშნული რეჟიმებია: საბაჟო დასაწყოება, შიდა გადამუშავება, გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ, დროებითი შემოტანა და გარე გადამუშავება. აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული „ეკონომიკური გავლენის“, „ეკონომიკური პირობების დასაბუთების/მიზანშეწონილობის“ საკითხები. ამასთანავე, რეჟიმი „გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ“ ქართული კანონმდებლობით არაა გაწერილი, რადგან იგი გაერთიანებულია „შიდა გადამუშავებაში“ (უცხოური საქონლის მიმართ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელები და არ ხორციელდება სატარიფო ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავებული საქონლის იმპორტში გაშვებისას გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელები და ხორციელდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები; – მუხლი 235, საგადასახადო კოდექსი)²² ჩვენი აზრით, ევროკავშირის პრაქტიკის გაზიარება მიზანშეწონილი არ არის.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 99-ე მუხლის მიხედვით, ორი სახის საწყოები გამოიყოფა: „საჯარო საწყოები“, რომელიც შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საწყოების რეჟიმისას და „კერძო საწყოები“, რომელიც შეუძლია გამოიყენოს საწყოების მფლობელმა საწყოების რეჟიმისას. აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობით აღნიშნული დაყოფა არ არსებობს და „საბაჟო საწყოები“ ნებისმიერი პირისთვის განისაზღვრება.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 100-ე მუხლის მიხედვით, საწყოების ნებართვის მისაღებად პირმა უნდა მიმართოს უწყებას წერილობით, სადაც ცალსახად გაწერილი იქნება საწყოების არსებობის ეკონომიკური საჭიროება. აღნიშნული კონკრეტული დეტალი არ მოითხოვება ქართული კანონმდებლობით.

²² შემოსავლების სამსახურის სტრატეგია 2017-2020. გვ. 14. http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=10291
საბჭოს რეგულაცია 2913/92 ევროკავშირის საბაჟო კოდექსი.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 103-ე მუხლის მიხედვით, საწყოების მფლობელობის უფლება შესაძლოა გადაეცეს სხვა პირს, რაც არ განისაზღვრება ქართული კანონმდებლობით.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 117-ე მუხლის მიხედვით, შიდა გადამუშავების უფლების მოსაპოვებლად გაიცემა ნებართვა. ქართული კანონმდებლობით ნებართვის სტატუსს ატარებს დეკლარაცია.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 119-ე მუხლის მიხედვით, საბაჟო უწყებამ უნდა განსაზღვროს ან გამოსავლიანობის ნორმა ან მისი გაანგარიშების მეთოდი, მაშინ როდესაც ქართული კანონმდებლობით შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისათვის დეკლარანტი, გაფორმების საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებით, განსაზღვრავს გამოსავლიანობის ნორმას და საჭიროებისამებრ მისი გაანგარიშების მეთოდს იმ ფაქტობრივი პირობებიდან გამომდინარე, რომლებშიც ხორციელდება საქონლის გადამუშავება.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 124-ე მუხლის შესაბამისად, ქართული კანონმდებლობით შიდა გადამუშავებისას იმპორტში გაშვებული საქონელი, რომელზედაც გადახდილია იმპორტის გადასახდელები, უნდა დაექვემდებაროს დაბრუნებას ან ჩათვლას, თუ გადახდილი იმპორტის გადასახდელები უკვე არ არის დაბრუნებული ან ჩათვლილი, და მისგან მიღებული გადამუშავებული საქონელი გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან. თუმცა, არ არსებობს იმის კლასიფიკაცია, რომ გადასახადები არ უნდა დაბრუნდეს რიგ შემთხვევებში: იმპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვების, საიმპორტე საქონელზე დაწესებულ კვოტებზე სატარიფო ზომების, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ფარგლებში იმპორტის და ექსპორტის ლიცენზიების თუ სერტიფიკატების წარდგენის დროს. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი არ იზიარებს ევროკავშირის პრაქტიკას.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 125-128-ე მუხლების მიხედვით, შიდა გადამუშავებისას (როდესაც იმპორტში გაშვებული საქონლის მიმართ, რომელზედაც გადახდილი იმპორტის გადასახდელები უნდა დაექვემდებაროს დაბრუნებას ან ჩათვლას) უნდა გაიცეს შესაბამისი ნებართვა და ეს ჩაიწეროს დეკლარაციაში და, საჭიროების შემთხვევაში, დაერთოს თან დეკლარაციას. აღნიშნული მიდგომა ქართული კანონმდებლობით არაა განსაზღვრული.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 138-ე მუხლის მიხედვით, დროებითი შემოტანისას ნებართვა გაიცემა მოთხოვნის საფუძველზე შესაბამის პირზე. ქართულ კანონმდებლობაში ნებართვა არ იდენტიფიცირდება. ამიტომ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ ევროკავშირის პრაქტიკას გაზიარება მიზანშეწონილი არაა.

- შეუსაბამობა ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 140-ე მუხლის მიხედვითაც, რომლის დროსაც, საქონლის დროებითი შემოტანის კონკრეტული ვადა განისაზღვრება დეკლარანტის მიერ 2 წლის ვადით. ქართული კანონმდებლობით დროის ლიმიტია 3 წელი.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით, შიდა გადამუშავების განსახორციელებლად გაიცემა ნებართვა. ქართულ კანონმდებლობაში დეკლარაცია ატარებს ნებართვის სტატუსს (მუხლი 80.2 – ფინანსთა მინისტრის ბრძანება №290) ამასთან, ქართული კანონმდებლობით არ განისაზღვრება „თავისუფალი საწყობი“ (ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 166-ე მუხლი). ამიტომ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ მისი გაზიარება აუცილებელი არ არის.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მიხედვით, საბაჟო უწყებას შეუძლია განსაზღვროს თავისუფალი ზონები, სადაც განხორციელდება საბაჟო შემოწმებები და ფორმალობები, ამასთანავე, ვრცელდება საბაჟო საწყობის სასაქონლო ოპერაციის ვალდებულებები. აღნიშნული მიდგომა ქართულ კანონმდებლობაში არ იდენტიფიცირდება მართალია, ამ ეტაპზე მსგავსი ზონების საჭიროება არ არსებობს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მომავალში ეს სავსებით შესაძლებელია.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 173-ე მუხლის მიხედვით, უცხოური საქონელი, რომელიც თავისუფალ ზონაში თავსდება, გადამუშავებისათვის უნდა მოექცეს გადამუშავების შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში, რაც არ არის გაწერილი ქართული კანონმდებლობით. ჩვენი აზრით, მსგავსი რეგულაციის მიღებისათვის საჭიროა ზონასთან დაკავშირებული რეგულაციის ძირეულად შეცვლა.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 181-ე მუხლის მიხედვით, საბაჟო უწყება უზრუნველყოფს, რომ, როდესაც საქონელი ტოვებს ევროკავშირის საბაჟო ტერიტორიას თავისუფალი ზონიდან ან თავისუფალი საწყობიდან, დაცული იქნება

ყველა შესაბამისი რეჟიმის წესი, რომლებიც ეხება ექსპორტს, გარე გადამუშავებას, რეექსპორტს, შიდა ტრანზიტს. მაშინ, როდესაც ქართული კანონმდებლობით, საჭიროა მხოლოდ ექსპორტის რეჟიმის პირობების დაცვა. ჩვენი აზრით, ევროკავშირის პრაქტიკა მისაღებია.

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი საქართველოს საქონელი (გარდა გადამუშავებული საქონლისა) იდენტიფიცირების შემთხვევაში შესაძლებელია დაბრუნებულ იქნას დეკლარირებიდან 3 წლის ვადაში, იმპორტის გადასახდელების გადახდის გარეშე. ევროკავშირის კოდექსის 185-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქონლის დაბრუნების ვადის გაგრძელება შესაძლებელია დეკლარანტის მოთხოვნით სპეციფიკურ შემთხვევებში. ჩვენი აზრით, ევროკავშირის პრაქტიკა მისაღებია.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 188-ე მუხლის მიხედვით, საზღვაო თევზჭერის შედეგად მიღებული და საზღვაო წარმოშობის სხვა პროდუქტი, რომელიც მოპოვებულია ევროკავშირის ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი გემის საშუალებით, ზემოაღნიშნული საქონლის შესაბამისი დროშის ქვეშ მცურავი გემის ქვეყანაში შეტანისას მოექცევა იმპორტის რეჟიმში და გათავისუფლებული იქნება იმპორტის გადასახდელებისგან. აღნიშნულ შემთხვევაში, ქართული კანონმდებლობით, საქონლის იმპორტის რეჟიმში მოქცევა არ ხდება.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 192-ე მუხლის მიხედვით, ტრანზიტის რეჟიმში მოქცეულ საქონელზე საბაჟო უწყების მიერ მოითხოვება გარანტია. ქართულ კანონმდებლობის მიხედვით, გარანტია არ მოითხოვება.²³

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 238-239-ე მუხლების მიხედვით, გაწერილია გადახდილი გადასახდელების დაბრუნებისა და ჩათვლის სხვადასხვა პირობები და ვადები.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 240-ე მუხლი შეუსაბამოა ქართულ კანონმდებლობასთან, კერძოდ: გადახდილი იმპორტისა თუ ექსპორტის გადასახდელების დაბრუნება მოხდება, ან გადახდილი იმპორტისა თუ ექსპორტის გადასახდელები ჩაითვლება, თუ დასაბრუნებელი თანხის რაოდენობა აღემატება კომიტეტის პროცედურებით დადგენილ ფიქსირებულ რაოდენობას. თუმცა, საბაჟო უწყების გადაწყვეტილებით, დაბრუნების საგანი, შესაძლოა, გახდეს თანხის

²³ შემოსავლების სამსახურის სტრატეგია 2017-2020. გვ. 14. http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=10291; საბჭოს რეგულაცია 2913/92 ევროკავშირის საბაჟო კოდექსი.

რაოდენობა, რომელიც ნაკლებია კომიტეტის პროცედურებით დადგენილ ფიქსირებულ რაოდენობაზე.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 241-ე მუხლი შეუსაბამოა ქართულ კანონმდებლობასთან, კერძოდ: საბაჟო უწყების მიერ არასწორად დარიცხული გადასახდელების (იმპორტი, საურავი და სხვა) დარიცხვის შემთხვევაში, საბაჟო უწყება ეკონომიკურ ოპერატორს არასწორად დარიცხულ საურავზე არ გადაუხდის შესაბამის პროცენტს, მაგრამ პროცენტის გადახდა მოხდება საბაჟო უწყების მიერ იმ შემთხვევაში, თუ გადახდილი გადასახდელების დაბრუნების მიზნით ეკონომიკური ოპერატორის მიერ შემოტანილი განაცხადი 3 თვის მანძილზე არ მიიღო საბაჟო უწყებამ.

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლი შეუსაბამოა ქართულ კანონმდებლობასთან, კერძოდ: როდესაც დარიცხული საბაჟო დავალიანება არასწორად გაუქმდება ან არასწორად იქნა დაბრუნებული გადახდილი გადასახდელები, თავდაპირველ ეტაპზე დაიდენტიფიცირებული დავალიანება კვლავ გადახდის ობიექტი ხდება. ამასთანავე, 241-ე მუხლში გათვალისწინებული საბაჟო უწყების მიერ გადახდილი პროცენტიც უნდა დაბრუნდეს.

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის “დ.ე“ ქვეპუნქტით იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია ფიზიკური პირის მიერ საქართველოში „მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის“. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლამდე, პირადი ქონების ფლობის და წინა ქვეყანაში ცხოვრების ხანდაზმულობის ვადას, აგრეთვე ქონების გამოყენების მიზნობრიობის შეზღუდვას, კერძოდ, ახალ საცხოვრებელ ადგილზე ქონების გამოყენებას იმავე მიზნებისთვის, რისთვისაც იყენებდა ძველ საცხოვრებელ ადგილზე. არ არის გათვალისწინებული, რომ შედვათები გამოიყენება ისეთი პირადი ქონებისადმი, რომელიც შევა კავშირის ტერიტორიაზე პირის საცხოვრებლად დამკვიდრებიდან 12 თვის განმავლობაში (საქართველოს ფინანსთა მინისტრის № 290 ბრძანებით განსაზღვრულია 90 კალენდარული დღე).

- საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელია თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული პირადი ქონების გასესხება, დაგირავება, უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება ან უსასყიდლოდ გადაცემა უფლებამოსილი ორგანოსთვის შეტყობინების გარეშე. ქონების ასეთი ფორმით გამოყენება იწვევს იმპორტის გადასახადის გადახდის ვალდებულებას ქმედების დღისათვის არსებული განაკვეთებით.

- ევროკავშირის ქვეყნებში დაშვებულია ქონების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება პირის წევრ ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლამდე 6 თვით ადრე, თუ ის წარადგენს გარანტიას, რომ ის 6 თვის განმავლობაში დამკვიდრდება საცხოვრებლად, ხოლო ქართული კანონმდებლობა აღნიშნულს არ ითვალისწინებს.

ჩვენი აზრით, ევროსაბჭოს ეს რეგულაცია გაცილებით ლიბერალური და სამართლიანია, ვინაიდან ამ განთავისუფლებას არ აქვს თანხობრივი შეზღუდვა საქონლის საბაჟო ღირებულებაზე, რომელიც არსებობს საქართველოს კანონმდებლობის შემთხვევაში, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შემთხვევაში ეს თანხობრივი შეზღუდვა გამართლებულია იმ გარემოებით, რომ განთავისუფლებული საქონლის მიზნობრიობაზე არ არსებობს დამატებითი კონტროლი. ასევე არ არსებობს საცხოვრებლად დამკვიდრებიდან 12 თვის და საცხოვრებლად შემოსვლამდე 6 თვით ადრე (გარანტიის წარმოდგენით) ქონების შემოტანის შესაძლებლობა. ვინაიდან გადასახადიდან გათავისუფლებული საქონლის მიზნობრიობის კონტროლი დაკავშირებულია დამატებით ადმინისტრაციულ ხარჯებთან, ამიტომ აღნიშნული პრობლემა საქართველოში მოგვარებულია, საქონლის ღირებულების შეზღუდვით, ანუ საქართველოს კანონმდებლობით 15000 ლარამდე ღირებულების ქონება მისი მიზნისა და სხვა გარემოებების მიუხედავად თავისუფლდება იმპორტის გადასახადიდან. საქართველოს კანონმდებლობით ასევე არ არსებობს ქორწინებაზე დათქმა, თუმცა მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას ნებისმიერი მდგომარეობის პირის მიმართ ვრცელდება სსკ-ის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტი.

- საქართველოს კანონმდებლობით, მემკვიდრეობით მიღებული ქონების შემოტანის დროს, არანაირი შლავათი არ არსებობს და მის მიმართ ვრცელდება

ისეთივე წესები, როგორც ზოგადად ნებისმიერი იმპორტირებული საქონლის მიმართ.

ჩვენი აზრით თუ სამომავლოდ დაწესდება შეღავათი, ამ შემთხვევაში, არ უნდა არსებობდეს ლიმიტი საქონლის ღირებულების კუთხით. კანონდარღვევის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლოა საქონლის იმპორტისას კონტროლის დაწესება, მაგალითად მემკვიდრეობით მიღებული ქონების შემოტანა მოხდეს ერთ პარტიად, ვინაიდან რამოდენიმე პარტიად შემოტანის შემთხვევაში კანონდარღვევის მეტი რისკი არსებობს.

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 86, პირველი პუნქტის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები. შეღავათი ვრცელდება მხოლოდ აღნიშნული საქონლის დროებითი შემოტანისას. განსხვავებაა ასევე ლიმიტებში (წონაში, ღირებულებასა და შემოტანილი სატრანსპორტო საშუალების ტიპზე - სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო)²⁴

- ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში მოქმედი ინდუსტრიული და სამეწარმეო პოლიტიკის გათვალისწინებით, წარმოების საშუალებები და სხვა აღჭურვილობა, რომელიც ეკუთვნის საწარმოს, რომელიც წყვეტს არსებობას მესამე ქვეყანაში და გადმოდის კავშირის ტერიტორიაზე იმავე საქმიანობის გასაგრძელებლად თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან. ხოლო როდესაც საწარმო სასოფლო-სამეურნეო ხასიათისაა, ასევე მისი საკუთრებაში არსებული ცოცხალი ცხოველებიც დაიშვებიან ტერიტორიაზე იმპორტის გადასახადის გადახდის გარეშე. საქართველოს კანონმდებლობაში მსგავსი რეგულაცია არ არსებობს და შეღავათი ვრცელდება მხოლოდ საქონლის დროებით შემოტანაზე, ასევე განსხვავებაა ლიმიტებში (წონაში, ღირებულებასა და შემოტანილი სატრანსპორტო საშუალების ტიპზე - სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო). ევროკავშირის რეგულაციის მიხედვით თესლი, სასუქი და ნიადაგისა და კულტურების მოვლის პროდუქტები, რომელიც განკუთვნილია მესამე ქვეყანაზე მოსაზღვრე კავშირის ტერიტორიაზე არსებულ საკუთრებაზე

²⁴ http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=10291; საბჭოს რეგულაცია 1186/2009 ევროკავშირის საბაჟო კოდექსი.

გამოსაყენებლად და რომელიც მართულია წევრ სახელმწიფოზე მოსაზღვრე მესამე ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მეწარმის მიერ, თვისუფლდება იმპორტის გადასახადისგან ევროკავშირში იმპორტირებისას. იმპორტირებულია სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობების მიერ მესამე ქვეყანაში, ამ ქვეყნების მოსაზღვრე საკუთრებაზე გამოსაყენებლად. შეღავათების გამოყენება შეზღუდულია იმ რაოდენობის თესლზე, სასუქზე და ნიადაგისა და კულტურების მოვლის საშუალებებზე, რაც აუცილებელია საკუთრების შესაბამისად გამოყენებისთვის და რომელიც იმპორტირებულია კავშირის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო მეწარმის მიერ ან მისი სახელით - ნაწილობრივ შეესაბამება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი და სათესებზე ამავე მუხლის „ძ“ ქვეპუნქტი და 197-ე მუხლის თანახმად, არ იბეგრება იმპორტის გადასახადით. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ასეთ ჩანაწერს - „შეღავათების გამოყენება შეზღუდულია იმ რაოდენობის თესლზე, სასუქზე და ნიადაგისა და კულტურების მოვლის საშუალებებზე, რაც აუცილებელია საკუთრების შესაბამისად გამოყენებისთვის და რომელიც იმპორტირებულია კავშირის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო მეწარმის მიერ ან მისი სახელით“.

- განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისა ევროკავშირის რეგულაციის მიხედვით თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან: ა) სამეცნიერო აპარატებისა და ინსტრუმენტებისთვის სპეციალურად შექმნილ სათადარიგო ნაწილებზე, კომპონენტებზე ან აქსესუარებზე, თუ იმპორტირებულია ასეთ ინსტრუმენტთან ან აპარატებთან ერთად ან თუ ცალ-ცალკე მოხდა მათი იმპორტირება თუ მოხდება იმის იდენტიფიცირება, რომ ისინი განკუთვნილია ინსტრუმენტებისა და აპარატურისთვის; ბ) დამხმარე ხელსაწყოებზე, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო ინსტრუმენტებისა და აპარატურის შენარჩუნების, შემოწმების, დაკალიბრების ან შეკეთებისთვის, იმ პირობით, რომ ეს ხელსაწყოები შემოდის ასეთ ინსტრუმენტთან ან აპარატებთან ერთად ან თუ ცალ-ცალკე მოხდა მათი იმპორტირება და თუ მოხდება იმის იდენტიფიცირება, რომ ისინი განკუთვნილია ინსტრუმენტებისა და აპარატურისთვის. საქართველოში მთავარ პრობლემას ამ რეგულაციის მიღებისთვის წარმოადგენს ის თუ რა ჩაითვლება სამეცნიერო აპარატებისა და

ინსტრუმენტებისთვის სპეციალურად შექმნილ სათადარიგო ნაწილებად, რომ საქონლის გაფორმების დროს არ შეიქმნას პრობლემა.

- განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისა ევროკავშირის წევრი ქვეყნები უფლებამოსილნი არიან მიიღონ ისეთი სამედიცინო პროდუქტების ხარისხის განმსაზღვრელი პროდუქციის ნიმუში უფასოდ, რომელიც დამტკიცებულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ. საქართველოს კანონმდებლობა შეიძლება ითქვას, რომ ითვალისწინებს მსგავს შედავას ლიმიტირებულ განთავისუფლებაში საქონლის ღირებულების მიხედვით (საგზაო ტრანსპორტი - 500 ლარი, საჰაერო ტრანსპორტი - 3000 ლარი).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული განსხვავებებისა, ღრმა და ყოვლისმომცველი საავტორო სივრცის ფორმირების პროცესში მიზანშეწონილია საბაჟო სისტემის ევროკავშირის სისტემასთან პრინციპული მიახლოების უზრუნველყოფა. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საბაჟო სისტემის ევროკავშირის მოდელთან დაახლოებას, აგრეთვე, საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის მსგავსი საბაჟო რეგულირების გარემოს შექმნას; კერძო სექტორის ნებაყოფლობითი კანონმორჩილების მაღალი სტანდარტების შემოღებას, საბაჟო კონტროლის ეფექტურობის ამაღლებას, საბაჟო ადმინისტრირების სისტემის მოდერნიზაციას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და მის სათანადოდ აღჭურვას; თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და ა.შ. შედეგად შეიქმნება ევროპული დონის ეროვნული ინფრასტრუქტურული სისტემა, რაც ხელს შეუწყობს ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას, ეკონომიკური რეფორმების პროცესის განვითარებასა და ქმედითი, ფუნქციონირებადი და ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

12. საბაჟო სასაქონლო ოპერაციების ზოგადი მიმოხილვა

საბაჟო დეპარტამენტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულებით. საბაჟო დეპარტამენტი მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს საბაჟო ადმინისტრირებას და უზრუნველყოფს საქონლის ქვეყანაში შემოტანისა და ქვეყნიდან გატანის საქმიანობებს. შესაბამისად, აყალიბებს ამ პროცესების რაოდენობრივი ასახვის ინფორმაციულ ბაზას და ქმნის სატარიფო, არასატარიფო, ფიტოსანიტარიულ, ვეტერინარულ და სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების საშუალებებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაში, ის აგრეთვე აქტიურად მონაწილეობს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაში. საბაჟო დეპარტამენტის მიზანია, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე პირებისა და გადასახადის გადამხდელებისთვის უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი პირობები, პროცედურების გამარტივების, სხვადასხვა ელექტრონული სერვისის დანერგვის, ბიზნესთან მჭიდრო და ღია კომუნიკაციის საშუალებით; აღკვეთოს ნარკოტიკული საშუალებების თუ სხვა არასატარიფო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის (საშიში ქიმიური ნივთიერებები, ოზონდამშლელი ნივთიერებები, ნარჩენები, იარაღი და სხვა) უკანონო გადაადგილება.

საბაჟო სტატისტიკა საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და მას, სხვაგვარად და ძალიან ხშირად, საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკასაც უწოდებენ.

საბაჟოზე სტატისტიკური ინფორმაცია ძირითადად მიიღება საბაჟო დეკლარირების საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს დოკუმენტს, რომლითაც პირი საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ფორმისა და საშუალების შესაბამისად აცხადებს საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენების განზრახვას. საბაჟო დეკლარაცია მიუთითებს საბაჟო პროცედურებზე, რომლის შესაბამისად, ხდება საქონლის შემოტანა, გადაადგილება ან ქვეყნის დატოვება.

საბაჟო პროცედურა, რომელიც გულისხმობს საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის შემოწმებასა და საბაჟო კონტროლს, არის საქონლის ნაკადის ზოგად ან სპეციალურ ვაჭრობაში ჩართვის ან/და გამორიცხვის მიზნით სწორი იდენტიფიცირების საფუძველი. საბაჟოზე გამოიყენება კოდირების სისტემა, რომელიც იძლევა საქონლის ნაკადის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და გამორიცხავს დუბლირებული ჩანაწერების არსებობას. კიოტოს განახლებული კონვენციის დანართები მოიცავს მთელ რიგ საბაჟო პროცედურებს და იძლევა ამ აქტივობის შესაბამის სტანდარტებსა და რეკომენდებულ პრაქტიკას.²⁵

კიოტოს განახლებული კონვენციის მიხედვით,²⁶ მოცემულ ქვეყანაში მთლიანად წარმოებულ საქონლად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

ა) სასარგებლო წიაღისეული, მოპოვებული ქვეყნის წიაღებიდან, მისი ტერიტორიული წყლებიდან ან ზღვის ფსკერიდან;

ბ) ქვეყანაში მოყვანილი ან შეგროვებული მცენარეული წარმოშობის პროდუქტები;

გ) მოცემულ ქვეყანაში გაჩენილი და გაზრდილი ბინადარი ცხოველები;

დ) მოცემულ ქვეყანაში მობინადრე ცხოველებისაგან მიღებული პროდუქტები;

ე) მოცემულ ქვეყანაში ნადირობისა და თევზჭერის შედეგად მიღებული პროდუქტები;

ვ) ქვეყნის გემების მიერ ზღვაში დაჭერილი თევზი და ზღვის სხვა პროდუქტები;

ზ) პროდუქტი, რომელიც მოცემული ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარე ზღვის ფსკერიდან ან ზღვის ფსკერის წიაღიდან არის ამოღებული, მხოლოდ იმ პირობით, თუ ქვეყანას აქვს ზღვის ფსკერის ან წიაღის ამ მონაკვეთის დამუშავების საგანგებო უფლებები;

თ) მოცემულ ქვეყანაში შეგროვებული ნარჩენები და ჯართი, მიღებული საწარმოო და დამუშავების ოპერაციების შედეგად და რომელთა გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ნედლეული მასალების აღდგენისთვის;

ი) საქონელი, რომელიც წარმოებულია მოცემულ ქვეყანაში ზემოთ მოცემულ პუნქტებში მითითებული პროდუქტებისაგან.

²⁵ საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა 2010 (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2011 წ.); პარ. 8.5, გვ. 63

²⁶ იქვე.

თუ საქონლის წარმოებაში მონაწილეობდა ორი ან მეტი ქვეყანა, საქონლის წარმოშობა უნდა განისაზღვროს მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის კრიტერიუმის მიხედვით. ოპერაციები, რომელთაც წვლილი არ შეაქვთ ან მხოლოდ მცირედი წვლილი აქვთ შეტანილი საქონლის მთავარი ნიშან-თვისებების ან მახასიათებლების ჩამოყალიბებაში, და განსაკუთრებით ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტთან, არ უნდა ითვლებოდნენ რეალური წარმოების ან გადამამუშავების წარმომქმნელებად (კიოტოს განახლებული კონვენცია, დანართი/თავი 1, პარაგრაფი 6), როგორცაა:

ა) ოპერაციები, რომლებიც აუცილებელია საქონლის ტრანსპორტირების ან შენახვის უზრუნველსაყოფად;

ბ) საქონლის გარეგანი სახის ან კომერციული (საბაზრო) ხარისხის გაუმჯობესების ან მისი ტრანსპორტირებისათვის მოსამზადებელი ოპერაციები, რომლებშიც შედის საქონლის პარტიის დაყოფა, შეფუთვების დაჯგუფება, სორტირება, მარკირება, მეორეული შეფუთვა;

გ) მარტივი აწყობითი ოპერაციები;

დ) სხვადასხვა წარმოშობის საქონლის შერევა იმ პირობით, რომ მიღებული პროდუქციის მახასიათებლები არსებითად არ განსხვავდება იმ პროდუქტების მახასიათებლებისაგან, რომელთა შერევაც ხდება.

კიოტოს განახლებული კონვენციის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც ეხება საქონლის როგორც მთლიანად წარმოების, ისე მისი მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის საკითხებს, იზიარებს და პრაქტიკაში იყენებს ქვეყნების უმეტესობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა სახელმძღვანელო პრინციპების დეტალების საკითხებში. უმეტეს შემთხვევაში, განსჯის საგანია, თუ რომელი საქონელი შეიძლება ჩაითვალოს მთლიანად წარმოებულად მოცემულ ქვეყანაში და როგორი ტრანსფორმაციები შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვნად.

საბაჟო სტატისტიკა აღრიცხავს სასაქონლო ოპერაციების განხორციელებისას დეკლარირებულ საქონელს. საქონლის დეკლარირებისას კი გამოიყენება შემდეგი სასაქონლო ოპერაციები:²⁷ ა) იმპორტი; ბ) ექსპორტი; გ) რეექსპორტი; დ) ტრანზიტი; ე) საწყობი; ვ) თავისუფალი ზონა; ზ) დროებითი შემოტანა; თ) შიდა გადამამუშავება; ი) გარე გადამამუშავება. საბაჟო სტატისტიკა აღრიცხავს არა მარტო

²⁷ კუხიანიძე-ახვლედიანი ნ., საბაჟო სტატისტიკა. დამხმარე სახელმძღვანელო. ქუთაისი. 2014. გვ. 34.

იმ საქონელს, რომელმაც გადაკვეთა საზღვარი ექსპორტ-იმპორტის სახით, არამედ გაწეულ მომსახურებასაც, რომელსაც ერთი ქვეყანა ეწევა მეორე ქვეყნის მიმართ.

ამიტომ საბაჟო სტატისტიკაში შეიძლება გამოვეყოთ:

- საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა
- სასაქონლო ოპერაციების აღრიცხვის სტატისტიკა

ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სასაქონლო ოპერაციაა ექსპორტი, რომელიც ეწოდება სამამულო წარმოების საქონლის გაზიდვას საზღვარგარეთ. ექსპორტის სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა, საქართველოს საქონელი გავიდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ, მათ შორის, დროებით, დაბრუნების პირობით. ექსპორტის სასაქონლო ოპერაცია გამოიყენება, თუ საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას იმავე მდგომარეობაში იყო, რომელშიც ექსპორტის დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს, გარდა ბუნებრივი დანაკარგებით გამოწვეული ცვლილებებისა. ექსპორტისას ხორციელდება საგაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები. ექსპორტი გათავისუფლებულია გადასახდევებისგან, გარდა შავი/ფერადი ლითონების და ასევე ჯართის ექსპორტის შემთხვევისა, რომლის მომსახურების ტარიფის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონელი დეკლარირდება, თუ წარდგენილი იქნება ერთ-ერთი დოკუმენტი: სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია ან სასაქონლო ზედნადები (გარდა შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის ან სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტისა).

ფიზიკური პირის მიერ 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონლის გატანა (გარდა შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის ან სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტისა), ან საქართველოდან მუდმივსაცხოვრებლად გასვლისას პირადი ნივთების (გარდა სატრანსპორტო საშუალებისა), ავეჯისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის გატანა საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარირდება გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით ან ზეპირი დეკლარირებით.

სატრანსპორტო საშუალების ექსპორტი დეკლარირდება შსს-ის მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურებში ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით.

იმპორტი ეწოდება საქონლისა და მომსახურების შემოზიდვას უცხოეთიდან. საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით შეიძლება გადაადგილდეს ნებისმიერი სახის

საქონელი, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა/საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის.

არსებობს გამონაკლისები, კერძოდ:

➤ ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი ფართო მოხმარების ან/და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის შემოტანა საავტომობილო მიმოსვლისათვის გახსნილი საბაჟო გამშვები პუნქტების გავლით შესაძლებელია მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

➤ საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის“ გავლით ნებისმიერი საქონლის გადაადგილება (გარდა ფიზიკური პირის მიერ გადაადგილებულისა) შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო დეპარტამენტის თანხმობით.

➤ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ჯართის შემოტანა/გატანა შესაძლებელია მხოლოდ სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით, შესაბამისი საბაჟო გამშვები პუნქტების გავლით.

➤ საბაჟო დეპარტამენტის თანხმობის შემთხვევაში ჯართის შემოტანა/გატანა შესაძლებელია განხორციელდეს საავტომობილო ტრანსპორტით.

➤ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა/საბაჟო ტერიტორიიდან გატანა შემოსავლების სამსახურის თანხმობით შეიძლება განხორციელდეს საბაჟო გამშვები პუნქტის გარდა სხვა ადგილის გავლით.

➤ იმ შემთხვევაში, როდესაც საბაჟო გამშვებ პუნქტში შეუძლებელია საქონლის დათვალიერება, საქონლის გადამადგილებელი სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება ნიშანდებას და მოწმობით გადაადგილდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შერჩეულ საბაჟო ტერმინალამდე ან საბაჟო საწყობამდე ან დროებით შენახვის სხვა ადგილამდე, სადაც განხორციელდება საქონლის დათვალიერება.

დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი რაოდენობისა და ღირებულების ან/და ეკონომიკური დანიშნულებით შემოტანილი საქონლის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარ, ან საქონლის შემოტანისთანავე საბაჟო გამშვებ პუნქტში, ან შემოტანის შემდგომ გაფორმების ადგილზე ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ სხვა ადგილზე.

დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი რაოდენობისა და ღირებულების ან/და ეკონომიკური დანიშნულებით შემოტანილი საქონლის გაფორმების ადგილებია 5 არსებული გაფორმების ეკონომიკური ზონა და გაფორმების სამმართველოები.

იმპორტისას საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი, გამოიყენება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები და გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოში რეგისტრირებული და საქართველოს აღმით მცურავი გემის მიერ მოპოვებული საზღვაო თევზჭერის პროდუქტებისა და ზღვის სხვა პროდუქტების მიმართ, ასევე გადამამუშავებელ (მწარმოებელ) გემზე ზემოაღნიშნული პროდუქტებისაგან მიღებული პროდუქტების მიმართ არ გამოიყენება იმპორტის სასაქონლო ოპერაცია და ისინი არ იბეგრება იმპორტის გადასახდელებით. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ობიექტებია ის საქონელი, რომელიც საზღვარზე არის დეკლარირებული და შემოიზიდა ან გაიზიდა ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთში.

საბაჟო საწყობში/საბაჟო ტერმინალში/შენახვის სხვა ადგილზე საქონლის შენახვას უზრუნველყოფს საწყობის სასაქონლო ოპერაცია, რომლის დროსაც შეიძლება შენახულ იქნას უცხოური საქონელი სატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე; საქართველოს საქონელი, თუ საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შენახვის მიზანია მისი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა. საწყობში საქონლის შენახვის ვადა არ არის შეზღუდული. საწყობის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის მოქცევისას წარდგენილი უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საწყობის სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა, საბაჟო საწყობში/საბაჟო ტერმინალში/შენახვის სხვა ადგილზე შენახულ იქნეს:

ა) უცხოური საქონელი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე;

ბ) საქართველოს საქონელი, თუ საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შენახვის მიზანია მისი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა. საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შენახვის ვადა არ არის შეზღუდული. საწყობის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის მოქცევისას წარდგენილ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საწყობი ითვლება საბაჟო კონტროლის ზონად.

„თავისუფალი ზონა“ არის კონტრაქტორი მხარის ტერიტორიის ნაწილი, სადაც ნებისმიერი შემოტანილი საქონელი განიხილება როგორც საბაჟო

ტერიტორიის გარეთ არსებული, რადგან გააჩნია საიმპორტო და საგადასახადო ვალდებულებები. თავისუფალ ზონაში შესვლის ნებართვა გაიცემა როგორც პირდაპირ უცხოეთიდან იმპორტირებულ საქონელზე, ასევე კონტრაქტორი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან შემოტანილ საქონელზეც. ტერმინი „თავისუფალი ზონა“ (ან „თავისუფალი საბაჟო ზონა“) აღნიშნავს სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილს, სადაც შესაძლებელია რეალიზებულ იქნას უცხოური საქონელი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე.

საქონელმა, რომელიც შემოტანილია თავისუფალ ზონაში, უნდა გაიაროს მისი უვნებლობის უზრუნველყოფი ოპერაციები, შეფუთვისა და საბაზრო ხარისხის გაუმჯობესებისათვის ან გადასახიდად საჭირო დამუშავების პროცედურები. მაგ.: როგორცაა: სატვირთო პარტიების შედარებით მცირე პარტიებად დაშლა, ამანათების დაჯგუფება, დახარისხება და ხელახალი შეფუთვა, სადაც კომპეტენტური უწყებების მხრიდან ნებადართულია თავისუფალ ზონაში საქონლის დამუშავებისა და წარმოების ოპერაციების ჩატარება, მათ უნდა განსაზღვრონ, რა შემთხვევაში შეიძლება საქონლის გადამუშავება, დეტალურად უნდა გაწერონ თავისუფალ ზონაში მოქმედი რეგულაციები და განსაზღვრონ ის საწარმო, რომელსაც გადაეცემა ამ ოპერაციების შესრულების უფლება.²⁸

რეექსპორტი გულისხმობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონლის გატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ, რომლის დროსაც საქონელი თავისუფლდება გადასახდელებისაგან. რეექსპორტისას უცხოური საქონლის გატანა ხორციელდება გადახდილი თანხის დაბრუნებით ან/და მომავალ ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლით, იმ სასაქონლო ოპერაციისათვის დადგენილი პირობების გათვალისწინებით, რომელშიც მოქცეული იყო საქონელი. რეექსპორტის სასაქონლო ოპერაცია შეიძლება მიესადაგოს იმპორტირებულ საქონელს, რომელიც რაიმე სახის დეფექტის, წუნის ან საბუთებთან შეუსაბამო მახასიათებლების გამო უბრუნდება მომწოდებელს.

რეექსპორტი შესაძლებელია განხორციელდეს როდესაც საქონლის შემოტანისას პირი საბაჟო გამშვებ პუნქტშივე აცხადებს საქონლის მიმართ რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენების განზრახვას²⁹ და ამ ოპერაციის განხორციელებისა და დასრულების მიზნით საქონელს ათავსებს დროებითი

²⁸ კიოტოს განახლებული კონვენცია, დანართი /თავი 2/პარაგრაფი 11. გვ. 30.
<http://customs.gov.ph/wp-content/uploads/2016/10/KYOTO-Convention.pdf>

²⁹ სსიპ შემოსვლების სამსხურის ოფიციალური ვებგვერდი.

შენახვის ადგილზე, როდესაც განზრახულია საწყობის, შიდა გადამუშავების, დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის რეექსპორტი; როდესაც პირი საქართველოში არარეგისტრირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას საქართველოში შემოტანიდან (გარდა ტრანზიტით გადაადგილებისა) დადგენილ ვადაში წარადგენს გაფორმების ადგილზე (გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ უცხოეთში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოტანისა); როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქის (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეა) მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოეთში რეგისტრირებული: სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალება შემოსვლიდან 45 კალენდარული დღის ვადაში ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას; მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება, ავტობუსი ან მოტოციკლეტი 90 კალენდარული დღის ვადაში ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას; როდესაც ხორციელდება დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით ან აღრიცხვის მოწმობის გაცემით დეკლარირებული საქონლის რეექსპორტი; როდესაც დადგინდება, რომ იმპორტში მოქცეულ საქონელს აქვს დეფექტი ან მისი რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება გარიგების პირობებს და ამ მიზეზით უბრუნდება მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს. ამ შემთხვევაში: საქონელი არ უნდა იქნას გამოყენებული და გადამუშავებული საქართველოს ტერიტორიაზე; შესაძლებელი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოს მიერ საქონლის იდენტიფიცირება; საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონელი გატანილი უნდა იქნას იმპორტში გაშვების დღიდან 6 თვეში.

გადამუშავების ოპერაციებს მიეკუთვნება:³⁰

- საქონლის დამუშავება, მათ შორის, მონტაჟი, აწყობა ან სხვა საქონელზე მორგება;
- საქონლის წარმოება;
- საქონლის შეკეთება, მათ შორის, აღდგენა და მუშა მდგომარეობაში მოყვანა;
- საქონლის განადგურება;

³⁰ კუხიანიძე-ახვლედიანი ნ., საბაჟო სტატისტიკა. დამხმარე სახელმძღვანელო. ქუთაისი. 2014. გვ. 36.

➤ საქონლის გამოყენება, რომელიც არ შედის გადასამუშავებელი საქონლის შემადგენლობაში, ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტის წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ იხარჯება გადამუშავების პროცესში.

გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას წარდგენილი უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა. გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას საქონლის გადამუშავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს. განსხვავებული ვადის დადგენის უფლება აქვს შემოსავლების სამსახურის უფროსს. გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას დეკლარანტი განსაზღვრავს საქონლის გამოსავლიანობას.

შიდა გადამუშავების რეჟიმში ექცევა: უცხოური საქონელი, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოდის გადამუშავების მიზნით და ხდება გადამუშავების შედეგად მიღებული საქონლის ექსპორტი. ამ შემთხვევაში არ გადაიხდებიან როგორც იმპორტის გადასახდელები, ასევე საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან გატანისას-ექსპორტის გადასახდელები.

საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოსული გადამუშავების მიზნით და გადამუშავების შედეგად მიღებული საქონელი ექცევა იმპორტის რეჟიმში და იძენს საქართველოს საქონლის სტატუსს. ამ შემთხვევაში უცხოური საქონლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შიდა გადამუშავების მიზნით შემოტანისას არ გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელები, ხოლო უკვე გადამუშავებული საქონლის იმპორტის რეჟიმში მოქცევისას გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელები და ხორციელდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები.

იმპორტის რეჟიმში მოქცეული საქონელი, რომელზედაც გადახდილი იმპორტის გადასახდელები უნდა დაექვემდებაროს დაბრუნებას ან ჩათვლას, თუ გადახდილი იმპორტის გადასახდელები უკვე არ არის დაბრუნებული ან ჩათვლილი და მისგან მიღებული გადამუშავებული საქონელი გაიტანება საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან.

რაც შეეხება გარე გადამუშავებას, ამ დროს სასაქონლო ოპერაცია გამოიყენება საქართველოს საქონლის მიმართ, რომლის დროებითი გატანისას გადაიხდებიან ექსპორტის გადასახდელები, ხორციელდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები და ის პროცედურები, რომელიც გათვალისწინებულია ექსპორტისას, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავებული საქონლის საქართველოს ეკონომიკურ

ტერიტორიაზე შემოტანისას გადაიხდებინება კუთვნილი იმპორტის გადასახდელები, რომელიც განისაზღვრება გატანილი გადასამუშავებელი და დაბრუნებული გადამამუშავებული საქონლის სატარიფო ღირებულებებს შორის სხვაობის თანხით.

საბაჟო სტატისტიკა აღრიცხავს ისეთ საბაჟო პროცედურას, როგორცაა „შიდა მოხმარებისთვის გაფორმება“, რომელიც უზრუნველყოფს იმპორტირებული საქონლის მოხვედრას საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში საგადასახადო ვალდებულებების დაფარვისა და ყველა საჭირო საბაჟო ფორმალობების შესრულების შემდეგ.

სტატისტიკური აღრიცხვა ითვალისწინებს „საქონლის გადამამუშავებას შიდა მოხმარებისათვის“, რომლითაც განბაჟებამდე საქონელი შეიძლება გადამამუშავდეს საბაჟოს კონტროლის ქვეშ ისე, რომ მიღებულ პროდუქტზე დაწესებული საიმპორტო გადასახადები ნაკლები იყოს იმპორტირებულ საქონელზე დაწესებულ გადასახადზე.

განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს „საფოსტო გადაზიდვებთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების“ აღრიცხვა, რადგან ის გულისხმობს სპეციალური საბაჟო დეკლარაციის ფორმის მიხედვით აღრიცხვას, როგორც აღწერილია მსოფლიო საფოსტო კავშირის მოქმედ აქტში.

საბაჟო სტატისტიკა უნდა ფლობდეს ინფორმაციას „საბაჟო ტრანზიტის“ შესახებაც, რომელიც წარმოადგენს იმ საბაჟო პროცედურას, რომლის დროსაც საქონელი გადაადგილდება საბაჟო კონტროლის ქვეშ ერთი საბაჟო ოფისიდან მეორეში.

საბაჟო სტატისტიკისათვის მნიშვნელოვანია საქონლის აღრიცხვა საერთაშორისო გადაზიდვებში გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების მიხედვითაც. ნებისმიერი საჰაერო, საგზაო თუ სარკინიგზო ტრანსპორტის და ასევე, სამრეწველო და კომერციული გადაზიდვებისთვის განკუთვნილი ტრანსპორტის მიხედვით, სათადარიგო ნაწილების, მოწყობილობების და აღჭურვილობის ჩათვლით. ასევე, გაითვალისწინება ავზში განთავსებული საწვავი და საპოხი საშუალებები, რომელთა გადაზიდვა ხდება კომერციული დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებით.

„საქონლის წარმოშობის ქვეყანა“ არის ქვეყანა, სადაც წარმოებულია საქონელი საბაჟო ტარიფების გამოყენებით განსაზღვრული კრიტერიუმების, რაოდენობრივი შეზღუდვების ან ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა ზომების მიხედვით.

საქონლის წარმოშობის ქვეყანა განისაზღვრება წარმოშობის წესით, რომელიც თავად ქვეყანაშია დადგენილი.

წარმოშობის წესი მოიცავს 2 ძირითად კრიტერიუმს:

ა) მთლიანად წარმოებული მოცემულ ქვეყანაში;

ბ) „მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის“ კრიტერიუმი, როდესაც ორი ან მეტი მხარე მონაწილეობდა საქონლის წარმოებაში³¹.

„არსებითი ტრანსფორმაციის კრიტერიუმი“ არის კრიტერიუმი, რომლის თანახმად განისაზღვრება საქონლის წარმოშობა ქვეყნის მიხედვით, სადაც აწარმოეს და გადაამუშავეს საქონელი. საქონლის წარმოშობის ქვეყნად ჩაითვლება ის ქვეყანა, სადაც ის სრულად იქნა წარმოებული.

რა არის დროებითი შემოტანა? დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა, უცხოური საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით იქნას შემოტანილი. ამ დროს საქონელი სრულად ან ნაწილობრივ თავისუფლდება იმპორტის გადასახდელებისაგან. დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის მოქცევის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემოსავლების სამსახური განსხვავებულ ვადას დაადგენს.

რაც შეეხება „საქონლის დროებითი შენახვას“, ეს არის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის მომენტიდან მათ გაშვებამდე, ან არსებული რეჟიმის შესაბამისად პირის განკარგულებაში გადაცემამდე საქონლის შენახვა საბაჟოს კონტროლის ქვეშ არსებულ დახურულ ან ღია სივრცეში („დროებითი საწყობები“).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საბაჟო სტატისტიკაზე გადასვლა გულისხმობს სამართლებრივი (საბაჟო კოდექსის შექმნას), დოკუმენტური (სატვირთო საბაჟო დეკლარაციების ინფორმაცია), მეთოდოლოგიური (საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მეთოდოლოგია), კონსტრუქციული (ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშგებითი ფორმები) და ტექნოლოგიური (ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის რეგლამენტი) საფუძვლების შექმნას. სპეციალური საბაჟო სტატისტიკა არა მარტო ექსპორტ-იმპორტსა და, შესაბამისად, საექსპორტო და საიმპორტო დეკლარირებას, არამედ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სატრანზიტო დეკლარირებას, საგალუტო ოპერაციებზე და

³¹ საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა 2010 (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2011 წ.). პარ. 6.6 გვ. 54.

უცხოეთთან ურთიერთობის სხვა სპეციალური სახის ოპერაციებს აღრიცხავს, აგროვებს შესაბამის მასალას, ამუშავებს და გადასცემს შესაბამისი მისამართებით.

საქართველოში მოქმედებს ხუთი გაფორმების ეკონომიკურ ზონა (გეზ-ი):

- გეზ „თბილისი“;
- გეზ „თბილისი-2“;
- გეზ „აეროპორტი“;
- გეზ „ბათუმი“;
- გეზ „ფოთი“.

მოქმედებს ხუთი რეგიონული განყოფილება:

- რუსთავის;
- თელავის;
- ქუთაისის;
- ახალციხის რეგიონული განყოფილებები და
- რკინიგზით გადაადგილებული ტვირთების გაფორმების განყოფილება, სადაც შესაძლებელია გაფორმდეს ტვირთი კვირაში 7 დღისა და 24 საათის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია, რომ ტვირთი შესაძლებელია გაფორმდეს გეზ-ში მოუსვლელად შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე (www.rs.ge) დოკუმენტების ატვირთვით. გეზ-ში შესაძლებელია სახმელეთო, საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო ტვირთებზე დეკლარაციის შევსება და გაფორმება.

სტატისტიკური აღრიცხვის კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ დეკლარაციის შევსება/გაფორმება გეზ-ში ხორციელდება ერთი ფანჯრის პრინციპით შემდეგ სასაქონლო ოპერაციაზე: იმპორტი, ექსპორტი, საწყობი, რექსპორტი, დროებითი შემოტანა, საქონლის გადამუშავება შიდა ტერიტორიაზე, საქონლის გადამუშავება ტერიტორიის გარეთ, ტრანზიტი.

შესაძლებელია დეკლარაციის შევსება ორგანიზაციის მიერ. იმპორტიორს/ექსპორტიორს ეძლევა პირდაპირი დაშვება ASYCUDA პროგრამასთან. ასეთ შემთხვევაში გაფორმების ოფიცერი ასრულებს ტვირთის გაფორმებას მიმდინარე (on-line) რეჟიმში სერვიერის მეშვეობით. გაფორმების პროცედურის დასრულების დროსა და ხარჯებს ამცირებს წინასწარი დეკლარირება, რომლისთვისაც საჭიროა შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საქართველოში შემოსვლამდე (საზღვრის

გადმოკვეთამდე) დეკლარირებისთვის საჭირო დოკუმენტები წინასწარი განხილვისათვის წარედგინება გეზ-ში (ადგილზე) ან შესაძლებელია აიტვირთოს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე: www.rs.ge და წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე, გეზ-ის მომსახურების ოფიცერი შეავსებს და ელექტრონულად დააბრუნებს დარეგისტრირებულ („C“ ნომრიან) საბაჟო დეკლარაციას. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ქვეყანაში შემოსვლისას საზღვარზე განისაზღვრება რისკის დერეფანი. წინასწარი დეკლარირებისას მოქმედებს იმპორტის გადასახდელისა და მომსახურების საფასურის 15 დღიანი გადავადება.

შესაძლებელია „დისტანციური“ დეკლარირება ელექტრონული ხელმოწერით. ტვირთის გაფორმება შესაძლებელია გაფორმების ნებისმიერი ადგილიდან, მიუხედავად ტვირთის ადგილმდებარეობისა, ერთი რეგიონიდან მეორეში ჩასვლის გარეშე ელექტრონული ხელისმოწერით.

მეტად მნიშვნელოვანია დერეფნების მიხედვით ტვირთის დათვალიერების საკითხი. ექსპერტიზა ტარდება გეზ „თბილისში“, გეზ „ბათუმში“ გეზ „ფოთში“, რუსთავის, თელავის, ახალციხის, ქუთაისის რეგიონულ განყოფილებებში საქონლის იდენტიფიცირების, რაოდენობის, ღირებულების ან/და მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით; გეზ-ის მიერ დანიშნული სასაქონლო ექსპერტიზა უფასოა, ხოლო იმპორტიორის ინიციატივით დანიშნული ექსპერტიზის ფასიანია. ცხადია, სასაქონლო დეკლარაციის შევსება, ტვირთის გაფორმება, დათვალიერება და ექსპერტიზის ჩატარება შესაძლებელია რეგიონებშიც.

სპეციალური საბაჟო სტატისტიკა ითვალისწინებს საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული პროცედურების დარღვევის რაოდენობრივ ანალიზს. იმისათვის, რომ გამოვლენილი დარღვევის დაფიქსირება და, შესაბამისად, განზოგადებული მაჩვენებლების გაანგარიშება განხორციელდეს, მიზანშეწონილია კლასიფიცირებულ იქნეს ამ დარღვევათა სახეები მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

საბაჟო სტატისტიკა რაოდენობრივად ასახავს დეკლარირებას დაქვემდებარებულ საქონელს. საბაჟო დეკლარირებას ექვემდებარება: ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონელი; იარაღი ან ასაფეთქებელი მასალა; ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერება; ანტიკვარული ან ხელოვნების ნიმუში; მომწამვლელი ნივთიერება ან მედიკამენტი; მცენარე ან ცხოველი (მათი ნაწილები ან მათგან მიღებული პროდუქცია); მაღალი სიხშირის რადიოელექტრონული მოწყობილობა ან კავშირგაბმულობის საშუალება; რადიოაქტიური მასალა.

მოცემულ საქონელზე მოითხოვება შესაბამისი სერტიფიკატი ან/და ნებართვანადლი ფული, ჩეკები დასხვა ფასიანი ქაღალდები, რომელთა ჯამური ნომინალური ღირებულება აღემატება 3000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში.


საქონლის საზღვარზე გაფორმების ანალიზისთვის სტატისტიკა ადგენს პორტალებში გაფორმების რაოდენობრივ მახასიათებლებს. პორტალებში შესაძლებელია გაფორმდეს: 3 000 ლარზე ნაკლები ღირებულების საქონელი იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში; საჰაერო ტრანსპორტით ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილი ნებისმიერი ღირებულების საქონელი; უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის 15 000 ლარამდე ღირებულების საქონელი; საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი. პორტალებში აგრეთვე შესაძლებელია გაფორმდეს გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში გაცხადებული 3000 ლარზე ნაკლები ღირებულების საქონელი; იმპორტში გაცხადებული დაბრუნებული საქონელი; არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დროებით (სამსახურებრივი მივლინებით ან შრომითი ხელშეკრულებით) შემოსვლისას შემოტანილი, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი; პორტალ „ბათუმის პორტში“ ან პორტალ „ფოთისა და ყულევის პორტებში და ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში“ კონტეინერით სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად შემოტანილი სხვა საქონელი; 15 000 ლარზე ნაკლები ღირებულების ან ზედნადებით წარდგენილი საქონელი ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში; საქართველოდან მუდმივ საცხოვრებლად გასვლისას პირადი ნივთები (გარდა სატრანსპორტო საშუალებისა), ავეჯი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი; 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის საქონელი უნდა შედიოდეს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე – 97-ე ჯგუფებში (გარდა 87-ე ჯგუფისა), ხოლო უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლებსა და საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეულ დიპლომატიური თანამდებობის პირებს დამატებით შეუძლიათ შემოიტანონ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი

იყოს შესაბამისი დოკუმენტები, კერძოდ, სატრანსპორტო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანსპორტო ზედნადები ან TIR – წიგნაკი, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში – საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის დედანი ან ასლი; საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – კონოსამენტი; საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – ავიაზედნადები; სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სარკინიგზო ზედნადები;

საბაჟო გადასახადებს მიეკუთვნება:

- იმპორტის გადასახადი - სატარიფო ღირებულების 0; 5; 12 პროცენტი ან ფიქსირებული განაკვეთი (საგადასახადო კოდექსის XXVIII თავის შესაბამისად);
- დღგ – ღირებულების 18 პროცენტი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის შესაბამისად);
- აქციზი – განაკვეთი დიფერენცირებულია (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის შესაბამისად).

ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები³⁴



როგორც ვხედავთ, თითოეული მათგანი, თავის მხრივ, იმ აუცილებელი ინდიკატორების ერთიანობას წარმოადგენს, რომელთა დაცვა აუცილებელია ოფიციალური ევროპული სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელებისთვის, იმ

³⁴ სქემა აგებულია ჩვენ მიერ.

წყარო: კლაუდია იუნკერი - „გაეროს ფუნდამენტური პრინციპები ოფიციალური სტატისტიკის სფეროში.“ პრეზენტაცია. 2017 წელი.

გამოყენება ან მისი უკანონოდ გაგრძელება; სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯი უნდა იყოს შედეგის მნიშვნელობისა და მიღებული სარგებლის პროპორციული.³⁷

ცხადია, ეს პრინციპები უდევს საფუძვლად საბაჟო სტატისტიკის წარმოებასაც, მაგრამ, დარგის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია მხოლოდ მისთვის მახასიათებელი გარემოებები, რომლებიც მოდიფიცირებულს ხდის და კიდევ უფრო აფართოებს სტატისტიკის პრინციპების არეალს.

საბაჟო სტატისტიკის ძირითად პრინციპებად მიჩნეულია:³⁸

1. საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფო მონოპოლიის უარყოფის პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ საგარეო ვაჭრობასა და ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს აწარმოებს არა ქვეყანა, არამედ ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირები. თუ რომელიმე ფიზიკური ან იურიდიული პირი აწარმოებს უცხოეთის შესაბამის პარტნიორთან რაიმე სახის კანონმდებლობით გათვალისწინებულ გარიგებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ხდება ქვეყნის არსებული კანონებით დაცვის სუბიექტი. ასეთ შემთხვევაში მოცემული ქვეყანა ღებულობს შესაბამისი ქვეყნის მოვაჭრე ქვეყნის სტატუსს, მიუხედავად იმისა, მათ შორის შესაძლებელია ჯერჯერობით არ იყოს დამყარებული დიპლომატიური პოლიტიკური კავშირურთიერთობა.

2. თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი. ეს პრინციპი იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია შემოიტანოს ან გაიტანოს ნებისმიერი საქონელი და მომსახურება ნებისმიერი რაოდენობით (თუ ამ საქონლის ან მომსახურების შემოტანა ან გატანა არ იკრძალება სპეციალური კანონმდებლობით). ცხადია, ეს შეზღუდვა არ ამცირებს საგარეო ვაჭრობის თავისუფლების ხარისხს, ვინაიდან ერთი პირის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორე პირის თავისუფლება. „...აკრძალული საქონლის ნუსხა, როგორც წესი, შეიცავს ადამიანების, გარემოს, სახელმწიფოს უშიშროების, ჯანმრთელობის, სიცოცხლის უსაფრთხოების, ეროვნული მნიშვნელობის სულიერ ფასეულობათა გატარებული საქონლის საზღვარზე გადაადგილების აკრძალვას ან სპეციალურ ლიცენზირებას, ანუ ასეთი აკრძალვა არ აძლევს საშუალებას მოვაჭრე სუბიექტს თავისი თავისუფლების მიხეზებით შეიტრას სხვა პირების და პირთა საზოგადოების სასიცოცხლო, სოციალურ, სულიერ და სხვა უფლებებში“.

³⁷ აბესაძე ნ., ქინქლაძე რ., ჩიტალაძე ქ., სტატისტიკა ტურიზმისათვის, თბ., 2015, გვ. 42.

³⁸ კუხიანიძე-ახვლედიანი ნ., საბაჟო სტატისტიკა. ქუთაისი, 2014, გვ., 37-39.

3. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო რეგულირების პრინციპი. ეს პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ საგარეო ვაჭრობის თავისუფლების პრინციპი არ შეიზღუდება, თუ სახელმწიფო წახალისებს ან შეზღუდავს რაიმე სახის საქონლის შემოტანას ან გატანას ოპტიმალური მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარების მიზნით. ეს უნდა მოხდეს, უმთავრესად, ეკონომიკური მეთოდებით. ასეთი მეთოდების განხორციელება წარმოებს სატარიფო პოლიტიკის მეშვეობით. საბაჟო ტარიფების აწევით ან დაწევით სახელმწიფოს შეუძლია არეგულიროს საგარეო ვაჭრობა. მაგალითად, სამამულო წარმოების წახალისების მიზნით შეიძლება გადიდდეს საბაჟო ტარიფები იმპორტზე. „მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში საბაჟო გადასახადის განაკვეთი მერყეობს 5-6%-ს შორის, მაშინ, როცა არგენტინაში ის 30%-ია, ბრაზილიაში – 25%, კოლუმბიაში – 22%, აზიასა და აფრიკის ღარიბ ქვეყნებში – უფრო მეტი. საქართველო საბაჟო გადასახადის განაკვეთით 5-12%-ით თითქოს შუალედურ ადგილს იჭერს“.

4. ერთიანი საბაჟო ტერიტორიის პრინციპი. ეს პრინციპი იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში სხვადასხვა სახის საბაჟო რეჟიმების, საბაჟო წესებისა და საბაჟო საგადასახადო განაკვეთების არსებობა. ისინი მათ ტერიტორიაზე ერთნაირია და არა აქვს უფლება ადგილობრივ ორგანოებს, შემოიღონ ერთიანი, საქვეყნოდ დაწესებული ნორმატივებისა და ნომრებისაგან განსხვავებული საკუთარი ნორმები და ნორმატივები. ეს პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლითაც. „მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ; ბ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ე) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი; ე) საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები“.

5. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა თანასწორუფლებიანობა. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის იურიდიული და ფიზიკური პირნი უნდა იყვნენ თანასწორუფლებიანი საბაჟო საგადასახადო სისტემის მიმართ, ყველა მათგანი უნდა იხდიდეს ერთნაირი ტარიფებით გადასახადებს და ა.შ. საქართველოში

გამონაკლისების დაშვებამ (რელიგიური, სასპორტო, სახელოვნებო და სხვა ორგანიზაციების მიმართ შეღავათიანი სატარიფო საბაჟო სისტემის შემოღებით) დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. ამჟამად ეს გამონაკლისები გაუქმებულია და დაწესებულია ერთიანი საგადასახადო სისტემა ყველა კონტრაქტისათვის, რაც თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას გულისხმობს საბაჟო სისტემაში.

6. საბაჟო პროცედურების დაჩქარებისა და გამარტივების პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ საბაჟოზე უნდა იყოს ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც არ დააყოვნებს დიდ ხნით ტვირთებს და არ დააზარალებს შესაბამის ფირმებსა და ორგანიზაციებს.

ასეთი პრინციპები უნდა დაუდოთ საფუძვლად აგრეთვე საბაჟო სტატისტიკის ორგანიზაციას, რათა თავის დროზე მივიღოთ უტყუარი და საიმედო სტატისტიკური ინფორმაცია. გათვალისწინებულია, რომ სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც გადაეცემა სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს, გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ საბაჟო საქმიანობისათვის. კოდექსით დაცულია ინფორმაციის კონფიდენციალურობაც. „ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო, კომერციულ, საბანკო ან კანონით დაცულ სხვა საიდუმლოებას, აგრეთვე კონფიდენციალური ინფორმაცია (ინფორმაცია არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, რომელსაც შეუძლია შელახოს მისი გამცემი პირის უფლებები და კანონით დაცული ინტერესები) არ შეიძლება გამოქვეყნდეს, გამოყენებულ იქნას საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ პირადი მიზნით, გადაეცეს მესამე პირს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“³⁹

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბაჟო სტატისტიკის წინაშე მდგარი ამოცანების ფორმულირება შეიძლება შემდეგნაირად:

- ექსპორტისა და იმპორტის ზუსტი აღრიცხვის საფუძველზე სტატისტიკური მონაცემების მიღება;
- საგარეო სავაჭრო ნაკადების მოცულობის ძირითადი მიმართულებების, სტრუქტურისა და დინამიკის სტატისტიკური ანალიზი;
- საბაჟო ინდექსების აგება და გაანგარიშება;
- საბაჟო სამართალდარღვევების დინამიკის სტატისტიკური ანალიზი;

³⁹ კუხიანიძე-ახვლედიანი ნ., საბაჟო სტატისტიკა. ქუთაისი, 2014, გვ., 56.

➤ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უზრუნველყოფა საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკისა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკის მონაცემებით სახელმწიფოს მიერ სწორი პოლიტიკის გასატარებლად;

➤ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის მაჩვენებელთა გამოყენება ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა და საგადასახდელო ბალანსის შესადგენად და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის წარსადგენად.

თავი II. საბაჟო სტატისტიკის პრობლემები და აღრიცხვის სრულყოფის საკითხები ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფონზე

2.1. საბაჟო მოვლენების სტატისტიკური აღრიცხვის თავისებურებები

საბაჟო სტატისტიკის უახლოეს მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სახელმძღვანელო შემდგენელთათვის, 1 რევიზია, 2010 (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2013 წ.), რომელიც განსაზღვრავს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში სტატისტიკური დაკვირვების ობიექტს, აღრიცხვის წესებსა და მეთოდებს. ამის შესაბამისად, საქართველოში საბაჟო სტატისტიკის ბაზის ფორმირებისას ამოსავალ მონაცემებს წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის სასაქონლო დეკლარაციების მონაცემები და საბაჟო ორგანოებისადმი წარდგენილის სხვა მასალები.⁴⁰ გასათვალისწინებელია, რომ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში წყლის, სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო გადაზიდვებისას დეკლარირების დროს იმპორტისა და ექსპორტის აღრიცხვა ხორციელდება სასაქონლო დეკლარაციაში საქონლის გამოშვების თარიღის მიხედვით. რაც შეეხება იმ საქონლის ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვას, რომლის გადატანა ხდება მილსადენებისა (ნავთობი, გაზი, და ა.შ.) და ელექტროგადამცემი საშუალებებით, ის ხორციელდება მათი ტრანსპორტირებისა და დეკლარირების თავისებურებების გათვალისწინებით.

ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს 1995 წლიდან. საქსტატი ამუშავებს მონაცემებს როგორც ქვეყნების მიხედვით, ისე სასაქონლო ჭრილში. ხოლო 2012 წლიდან კი აქვეყნებს საგარეო ვაჭრობის აგრეგირებულ მონაცემებს. ყოველივე ამის უზრუნველსაყოფად სტატისტიკის ეროვნული სამსახური საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკას აწარმოებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზემოხსენებული სახელმძღვანელოების შესაბამისად.

ცნობილია, რომ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა განასხვავებს ქვეყნის ეკონომიკურ, საბაჟო და სტატისტიკურ ტერიტორიებს. ზოგჯერ ისინი ისინი

⁴⁰ საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, სახელმძღვანელო შემდგენელთათვის, 1 რევიზია, 2010 (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2013 წ.), გვ. 11.

ერთმანეთს ემთხვევა და ზოგ შემთხვევაში – არა. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია არ ემთხვევა სტატისტიკური ტერიტორიას, მაშინ ქვეყანაში შემოსული და გასული სასაქონლო ნაკადები სრულად ვერ აღრიცხება.. რას წარმოადგენს სტატისტიკური ტერიტორია? ესაა ქვეყნის ტერიტორიის ის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც გროვდება და მუშავდება სტატისტიკური მონაცემები. ხშირ შემთხვევაში, როგორც წესი, სავაჭრო ოპერაციების შესახებ ინფორმაცია მოიპოვება საბაჟო პროცედურების საფუძველზე, ამიტომ ამ შემთხვევაში ქვეყნების სტატისტიკური ტერიტორიის საზღვარი ემთხვევა საბაჟო ტერიტორიის საზღვარს. თავის მხრივ, საბაჟო ტერიტორიად მიიჩნევა ის ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ვრცელდება ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობა. თუმცა, ისიც ხდება, რომ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობისას სასაქონლო სავაჭრო ნაკადების ნაწილი არ ექცევა საბაჟო აღრიცხვის ქვეშ, ან აღრიცხება არასრულად. ამის გამო, ზოგჯერ სტატისტიკური ტერიტორიის განსაზღვრა უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელია საბაჟო ტერიტორიასთან შედარებით. საქმე ისაა, რომ საბაჟო სტატისტიკა შეუძლია გამოიყენოს სხვა, ინფორმაციის არასაბაჟო წყაროები და სრულად აღრიცხოს სავაჭრო ოპერაციები და, აქედან გამომდინარე, დაადგინოს ის მოცულობა, რომელიც სტატისტიკური ტერიტორიის საზღვრებშია. იმისათვის, რომ დადგინდეს არადეკლარირებული საბაჟო ღირებულების ზღვარს ქვემოთ არსებული სავაჭრო ნაკადების მოცულობა, საბაჟო სტატისტიკამ შეიძლება გამოიყენოს სავაჭრო ორგანიზაციების შერჩევითი კვლევები ან სპეციალური მაქოსებრი სტატისტიკური გამოკვლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევების შესამცირებლად საბაჟო ორგანოების მიერ დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები დღის განმავლობაში საზღვრის გადაკვეთის რაოდენობასა და გადატანილი ტვირთის მოცულობასთან დაკავშირებით. 27 ქვეყნის სტატისტიკურ სამსახურებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სტატისტიკური ტერიტორია მათთან დაკავშირებული ეკონომიკური ტერიტორიის ელემენტების ნუსხის შედგენით. ეს ელემენტები აღიწერება, რა თქმა უნდა, საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე და, შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ქვეყნებში.⁴¹ საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების მიერ ქვეყნების მიმართ გაიცემა რეკომენდაციები, რათა, მონაცემთა საერთაშორისო

⁴¹ ძევისაური ღ. საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური შესწავლა. თბ., 2012, გვ. 26-27. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000614/Dzebisauri%20L.pdf>

ურთიერთშესაძარისობის უზრუნველყოფის მიზნით, ზუსტად განისაზღვროს, მოიცავს თუ არა მათი სტატისტიკური ტერიტორია შემდეგ ელემენტებს: ა) კუნძულები; ბ) კონტინენტური შეღვი; გ) ტერიტორიული წყლები; დ) თავისუფალი ვაჭრობის ზონები; ე) თავისუფალი ინდუსტრიული ან ეკონომიკური ზონები; ვ) ოფშორული ან კოსმოსური დანადგარები და აპარატები; ზ) საბაჟო საწყოები; თ) შიდა გადამუშავების ადგილები; ი) სხვა ქვეყნებში სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის ტერიტორიული ანკლავები და სხვ.⁴² თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ისინი მნიშვნელოვანი დეფინიციებია და მათი გათვალისწინება, დაკონკრეტება და დაზუსტება აუცილებელია, რათა ზუსტად გაიმიჯნოს საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას დაქვემდებარებული სასაქონლო ნაკადები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, საბაჟო პროცედურებში მონაწილე საქონლის კლასიფიკაცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ ყველა ის საქონელი, რომელიც საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის მიერ არ უნდა დაექვემდებაროს აღრიცხვას. კიოტოს განახლებული კონვენციის შესაბამისად, ქვეყნებს შეუძლიათ ყოველთვის მკაცრად არ მიჰყვნენ კონვენციით გათვალისწინებულ სტანდარტებს ან რეკომენდებულ პრაქტიკას და დამატებით ჰქონდეთ სხვა პროცედურებიც. მაშასადამე, შესაბამისი სტატისტიკის მწარმოებელმა ქვეყანამ თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის რეკომენდაციების პრაქტიკაში გათვალისწინების შესახებ. ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით, საქონელი რომელიც კვეთს საზღვარს მოცემული პროცედურების შესაბამისად, უნდა აისახოს ვაჭრობის სტატისტიკაში. ასეთ ოპერაციებს მიეკუთვნება:⁴³

- შიდა მოხმარება;
- რეიმპორტი იმავე ქვეყანაში;
- სრული ექსპორტირება
- საბაჟო საწყოები;
- თავისუფალი ზონა;
- შიდა გადამუშავება;
- გარე გადამუშავება;

⁴² საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა 2010 (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2011 წ.), პარ. 2.3, გვ. 27.

⁴³ კიოტოს განახლებული კონვენცია, დანართი B,C, D,F,J გვ. 60-80; <http://customs.gov.ph/wp-content/uploads/2016/10/KYOTO-Convention.pdf>

- უკან დაბრუნება;
 - საქონლის გადამუშავება შიდა მოხმარებისთვის;
 - საქონლის კაბოტაჟური გადაზიდვა იმ პირობით, რომ საქონელი იმპორტირებულია და არსებობს შესაბამისი ჩანაწერები.
 - საბაჟო დარღვევები მხოლოდ დაყადაღებული საქონლის მიმართ, რომელიც გაიყიდა ან გადავიდა საბაჟოს განკარგულებაში იმპორტიორი ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე;
 - საფოსტო გადაზიდვები;
 - საწყობები კონსიგნაცია, დისტრიბუცია
- ამოღებულ უნდა იქნას საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკიდან:
- საბაჟო ტრანზიტი;
 - გადატვირთვა – ტვირთის გადატანა ერთი გემიდან მეორეზე ერთსა და იმავე პორტში;
 - საქონლის კაბოტაჟური გადაზიდვა, იმ პირობით, რომ საქონელი არ იქნება შემოტანილი;
 - საქონლის დროებითი შემოტანა;
 - სატრანსპორტო საშუალება კომერციული მიზნებისთვის;
 - კონსიგნაცია, დისტრიბუცია.

როგორც ცნობილია, საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა. ექსპორტში იგულისხმება როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა საზღვარგარეთ, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი. იმპორტში იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა და ექსპორტირებული საქონლის რეიმპორტი. ექსპორტი აღრიცხულია FOB, ანუ ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (მოიცავს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე დატვირთვის ხარჯებს), ხოლო იმპორტი – CIF, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (გარდა FOB-ის ფასისა, მოიცავს საერთაშორისო ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს).⁴⁴

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა გამოისახება ნატურალურ და ღირებულებით ზომის ერთეულებში. ნატურალურ ერთეულებში,

⁴⁴ www.geostat.ge: საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მოკლე მეთოდოლოგია.

ძირითადად, გამოისახება პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის ცალკეული სასაქონლო პოზიციები, საერთაშორისო ტვირთბრუნვის და მგზავრთბრუნვის სიდიდეები კონკრეტული ქვეყნების მიხედვით და ა.შ. ძირითადად საგარეო ვაჭრობის მონაცემები გამოისახება ღირებულებით ფორმაში (როგორც წესი, აშშ-ის დოლარში).

საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) ჰარმონიზებული სისტემაა. 2012 წლამდე მუშაობდა 2006 წლის სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედებული სეს ესნ-ის 2002 წლის ვერსია, რომლის დეტალიზაცია მოხდა 11-ნიშნა დონეზე. 2012 წლის 1 მაისიდან საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ახალ 2012 წლის ჰარმონიზებულ ვერსიაზე გადავიდა. მასში, ქვეყნების ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, აისახა მსოფლიო ბაზარზე, როგორც ექსპორტში, ისე იმპორტში, გამოვლენილი ტენდენციები და სასაქონლო ჯგუფების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები; შეიცვალა კლასიფიკატორის სტრუქტურაც. ახალ ვერსიაში ზოგიერთი საქონელი უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი, ხოლო ზოგიერთი (დიდი ნაწილი) – გამსხვილებული სახით. სეს ესნ გამოიყენება ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკურ აღრიცხვისას.⁴⁵ ცნობისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების მიხედვით, სასაქონლო ნომენკლატურა უნდა განახლდეს ხუთ წელიწადში ერთხელ.

ახალ ვერსიაში გაკეთდა მცირე ტექსტური კორექტირებები და შევიდა ზოგიერთი სახის შენიშვნა.

საერთაშორისო სტატისტიკურ პრაქტიკაში არსებობს აღრიცხვის ორ საყოველთაოდ აღიარებული სისტემა – „სპეციალური“ და „ზოგადი“. საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის „ზოგადი“ მეთოდის დროს ექსპორტი და იმპორტი აღრიცხება საქონლის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის მომენტში, „სპეციალური“ მეთოდის დროს კი – ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას. ეს განსხვავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც საქონელი გადის თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების გავლით, რომლებიც სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილია, თუმცა მდებარეობენ საბაჟო ტერიტორიის გარეთ და არ ექვემდებარებიან საბაჟო კონტროლს. აქ

⁴⁵ აბესაძე ა., ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი. თბ., 2015. გვ. 62.

მთავარია ის, რომ ზოგადი მეთოდის გამოყენებისას საგარეო სავაჭრო სასაქონლო ნაკადები აღრიცხება საზღვრის გადაკვეთის მომენტში, ხოლო სპეციალური მეთოდის გამოყენებისას საზღვრის გადაკვეთა, გარკვეულწილად, არარსებითია, რადგან საქონლის ექსპორტი რეგისტრირდება მაშინ, როდესაც ის ტოვებს ექსპორტიორი ეკონომიკური ერთეულის საწყობს; ხოლო იმპორტი ხდება მაშინ, როდესაც საქონელი უშუალოდ გადადის იმპორტიორი ეკონომიკური ერთეულის განკარგულებაში საქონლის მიერ იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთისთანავე, ან საბაჟო სათავსოდან, სადაც ის განთავსდა იმპორტიორი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთამდე.

ვაჭრობის სპეციალური სისტემის დროს განასხვავებენ განსაზღვრის „ვიწრო“ და „ფართო“ გაგებას. „ვიწრო“ გაგება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სტატისტიკური ტერიტორია მოიცავს მხოლოდ თავისუფალი მიმოქცევის ზონას ანუ ეკონომიკური ტერიტორიის იმ ნაწილს, სადაც საქონელი შეიძლება რეალიზებული იქნას ყოველგვარი საბაჟო შეზღუდვების გარეშე. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში იმპორტში აისახება მხოლოდ ის საქონელი, რომელიც შეიტანება სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, ხოლო ექსპორტი მოიცავს მხოლოდ იმ საქონელს, რომელიც გადის ასეთი ზონიდან. აღნიშნული განმარტების შესაბამისად, საქონელი, რომელიც იმპორტირებულია შიდა გადამუშავებისათვის, ან შეტანილია თავისუფალ სამრეწველო ან სავაჭრო ზონაში, ასევე, საბაჟო საწყობებში, არ ექვემდებარება აღრიცხვას, რადგან ეს საქონელი არ გაივლის საბაჟო კონტროლის პროცედურებს შიდა მოხმარებისათვის. ანალოგიური მიდგომა გამოიყენება ექსპორტის შემთხვევაშიც. „ფართო“ გაგებით სპეციალური სისტემა გამოიყენება, როცა საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში გაითვალისწინება: ა) საქონლის იმპორტი შიდა გადამუშავების მიზნით ან გადამუშავების შემდეგ საქონლის ექსპორტი; ბ) თავისუფალ სავაჭრო ზონაში იმპორტირებული ან ასეთივე ზონიდან ექსპორტირებული საქონელი.⁴⁶

საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია, რომ საქართველოში გამოყენებული იყოს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი მეთოდი, რაც იმას ნიშნავს, რომ

⁴⁶ ქებისაური ლ., საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. დისერტაცია. თბილისი, 2012, გვ. 28.

საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმი მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთაა. ზოგადი მეთოდი უზრუნველყოფს უფრო მეტ მიახლოებას საქონლის მფლობელის ცვლილების კრიტერიუმთან, რომელიც რეკომენდებულია საერთაშორისო მეთოდოლოგიებში. ამ მეთოდის თანახმად, პარტნიორი ქვეყნის დადგენის ძირითადი კრიტერიუმებია საქონლის წარმოშობის ან გამომგზავნი ქვეყანა – იმპორტის დროს, ხოლო საბოლოო დანიშნულების ქვეყანა – ექსპორტის დროს.

საქართველოში საბაჟო სტატისტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის ძირითად წყაროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზაა. გარდა ამისა, ინფორმაციის იკვება შსს-ის მომსახურების სააგენტოდან მიღებული მონაცემების (ძირითად სატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობის შესახებ), შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისა“ (ბუნებრივი აირი) და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტი) მონაცემების საფუძველზე.

შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საქსტატი აკონტროლებს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზის სხვადასხვა ნიშანს: საქონლის კოდს, ფასს, წონას, დამატებითი ზომის ერთეულს გამგზავნი/მიმღები ქვეყნის მიხედვით, ბაზების კორექტირებას, საჭიროების შემთხვევაში – საქონლის ღირებულებას, რაოდენობას, ან დამატებითი ზომის ერთეულის კორექტირებას, ბაზიდან იმ საქონლის ამოღებას, რომელიც არ განეკუთვნება საქონლით საგარეო ვაჭრობას (დროებით შემოტანილ, გატანილ საქონელს, დიპლომატიურ და სხვა სახის ტვირთებს, მიმოქცევაში მყოფ ფასიან ქაღალდებს, ბანკოტებს, მონეტებს და ა.შ).⁴⁷

უნდა აღინიშნოს, რომ, რადგან საგარეო სავაჭრო ოპერაციების ნაწილი აღურიცხავი რჩება, საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოებისას ემპირიული მონაცემები ზოგჯერ გარკვეული ცდომილებით ხასიათდება⁴⁸ ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეგისტრირებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობა არ შეესაბამება რეალური ნაკადების სიდიდეს. ამის მიზეზი ისაა, რომ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში საქონლის წარმოშობის ქვეყანა არასრულყოფილად

⁴⁷ www.geostat.ge საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მოკლე მეთოდოლოგია.

⁴⁸ საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, სახელმძღვანელო შემდგენელთათვის, 1 რევიზია, 2010 (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2013 წ.), გვ. 12.

ფიქსირდება; აგრეთვე არასრულყოფილად ივსება ველი – „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“; შსს-ის მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში იმპორტირებული ავტომობილების შესახებ მიახლოებითი საბაზრო ღირებულება მითითებული არაა და არც შესაბამისი კოდები აქვს მინიჭებული; გამარტივებულ საბაჟო დეკლარაციაში არასრულყოფილადაა მითითებული ქვეყნები, თერთმეტნიშნა დონეზე საქონლის კოდები, ღირებულები და სხვა.

საერთოდ, საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღირიცხება შემდეგი საქონელი: არამონეტარული ოქრო; მონეტარული ოქრო (არ იმყოფება ოფიციალურ მიმოქცევაში); ოქრო – ზოდების ან საიუველირო ნაწარმის ფორმით; მიმოქცევაში არმყოფი ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები; ჰუმანიტარული ტვირთები; ბარტერული გარიგების საფუძველზე რეალიზებული საქონელი; სამხედრო დანიშნულების საქონელი (აღსანიშნავია, რომ ამ საქონელთან დაკავშირებული საბაჟო დოკუმენტები, როგორც წესი, კონფიდენციალურია და სამხედრო დანიშნულების საქონლის მონაცემთა გამოქვეყნება ხორციელდება ნაერთი ინფორმაციის სახით დაფარული კოდით); კონსიგნაციის საფუძველზე გადაცემული საქონელი; ინფორმაციის მატარებლის ან პროგრამული უზრუნველყოფის საქონელი; გადამუშავებისათვის განკუთვნილი საქონელი; ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი; საბაჟო საწყობის რეჟიმით გადაადგილებული საქონელი; მიგრანტების ქონება; ფინანსური ლიზინგის ქვეშ მყოფი საქონელი; ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე განლაგებული ოფშორული საწარმოების მიერ მიღებული ან გაგზავნილი საქონელი; ელექტრონული არხების საშუალებით, კერძოდ, ინტერნეტის საშუალებით დადებული გარიგების შედეგად ექსპორტირებული ან იმპორტირებული საქონელი; დაჭერილი თევზი; ზღვის ფსკერიდან მოპოვებული მინერალები და გადარჩენილი ტვირთი; საცავები; ბალასტი; ხომალდის მარაგები; საჩუქრები და შემოწირულობები ექსპლუატაციაში ნამყოფი (მეორეული მოხმარების) საქონელი; ნარჩენები და ჯართი (მათ შორის ისეთებიც, რომლებიც გარემოსთვის საშიშ პროდუქტებს წარმოადგენს და აქვთ გარკვეული საბაზრო ღირებულება); საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული ან საზღვარგარეთ გაგზავნილი საქონელი; მობილური მოწყობილობები, რომლებზეც საკუთრების ცვლილება ხორციელდება მათი თავდაპირველი მესაკუთრის მდებარეობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ და სხვა სახის საქონელი.

როგორია საგარეო ვაჭრობისას სასაქონლო ნაკადების გადაადგილების მიმართულებები?

ვაჭრობის ზოგადი სისტემის შემთხვევაში საიმპორტო ნაკადები ქვეყანაში გადაადგილდება დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტის (როცა ტრანზიტული საქონელი რჩება ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე) შედეგად.

საიმპორტო საქონელში გამოიყოფა უცხოური საქონელი (გარდა მაკომპენსირებელი პროდუქციისა, მიღებული გარე გადამუშავების შედეგად), უცხოური საქონელი, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისგან მიღებული გარე გადამუშავების შედეგად, ადრე ექსპორტირებული ეროვნული წარმოების საქონელი (იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო ექსპორტირებული).⁴⁹

აღრიცხვის „ზოგადი“ სისტემით, იმპორტის სტატისტიკური შესწავლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კატეგორიის საქონელი: თავისუფალ მიმოქცევისათვის იმპორტირებული საქონელი; საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების მიზნით რეიმპორტირებული საქონელი; საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების შემდეგ იმპორტირებული საქონელი; საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავებული საქონელი; რეექსპორტის რეჟიმით შემოტანილი საქონელი; საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი საბაჟო ზონებსა და თავისუფალ საწყობებში შემოტანილი საქონელი; შემოტანილი საქონელი, რომელზეც პირი უარს აცხადებს სახელმწიფოს სასარგებლოდ; დუტი ფრის მაღაზიებში შემოტანილი უცხოური საქონელი; ერთი წლის ან მეტი ვადით იჯარით აღებული საქონელი.

აქედან გამომდინარე, არსებობს საიმპორტო საქონლის სამი სახე: ა) უცხოური საქონელი (გარდა მაკომპენსირებელი პროდუქციისა, მიღებული გარე გადამუშავების შედეგად); ბ) უცხოური საქონელი, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, მიღებული გარე გადამუშავების შედეგად; გ) ეროვნული წარმოების საქონელი იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ადრე იყვნენ ექსპორტირებული. საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი სისტემის დროს საიმპორტო ნაკადები გადაადგილდება

➤ თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში;

➤ საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონებში.⁵⁰

⁴⁹ აბესაძე ო., ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი. დისერტაცია. თბ., 2015. გვ. 68.

⁵⁰ ძეგისაური ღ., საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. დისერტაცია. თბ., 2012. გვ.30

ზოგადად, იმპორტი მოიცავს შემდეგ სასაქონლო ნაკადებს:

1. უცხოური საქონლის იმპორტს თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;

2. უცხოური საქონლის იმპორტს (გარდა გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისა) საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;

3. უცხოური საქონლის იმპორტს, რომელიც შედგება გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;

4. უცხოური საქონლის იმპორტს, რომელიც შედგება გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;

5. ეროვნული წარმოების საქონელს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ადრე იყვნენ ექსპორტირებული, თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;

6. ეროვნული წარმოების საქონელს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ადრე იყვნენ ექსპორტირებული, საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან.⁵¹

აღრიცხვის „ზოგადი“ სისტემით ექსპორტის სტატისტიკური შესწავლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კატეგორიის საქონელი: თავისუფალი მიმოქცევის ზონიდან, შიდა გადამუშავების ტერიტორიიდან ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონებიდან გადაადგილებული ნაკადები; საბაჟო საწყობებიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონებიდან ექსპორტირებული საქონელი; ეროვნული საქონელი, რომელიც წარმოებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში ან გადაადგილებულია თავისუფალი მიმოქცევის ზონიდან; ეროვნული წარმოების საქონელი შიდა გადამუშავების შემდეგ, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, ანუ პროდუქცია მიღებულია დამუშავების, გადამუშავების ან

⁵¹ International Merchandise Trade Statistics. Compilers Manual. New York.2004. pp.36.

შეკეთების შედეგად; თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავებისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონებიდან, თავისუფალი ვაჭრობის ან საბაჟო საწყობის ზონიდან უცხოური წარმოების საქონლის რეექსპორტი იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყო იმპორტირებული.⁵² უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში უცხოური წარმოების საქონლის რეექსპორტი იმავე ფორმით, როგორც იყო იმპორტირებული; უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში უცხოური წარმოების საქონლის რეექსპორტი იმავე ფორმით, როგორც იყო იმპორტირებული.

ამრიგად, ექსპორტს მხოლოდ დანიშნულების ერთი პუნქტი აქვს – დანარჩენი მსოფლიო, აქედან გამომდინარე, „ზოგადი“ ექსპორტი შედგება ექვსი სხვადასხვა ნაკადისგან, რომელთაგან ორი წარმოადგენს რეექსპორტს.

აღსანიშნავია, რომ არსებობს ზოგიერთი კატეგორიის საქონელი, რომლებიც საქონლით საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში აღრიცხვას არ ექვემდებარება. ასეთის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზაში გამოვლენის შემთხვევაში საქსტატის მიერ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხორციელდება ბაზების კორექტირება. ასეთი ტიპის საქონელს მიეკუთვნება:

- მონეტარული ოქრო, როგორც საფინანსო აქტივი;
- მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები;
- დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი. (მაგ., გამოფენებზე გატანილი ხელოვნების ნიმუშები, საწარმოო ნიმუშები, სადემონსტრაციო მოწყობილობები და სამეცნიერო-მეთოდური მასალები, აგრეთვე შეჯიბრებაზე გაყვანილი ცოცხალი ცხოველები და სხვ.);

- ტერიტორიული ანკლავებიდან მიღებული ან გაგზავნილი საქონელი. მას მიეკუთვნება ე.წ. დიპლომატიური ტვირთები, რომელიც განიხილება როგორც შიდა სავაჭრო ნაკადები;

- შემდგომი გადაყიდვისათვის შექმნილი საქონელი, სარემონტოდ განკუთვნილი და სხვა სახის საქონელი და სხვა.⁵³

მართალია, საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში აისახება სხვადასხვა კატეგორიის საქონელი, მაგრამ, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის 2010 წლის რეკომენდაციების მიხედვით, ზოგიერთი კატეგორიის საქონელი, მაგალითად, საქონელი, რომელიც განკუთვნილია გადამუშავებისათვის (საკუთრების უფლების

⁵² International Merchandise Trade Statistics. Compilers Manual. New York.2004. pp.37.

⁵³ საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, ცნებები და განმარტებები 2010, გაერო, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 22-25.

ცვლილებების გარეშე) და საქონელი, რომელიც საზღვარს კვეთს ორ მხარეს შორის განხორციელებული ოპერაციების საფუძველზე, აუცილებელია ცალკე აღირიცხოს საგადასახდლო ბალანსისა (BPM6) და ეროვნული ანგარიშების (SNA-2008) წარმოების მიზნებისა და საჭიროებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, უნდა გამოიყოს ის საქონელი, რომელიც ცალკე აღირიცხება და არ აისახება საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში. მას მიეკუთვნება ტექნიკური მომსახურების მიზნით ან სარემონტოდ გადატანილი საქონელი; ჯართი და ნარჩენები; საზღვარზე არალეგალურად გადაადგილებული საქონელი; საქონელი, რომელიც განადგურდა ან დაიკარგა იმპორტიორზე საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ.⁵⁴

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში გამოიყენება საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი სისტემა. უთუოდ საინტერესოა, ვაჩვენოთ, თუ რა განსხვავება არსებობს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგად და სპეციალური სისტემებს შორის. ამის საილუსტრაციოდ აღრიცხვის ორივე სისტემის თავისებურებები წარმოვადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით.⁵⁵

სქემა №2

საექსპორტო ნაკადების შედარება საგარეო ვაჭრობის ზოგად და სპეციალურ სისტემაში^(ა)

ექსპორტი	ზოგადი სისტემა	სპეციალური სისტემა
<i>ეროვნული საქონელი (გარდა მაკომპენსირებელი პროდუქციისა შიდა გადამუშავების შემდეგ)</i>		
თავისუფალი მიმოქცევის ან თავისუფალი სამრეწველო ზონიდან		
1. დანარჩენ მსოფლიოში	X	X

⁵⁴ საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, ცნებები და განმარტებები 2010, გაერო, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 22-25.

⁵⁵ ძევისაური დ., საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. დისერტაცია. თბილისი, 2012, გვ. 31-34.;

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000614/Dzebisauri%20L.pdf>

2. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში წარმოშობილი თავისუფალი მიმოქცევის ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში, მაგრამ ექსპორტირებული საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან		X
3. დანარჩენ მსოფლიოში	X ^[56]	
<i>ეროვნული საქონელი (მაკომპენსირებელი პროდუქცია შიდა გადამუშავების შემდეგ)</i>		
შიდა გადამუშავების ადგილიდან		
4. დანარჩენ მსოფლიოში	X	X
5. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში წარმოშობილი შიდა გადამუშავების ადგილას, მაგრამ ექსპორტირებული საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან		X
6. დანარჩენ მსოფლიოში	X ^[57]	
<i>უცხოური წარმოების საქონელი იმავე მდგომარეობაში, როგორშიც აღრე იყვნენ იმპორტირებული</i>		
თავისუფალი მიმოქცევის ზონიდან, შიდა გადამუშავების ადგილიდან ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან		
7. დანარჩენ მსოფლიოში	RX	RX
8. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან		RX
9. დანარჩენ მსოფლიოში	RX	

^[56] ამ კატეგორიას მიეკუთვნება ეროვნული წარმოების საქონელი, რომლებიც თავდაპირველად შეიტანება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში თავისუფალი მიმოქცევის ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან და შემდგომ ხდება მათი ექსპორტირება.

^[57] ამ კატეგორიას მიეკუთვნება მაკომპენსირებელი საქონელი, რომელიც თავდაპირველად გადაიზიდება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში შიდა გადამუშავების ადგილიდან და შემდეგად ხდება მისი ექსპორტირება.

(ა) აღნიშვნები: X = ექსპორტი; RX = რეექსპორტი⁵⁸

სქემა №2.

საიმპორტო ნაკადების შედარება საგარეო ვაჭრობის ზოგად და სპეციალურ სისტემაში^(ა)

იმპორტი	ზოგადი სისტემა	სპეციალური სისტემა
<i>უცხოური საქონელი (გარდა მაკომპენსირებელი პროდუქციისა გარე გადამუშავების შემდეგ)</i>		
დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტოდან		
1. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში	M	M
2. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში	M	
საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან		
3. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში		M ^[59]
<i>უცხოური საქონელი (მაკომპენსირებელი პროდუქცია გარე გადამუშავების შემდეგ)</i>		
დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტოდან		
4. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში	M	M
5. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი	M	

⁵⁸ Internationas Merchandise Trade Stistics. Compilers Manual. New York. 2004. p.84

⁵⁹ ამ კატეგორიას მიეკუთვნება უცხოური წარმოების საქონელი (მაკომპენსირებელი პროდუქციის გარდა) გარე გადამუშავების შედეგად, რომელიც თავდაპირველად გადაიზიდება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში და შედეგად ხდება მისი იმპორტირება.

ვაჭრობის ზონიდან		
6. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში		M ^[60]

*ეროვნული წარმოების საქონელი
იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყვნენ ექსპორტირებული*

საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან		
7. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში	RM	RM
8. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან	R	
9. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში		R [61]
(ა) აღნიშვნები: M = იმპორტი; RM = რეიმპორტი ⁶²		

საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებითა და საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზემოხსენებული ორივე მეთოდის განხილვის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგადი მეთოდით საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის არეალი

⁶⁰ ამ კატეგორიას მიეკუთვნება უცხოური წარმოების საქონელი, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისაგან გარე გადამუშავების შემდეგ და, რომელიც თავდაპირველად გადაიზიდება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში და შედეგად ხდება მისი იმპორტირება.

⁶¹ ამ კატეგორიას მიეკუთვნება ეროვნული წარმოების საქონელი იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყო ექსპორტირებული და, რომელიც თავდაპირველად გადაიზიდება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში და შედეგად ხდება მისი იმპორტირება.

⁶² Internationas Merchandise Trade Stistics. Compilers Manual. New York.2004, pp.85.

ფართოა. აბსოლუტურად ვიზიარებთ ეკონომიკის დოქტორის ლ. ძევისაურის პოზიციას, რომ ვაჭრობის სპეციალური სისტემის გამოყენება ზღუდავს სტატისტიკის მოცვის სფეროს, რადგან არ გულისხმობს ყველა საქონლის აღრიცხვას, რომელიც ექვემდებარება საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში ასახვას. გარდა ამისა, სხვადასხვა ქვეყნის მიერ მის გამოყენებას არ აქვს ერთნაირი მიდგომა, რაც იწვევს მონაცემთა შეუსაბამობის სერიოზულ პრობლემას.⁶³ საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი სისტემა უზრუნველყოფს უფრო მეტ მიახლოებას საქონლის მფლობელის ცვლილების კრიტერიუმთან, რომელიც რეკომენდებულია საერთაშორისო მეთოდოლოგიებში (ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა (SNA 2008) და საგადასახდელო ბალანსის (BPM6) აგების მეთოდოლოგია).⁶⁴

მნიშვნელოვანია სრულყოფილი ინფორმაციული ბაზების არსებობის საკითხიც. გასათვალისწინებელია, რომ განვითარებულ ქვეყნებში საბაჟო სტატისტიკის ინფორმაციის წყაროს, ძირითადი ოფიციალური სტატისტიკის გარდა, პერმანენტული კვლევები წარმოადგენს, ხოლო საქართველოში მთავარი ინფორმაციული რესურსი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემებია. ამასთან, ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის მეთოდოლოგია და მისი გამოყენების მიდგომები. ყოველივე ეს ააშკარავებს მონაცემთა შეუსაბამობის პრობლემას, რომლის დაძლევა საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვან გადასაწყვეტ პრობლემას წარმოადგენს.

⁶³ ძევისაური ლ., საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. დისერტაცია. თბილისი, 2012, გვ. 34; <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000614/Dzebisauri%20L.pdf>

⁶⁴ აბესაძე ო., ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი. დისერტაცია. გვ.63-64; https://tsu.ge/data/file_db/library/otar-abetesadze-disertacia.pdf

2.2. საბაჟო სტატისტიკის მეთოდოლოგიური სრულყოფის საკითხები

საბაჟო ინფორმაციის სრულყოფილად ასახვისა და მონაცემთა მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სტატისტიკის ეროვნული სამსახური იყენებს სხვადასხვა წყაროს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები საზღვარზე გადაადგილებული ტვირთების შესახებ, ასევე, საქართველოს შსს-ს სსიპ მომსახურების სააგენტოს ინფორმაცია ავტომანქანების ექსპორტ-იმპორტის შესახებ.

გაეროს განახლებული რეკომენდაციების შესაბამისად, საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების მიწოდება უნდა მოხდეს ყოველთვიურად, რომლის შესაბამისადაც ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ახალ ველებს: მეორეულ პარტნიორ ქვეყანას – კერძოდ, იმპორტის შემთხვევაში საქონლის წარმოშობის ქვეყანას, ტრანსპორტირების სახეობას საბაჟო საზღვარზე, იმპორტის მონაცემებს ფასებში და სხვა.⁶⁵ ტრანსპორტირების სახეობის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება და გავრცელება განსაზღვრულია, ასევე, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების 2017 წლის სამოქმედო გეგმით.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დამუშავება ხორციელდება 2 საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით: ფართო ეკონომიკური კატეგორიების (BEC) და საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) მიხედვით, რაც, თავის მხრივ, არის გაეროს 2010 წლის რეკომენდაცია. აღსანიშნავია, რომ, აღრიცხვის თვალსაზრისით, პრობლემებს ქმნის ის ფაქტი, რომ სასაქონლო-საბაჟო დეკლარაციაში საქონლის წარმოშობის ქვეყანა ზოგჯერ არასრულყოფილად ფიქსირდება. საქმე ისაა, რომ საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზებში საქონლის წარმოშობის ქვეყანა კი არ ფიქსირდება, არამედ აისახება მხოლოდ მოვაჭრე ქვეყანა. მიუხედავად იმისა, რომ, ახალი მეთოდოლოგიური რეკომენდაციებით, აუცილებელია საგარეო ვაჭრობაში წარმოშობის ქვეყნის აღრიცხვა, 2015 წლის ივნისის მონაცემებით, დეკლარაციების 61%-ში ბაზაში წარმოშობის ქვეყანა დაფიქსირებული არაა,

⁶⁵ საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ნიუ იორკი, აშშ, 2011; გვ. 44-45.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საბაჟოზე სტატისტიკური აღრიცხვისას ერთ-ერთი პრობლემაა სასაქონლო საბაჟო დეკლარაციაში ველის – „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ – სისტემატური შეუვსებლობა. გაეროს 2010 წლის რეკომენდაციების შესაბამისად, საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით. ეს შესაძლებელი იყო 2010 წლამდე, მაგრამ დეკლარაციების შევსებაზე დროითი შეზღუდვის დაწესების შემდეგ აღნიშნული ველის შევსება ნებაყოფლობითი გახდა, რამაც გამოიწვია ის, რომ 2010 წლიდან საგარეო ვაჭრობის მონაცემები ტრანსპორტის სახეობების ჭრილში (რა სატრანსპორტო საშუალებით განხორციელდა საქონლის იმპორტი ქვეყანაში ან ექსპორტი საზღვარგარეთ) აღარ მუშავდება.

საბაჟო სტატისტიკის აღრიცხვის პრობლემები, ცხადია, მოიცავს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემებსაც.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული ხარვეზები შეინიშნება შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში, რაც იმპორტირებული ავტომობილებზე მიახლოებითი (და არა ზუსტი საბაზრო) ღირებულების მიწერის საკითხში ვლინდება. ამასთან, ფიქსირდება ავტომობილებზე არასწორი ღირებულების მითითების შემთხვევებიც. სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ შეინიშნება გარკვეული შეუსაბამობები საქსტატის მონაცემთა ბაზებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებს შორის, რადგან მომსახურების სააგენტოდან ყოველთვიურად მიღებულ მონაცემთა ბაზებში იმპორტირებული, ექსპორტირებული და რეექსპორტირებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ მითითებულია საქონლის მიახლოებითი საბაზრო ღირებულება.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში გარკვეული პრობლემები დაკავშირებულია იმპორტირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე შესაბამისი სასაქონლო კოდების არასწორად მინიჭებასთანაც. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ზოგჯერ ხდება ახალი და ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომანქანების კოდების არევა, სიტუაციას ართულებს ისიც, რომ დეკლარაციების ნაწილში საერთოდ არ ფიქსირდება საქონლის კოდები, ხოლო ექსპორტისა და რეექსპორტის შემთხვევაში ჯერ კიდევ გვხვდება ქვეყნის კოდების მიუნიჭებლობის შემთხვევები. მართალია, ასეთი ფაქტები ბოლო მონაცემებით შემცირებულია (2013 წლიდან 2015 წლამდე აღნიშნული მაჩვენებელი

11.0%-დან 0.01 %-მდე შემცირდა), მაგრამ მაინც ფიქსირდება. არადა, აღნიშნული ველის შევსება აუცილებელია ქვეყნების ჭრილში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისთვის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეექსპორტისას მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში რეგისტრაციისას არ ფიქსირდება ამ ავტომანქანის იმპორტიორი ქვეყანა – იმპორტირების თარიღისა და ღირებულების მითითებით. ამის ძირითადი მიზეზი კი იმპორტის დეკლარაციის შეუვსებლობაა. მიგვაჩნია, რომ პირდაპირი რეექსპორტის რეჟიმით დეკლარირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე იმპორტის ქვეყანა, თარიღი და ღირებულება აუცილებლად უნდა ფიქსირდებოდეს, რათა არ დავდგეთ ფაქტის წინაშე: რეექსპორტით გავიდა მანქანა, რომელიც ქვეყნის იმპორტში ასახული არ არის.

შედგავდ, ექსპორტირებული მანქანების რაოდენობა აჭარბებს იმპორტის მოცულობას, რაც, სტატისტიკური თვალსაზრისით, გაუმართლებელია. საქსტატი ავსებს აღნიშნულ დისბალანსს, თუმცა სასურველია, პირველწყარო დეტალურად აღრიცხავდეს შესაბამის საიმპორტო ნაკადებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის სრულყოფილად შევსება ქვეყნების, თერთმეტნიშნა ღონეზე საქონლის კოდებისა და ღირებულების მითითებით. ფაქტობრივად, გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია არ ითვალისწინებს საქონლის წარმოშობის ქვეყნის, საქონლის კოდისა და საზღვარზე სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვას. საქონლის აღწერილობაც არ არის ისეთი დეტალური, რომ შესაძლებელი იყოს მისთვის ზუსტი კოდის მინიჭება სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით. სამწუხაროდ, ყველა დეკლარაციაში არ ფიქსირდება საქონლის ღირებულება. გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენების ძირითადი მიზანია საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელებისათვის დახარჯული დროის შემცირება. ეს კი პრობლემას ქმნის ექსპორტის სრულყოფილად აღრიცხვის მიმართულებით. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ამ გზით, თუნდაც მეზობელ ქვეყნებში, გასული სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რაც, ფაქტობრივად, ექსპორტში არაა ასახული.

რადგან საბაჟოზე ხდება ერთი ტერმინალიდან მეორეში გადასაწყობება, ამიტომ, საბაჟო მოვლენების აღრიცხვის სრულყოფისათვის აუცილებელია საწყობიდან საწყობში გადატანის ოპერაციებისათვის (747400) რეჟიმის სწორედ მინიჭება. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია

განხორციელდეს ორმაგი აღრიცხვა (დუბლირება), რომლის მიზეზიც შეიძლება გახდეს ისეთი დეკლარაციები, რომელთა მიხედვით, საქონელი დროებითი რეჟიმით იყო შემოტანილი, მაგრამ შემდეგ გადაიტანეს საწყობში.

დღესდღეობით, ჯერ კიდევ პრობლემატურია და, აქედან გამომდინარე, მოსაგვარებელი, საბაჟო საწყობიდან რეექსპორტის რეჟიმით ტვირთების იმავე ქვეყანაში გატანის აღრიცხვის საკითხი, საიდანაც შემოიტანეს ტვირთი (გარდა უკან დაბრუნებისა). აღრიცხვის სრულყოფისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ასეთი ტვირთები უნდა აღრიცხოს იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოელ მყიდველს ურჩევნია საქონლის მიღება იმავე ქვეყნიდან, საიდანაც მოხდა დასაწყობება.

კანონმდებლობით სავალდებულოა, რომ დეკლარაციაში მიეთითოს საქონლის გამომგზავნი და საბოლოო დანიშნულების ქვეყანა, რადგან ზოგ დეკლარაციაში ეს ინფორმაცია არაა დაფიქსირებული, აქედან გამომდინარე, რეალურად იქმნება გარკვეული პრობლემები აღრიცხვის კუთხით. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მხრიდან ამ საკითხით დაინტერესების შემთხვევაში ეს ადვილად მოსაგვარებელია, შედეგად კი მივიღებთ სრულყოფილ მონაცემთა ბაზებს.

საბაჟოზე აღრიცხვისას შესაძლებელია გარკვეული ხარვეზები გამოვლინდეს გადამუშავების შემთხვევაში საქონლის დეკლარაციებში დაფიქსირებისას. როგორც წესი, გადამუშავების შემთხვევაში მზა საქონელი უნდა დაბრუნდეს იმ ქვეყანაში, საიდანაც მოხდა ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატის ექსპორტი/იმპორტი. ზოგჯერ ასე არ ხდება. შესაძლოა ერთი ქვეყნიდან შემოსული ტვირთი (ნედლეული) გადამუშავების რეჟიმით გადამუშავების შემდეგ გავიდეს სხვა ქვეყანაში. დეალურად, გარიგების პირობის თანახმად, შესაძლებელია გადამუშავების შემდეგ საქონლის მიწოდება მესამე ქვეყანისთვის. გაეროს საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად კი, გადამუშავების რეჟიმი უნდა აისახოს საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, ხოლო რემონტის ოპერაციები – მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში. დღეისათვის საბაჟოს მიერ გადამუშავებისა და რემონტის რეჟიმების გამიჯვნა წარმოადგენს პრობლემატურ საკითხს.

ექსპორტსა და იმპორტს შორის გარკვეულ დისბალანსს იწვევს საშეღავათო პერიოდში ავტომანქანის ექსპორტირების შემთხვევაში პირდაპირი რეექსპორტის დეკლარაციის გაფორმება, რის გამოც აღნიშნული ავტომანქანა არ ფიქსირდება იმპორტის ოპერაციებში (იმპორტორების მიერ ავტომანქანის შემოყვანისას

გათვალისწინებულია სამოცდლიანი საშეღავათო პერიოდი განბაჟებამდე). საქსტატი სისტემატურად აკვირდება ასეთი სახის ოპერაციებს და გარკვეული კორექტირები შეაქვს, თუმცა მცირე ხარვეზები მაინც რჩება.

ექპორტ-იმპორტის სტატისტიკური აღრიცხვისას ერთ-ერთ პრობლემას არასწორად მინიჭებული რეჟიმები წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ, როცა იმპორტის რეჟიმში ხვდება საქონელი, ენიჭება ქართული საქონლის სტატუსი, მისი ქვეყნიდან გატანის დროს ფორმდება ჩვეულებრივი ექსპორტის რეჟიმი და არა რეექსპორტი. მოსაგვარებელია დროებითი რეჟიმების აღნიშვნის პრობლემა, რაც, შედეგებისდაგვარად, საბაჟოს მხრიდან უნდა მოწესრიგდეს. რადგან ზოგჯერ საქონლის იმპორტს და ექსპორტს აფიქსირებს ერთი და იგივე კომპანია, რეალურად, ეს რეექსპორტია, მაგრამ უფიქსირდება ჩვეულებრივი ექსპორტის რეჟიმი;⁶⁶ ზოგჯერ ვლინდება ისეთი შემთხვევები, როდესაც საქონელს აღწერილობაში უწერია „უკან დაბრუნების პირობა“, ანუ მას მინიჭებული უნდა ჰქონდეს დროებითი რეჟიმი, თუმცა რიგ შემთხვევებში ეს ასე არ ხდება; რაოდენობის ველში ყველა საქონელს არ აქვს მითითებული სეს სნ 2012-ით განსაზღვრული დამატებითი ზომის ერთეული, მაგ.: სპირტიან სასმელებს – აბსოლუტური ალკოჰოლი, სიგარეტებს – ღერები. დაბეგვრის მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ კი, აქციზის გადასახადის განსაზღვრის მიზნით, საბაჟო სიგარეტებს აღრიცხავს კოლოფებში, ხოლო სასმელებს – ლიტრებში. საბაჟო მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა “ASYCUDA”-ს მეშვეობით ავტომატურად იანგარიშება დასაბეგრი თანხა.

ინფორმაცია, რომელსაც შეიცავდა სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციები, 2015 წლამდე არ აისახებოდა საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში. აღნიშნული დეკლარაციები ფორმდებოდა მხოლოდ იმპორტის ოპერაციების დროს საქართველოს ფოსტის მიერ და, გარდა იმისა, რომ მასში არასრულყოფილად იყო ასახული საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო აუცილებელი პარამეტრები, პრობლემის გადაჭრას ართულებდა ის ფაქტიც, რომ ინფორმაციის მიღება ვერ ხერხდებოდა შესაბამისი წყაროდან. აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა არ ჰქონდა, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, რომელიც საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა.

⁶⁶ აბესაძე ო., ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი. გამომცემლობა უნივერსალი. თბ., 2015 გვ. 78-80.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა და სტატისტიკური ინფორმაციის არსებითი ხარვეზი, რომელიც 2011 წლიდან 2014 წლის ნოემბრის ჩათვლით ვლინდებოდა საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, იმპორტის ნაწილში და, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, არის სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციები. აღნიშნული დეკლარაციებს შესაბამის წლებში ავსებდა საქართველოს ფოსტა. არაერთი თხოვნისა და ოფიციალური მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნული უწყებიდან ინფორმაცია ვერ მიიღო საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა. არადა შესაბამისი ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი იყო საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაღალი ხარისხით წარმოებისათვის.

2014 წლის ბოლოდან ზემოაღნიშნული ტვირთების დეკლარირების ფუნქცია გადაეცა შემოსავლების სამსახურს. ამის შემდეგ ამ ტვირთების დეკლარირება ხდება ჩვეულებრივი სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების საფუძველზე, რაც შესაბამისი სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტებით წარმოებისათვის საგარეო ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა.

სპეციალურ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებში ფიქსირდებოდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- საქონლის კოდები ხშირ შემთხვევაში შეცდომით იყო მინიჭებული (საქონლის აღწერილობა არ შეესაბამებოდა შესაბამისი კლასიფიკატორის კოდებს), ან დეტალიზებული იყო მხოლოდ 4-ნიშნა დონეზე. საქონლის სწორი კოდების დადგენა 11-ნიშნა დონეზე განხორციელდა საქონლის აღწერილობის საფუძველზე;
- თითქმის არ იყო დაფიქსირებული იმპორტიორი ქვეყნები. ქვეყნების დადგენა მოხერხდა იმ ვალუტების შესაბამისად, რომელშიც განხორციელებული იყო შესაბამისი ოპერაციები.

2015 წელს მოხერხდა სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მიღება და სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა განახორციელა ინფორმაციის კორექტირება, დამუშავება და განაახლა 2011-2014 წლების იმპორტის მონაცემები.

ამრიგად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქსტატი საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას აწარმოებს გაეროს საერთაშორისო მეთოდოლოგიის შესაბამისად, საბაჟო სტატისტიკის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის ფონზე, როგორც ვნახეთ, თვალსაჩინო ხდება სტატისტიკური აღრიცხვის ძირითადი

პრობლემები, რომელთა დაძლევის წინაშეც დგას დღეს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახური.

პრობლემები ზოგადად ვლინდება

➤ როდესაც საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზებში არ ფიქსირდება საქონლის წარმოშობის ქვეყანა, არამედ აისახება მხოლოდ მოვაჭრე ქვეყანა;

➤ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში ველის – „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ – სისტემატურად შეუვსებლობისას;

➤ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში იმპორტირებულ ავტომობილებზე მიახლოებითი და არა საიმპორტო ღირებულების მიწერის საკითხშიც;

➤ იმპორტირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე შესაბამისი სასაქონლო კოდების არასწორად მინიჭებისას. ასევე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეექსპორტისას მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში რეგისტრაციისას, როდესაც არ ფიქსირდება ავტომანქანის ექსპორტირების თარიღი და საექსპორტო ღირებულება;

➤ გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის სრულყოფილად შევსების დროს: როდესაც ქვეყნები, თერთმეტნიშნა დონეზე საქონლის კოდები და ღირებულები არასრულად მიეთითება;

➤ საწყობიდან საწყობში გადატანის ოპერაციებისათვის რეჟიმის სწორად მინიჭების დროს;

➤ საბაჟო საწყობიდან რეექსპორტის რეჟიმით ტვირთების იმავე ქვეყანაში გატანის აღრიცხვისას, საიდანაც მოხდა შემოტანა;

➤ კანონმდებლობით სავალდებულოა, რომ დეკლარაციაში მითითებულ იქნას საქონლის გამომგზავნი და საბოლოო დანიშნულების ქვეყანა, ზოგ დეკლარაციაში ეს ინფორმაცია არ არის დაფიქსირებული.

➤ საბაჟოზე აღრიცხვისას შესაძლებელია გარკვეული ხარვეზები გამოვლინდეს გადამუშავების/რემონტის შემთხვევაში საქონლის დეკლარაციაში დაფიქსირებისასა და არასწორად მინიჭებული რეჟიმების დროს, რაც ექპორტ-იმპორტის სტატისტიკური აღრიცხვისას ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს. კერძოდ, რემონტის რეჟიმი ენიჭება როგორც გადასამუშავებლად განკუთვნილ, ისე სარემონტო საქონელს. მეთოდოლოგიის თანახმად, გადამუშავება აისახება საქონლით საგარეო ვაჭრობაში, ხოლო რემონტი მომსახურებით ვაჭრობის საგანია;

2017 წლის დასაწყისიდან შესაძლებელი გახდა ინფორმაციის დამუშავება გაეროს მიერ რეკომენდებულ ფორმატში სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე. კერძოდ, საკითხი ეხება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებას ტრანსპორტირების სახეების ჭრილში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების სააგენტოს მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების დეკლარირებისას გამოყენებული ფორმა – „ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია“ (დამტკიცებული ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით) – არ ითვალისწინებს საზღვარზე სატრანსპორტო საშუალების ველის გრაფას, რის გამოც მათგან ფიზიკურად შეუძლებელია აუცილებელი ინფორმაციის მიღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო მეთოდოლოგიურ სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის და გაეროს რეკომენდაციების შესრულების მიზნით, განსახილველია ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა, რათა სსიპ მომსახურების სააგენტომ შეძლოს სრული ინფორმაციის მოწოდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპორტ-იმპორტის შესახებ. მათ მიერ მოწოდებულ დროულ და სრულყოფილ ინფორმაციაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა უტყუარობა და მაღალი ხარისხი.

ასევე, გაეროს მოთხოვნების გათვალისწინებითა და რეკომენდაციების შესაბამისად, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია განხორციელდეს ცვლილება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში და მას დაემატოს FOB ფასები იმპორტისთვის. იმპორტი უნდა აღირიცხოს როგორც CIF, ისე FOB ფასში. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია საგადასახდელი ბალანსისთვისაც, ვინაიდან მასში იმპორტი აისახება FOB ფასებში. მოცემულ ეტაპზე ექსპორტი აღრიცხულია FOB, ანუ ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (მოიცავს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე დატვირთვის ხარჯებს), ხოლო იმპორტი – CIF, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (გარდა FOB ფასისა, მოიცავს საერთაშორისო ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს).

გაეროს რეკომენდაციების შესრულება, პირველ რიგში, უზრუნველყოფს საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაქსიმალურ მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან, პარტნიორი ქვეყნების მონაცემებთან ჩვენი

ქვეყნის მონაცემების ურთიერთშესადარისობას, საგადასახდელო ბალანსისა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემისთვის სტატისტიკურ მონაცემთა წყაროების სრულყოფას, რაც, საბოლოო ჯამში, საგარეო ვაჭრობისა და, მთლიანად, საგარეო სექტორის სტატისტიკის ხარისხობრივი გაუმჯობესების მყარი გარანტი იქნება.

ეს ერთ-ერთი აუცილებელი და მოსაგვარებელი საკითხია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების მიხედვით, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებასაც (DCFTA). ამ შეთანხმებით, ასოცირების მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ სტატისტიკის განვითარებისა და ევროპულ სტატისტიკურ სისტემასთან დაახლოების მიმართულებით.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულების მიზნით, შემუშავდა სამოქმედო გეგმა, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის განვითარებისა და სრულყოფის საკითხებს. საგარეო სექტორის სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესებაც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ერთ-ერთ პრიორიტეტია.

საყურადღებოა, რომ ევროდელეგაციის რეკომენდაციით, საქსტატმა განაცხადა ტვინინგის პროგრამაზე, რომელიც ევროკავშირის ინსტიტუციური თანამშრომლობის ინსტრუმენტია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ბენეფიციარი ქვეყნების საჯარო უწყებებს შორის.

საგარეო სექტორის სტატისტიკის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს სარკისებური შედარება საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა.

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პარტნიორ ქვეყნებს შორის ორმხრივი ვაჭრობის მონაცემებში არსებული ასიმეტრიის მიზეზების დადგენა. ეკონომიკური დიალოგის ფარგლებში, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ქვეკომიტეტის შეხვედრებზე ხშირად ისმის საკითხი ევროსტატის და საქსტატის ოფიციალურ მონაცემებს შორის განსხვავების შესახებ და მხარეები დაინტერესებულნი არიან განსხვავების მიზეზების დადგენით.

საქართველოს სტატისტიკაში სარკისებური შედარებები, საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, 2006 წლის შემდეგ არ განხორციელებულა. სარკისებური შედარება გულისხმობს პარტნიორი ქვეყნების ორმხრივი ვაჭრობის სტატისტიკური

მონაცემების შედარებასა და განსხვავების მიზეზების დადგენას. აღნიშნული სამუშაოები დიდი ოდენობით ფინანსურ რესურსს მოითხოვს. ის გულისხმობს არა მხოლოდ მონაცემების მარტივ არითმეტიკულ შედარებას, არამედ სრული მეთოდოლოგიური და ტექნიკური სამუშაოების შესრულებას უცხოელი ექსპერტებისა და დარგის სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით.

რაც შეეხება მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკას, მისი წარმოება რეკომენდებულია ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და უზრუნველყოფს მზარდი ინტერესისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებებსა და შეთანხმებებში. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა მსოფლიო ვაჭრობის ყველაზე დინამიკური სექტორია. დეტალური სტატისტიკის არსებობა მომსახურების კატეგორიების და პარტნიორი ქვეყნების ჭრილში, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ანალიტიკოსებს საქართველოს მიერ მიღწეული შედეგების შეფასებისას ასოცირების შეთანხმების განხორციელების მიმართულებით.

პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს სტატისტიკური კანონმდებლობის, ნორმების, სტანდარტების და მეთოდოლოგიების დაახლოების პროცესს ევროკავშირის სტანდარტებთან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დაინტერესება გამოხატა 2-წლიანი ტვინინგის მიმართულებით და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, პროცესი დაიწყება 2018 წლის 1 კვარტალიდან.

2.3. საინდექსო მეთოდის გამოყენების სპეციფიკა საბაჟო სტატისტიკაში

საბაჟო სტატისტიკა სტატისტიკის შედარებით ახალი დარგია, რომლის განვითარება საქართველოში საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბებასა და საბაჟო საქმის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობს. ამიტომ, საბაჟო ცვლილებების ფონზე ტრასფორმირებას განიცდის და სრულყოფილი ხდება საბაჟო სტატისტიკა. ისევე, როგორც სხვა სფეროში მიმდინარე მოვლენები, საბაჟო მოვლენები და პროცესებიც იცვლება დროსა და სივრცეში, რის გამოც აუცილებელი ხდება ამ ცვლილების შეფასება.

თანამედროვე სტატისტიკის საერთაშორისო პრაქტიკაში მოვლენების ცვლილების მასშტაბის, ზომის, დიაპაზონის, მოცულობის განსაზღვრისას, ვარიაციაზე მოქმედი ფაქტორების დადგენისა და ფაქტორების კავშირის სიმჭიდროვის განსაზღვრისათვის, აგრეთვე საბაჟო მოვლენების რაოდენობრივი მახასიათებლების დინამიკის შესწავლისა და საბაჟო სფეროში მიმდინარე მრავალი, ურთიერთდაკავშირებული პროცესების ცვლილების შესაფასებლად საბაჟო სტატისტიკა აპრობირებულ სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდების აპარატს იყენებს. მათ შორის, საბაჟოზე მიმდინარე არაერთგვაროვანი მოვლენების დინამიკის შესაფასებლად სტატისტიკა იყენებს საინდექსო მეთოდს.

საბაჟო სტატისტიკა ინდექსებს აგებს საბაჟო შემოსავლებისა (იმპორტის გადასახადი, აქციზის გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი და სხვა გადასახადები) და ექსპორტ-იმპორტის ცვლილების შესასწავლად. ცხადია, იმის შესაბამისად ერთი მოვლენის ცვლილება იზომება, თუ რამდენიმესი, საბაჟო სტატისტიკა აგებს ინდივიდუალურ და აგრეგატულ ინდექსებს.

საბაჟო შემოსავლების ცვალებადობის გასაზომად აიგება ინდივიდუალური ინდექსები:

$$i = \frac{q_1}{q_0}$$

სადაც, q_1 – საანგარიშო პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) საბაჟო შემოსავალია, ხოლო q_0 – საბაჟო შემოსავალია საბაზისო პერიოდისათვის.

რადგან საბაჟო შემოსავლებს ძირითადად წარმოქმნის ორი მაჩვენებელი: საბაჟო საგადასახადო ბაზა და საგადასახადო განაკვეთი, ამიტომ ამ ორი კომპონენტის საფუძველზე აიგება საბაჟო შემოსავლების აგრეგატული ინდექსი.

დროთა განმავლობაში საბაჟო შემოსავლები იცვლება, საბაჟო სტატისტიკისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ შეიცვალა საბაჟო შემოსავლები თითოეული ფაქტორის, საგადასახადო ბაზისა და საგადასახადო განაკვეთის ცვლილების ხარჯზე. სწორედ აქ ჩანს სტატისტიკის როლი, გამოავლინოს ინდექსების ფენომენალური თვისება და მოახდინოს აგრეგატული ინდექსის ფაქტორული დაშლა.

საბაჟო შემოსავლების აგრეგატული ინდექსი აიგება შემდეგნაირად:⁶⁷

$$I_{q\lambda} = \frac{\sum q_1 \lambda_1}{\sum q_0 \lambda_0},$$

სადაც $I_{q\lambda}$ – საგადასახადო შემოსავლების საერთო ანუ აგრეგატული ინდექსია, q_1 და q_0 – საგადასახადო ბაზა (ექსპორტ-იმპორტის მოცულობა). შეაბამისად, საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში λ_1 და λ_0 – საბაჟო საგადასახადო განაკვეთებია საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი ფაქტორი, რომელიც მოქმედებს საგადასახადო (საბაჟო) შემოსავლებზე, არის საგადასახადო ბაზა. მისი საგადასახადო (საბაჟო) შემოსავლებზე გავლენის გასაზომად უნდა აიგოს საგადასახადო ბაზის აგრეგატული ინდექსი:⁶⁸

$$I_q = \frac{\sum q_1 \lambda_0}{\sum q_0 \lambda_0}$$

სადაც I_q საინდექსო სიდიდეა, (q_1) – საგადასახადო ბაზა საანგარიშო პერიოდში, ხოლო (q_0) – საბაზისო პერიოდებში.

საგადასახადო ბაზა ყოველთვის იცვლება და მისი საინდექსო მეთოდით გაზომვა ყოველთვის შესაძლებელია.

საგადასახადო შემოსავლების ფაქტორული დაშლა გულისხმობს საგადასახადო განაკვეთის (λ), აგრეგატული ინდექსის აგებას, სადაც საინდექსო სიდიდე საანგარიშო და საბაზისო პერიოდების საგადასახადო განაკვეთის სიდიდეა

⁶⁷ სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის (დექციების კურსი). გვ. 186-187; https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/stat2.pdf

⁶⁸ გაბიძაშვილი ბ., ფისკალური სტატისტიკა. თბ., 2000. გვ.83

(λ), ხოლო თანაზომადობის მაჩვენებელს წარმოადგენს საგადასახადო ბაზა მიმდინარე პერიოდის დონეზე. აქედან გამომდინარე, საგადასახადო განაკვეთების ინდექსი აიგება შემდეგნაირად:

$$I_{\lambda} = \frac{\sum q_1 \lambda_1}{\sum q_1 \lambda_0}$$

ინდექსი გვიჩვენებს საბაჟო გადასახადების განაკვეთების სიდიდის გავლენას საგადასახადო (საბაჟო) შემოსავლებზე.

ამ ინდექსებს შორის მეთოდოლოგიური კავშირი ფორმალიზებულად შემდეგნაირად გამოისახება:

$$\frac{\sum q_1 \lambda_1}{\sum q_0 \lambda_0} = \frac{\sum q_1 \lambda_0}{\sum q_0 \lambda_0} \times \frac{\sum q_1 \lambda_1}{\sum q_1 \lambda_0}$$

ეს კავშირი კარგად შეიძლება გამოვიყენოთ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საგადასახადო შემოსავლების ფაქტორულ ანალიზში, რომლის შედეგების ოპტიმალური ფისკალური პოლიტიკის შემუშავების წინაპირობა გახდება.

უკანასკნელი წლების საბაჟო შემოსავლების მონაცემების მიხედვით ავაგოთ და გავიანგარიშოთ, როგორც ინდივიდუალური ისე აგრეგატიული ინდექსები.

2015 წლისათვის გაანგარიშებული ინდექსების მნიშვნელობები შემდეგია:

იმპორტის გადასახადის მიმართ

$$i = \frac{q_1}{q_0} = \frac{69294}{94883} = 0.73 \quad \text{ანუ} \quad 73 \%$$

ექსპორტის გადასახადის მიმართ

$$i = \frac{q_1}{q_0} = \frac{651137}{598436} = 1.09 \quad \text{ანუ} \quad 109 \%$$

დამატებული ღირებულების გადასახადის მიმართ

$$i = \frac{q_1}{q_0} = \frac{1637524}{1172369} = 1.40 \quad \text{ანუ} \quad 140 \%$$

მთლიანი საბაჟო შემოსავლების ინდექსმა შეადგინა:

$$i = \frac{q_1}{q_0} = \frac{2366087}{1871692} = 1.26 \quad \text{ანუ} \quad 126 \%$$

რაზე მეტყველებს ეს ინდექსები? ეს ინდექსები იმაზე მიუთითებს, რომ 2015 წლის საბაჟო შემოსავლები, 2014 წლის საბაჟო შემოსავლებთან შედარებით, შემცირდა იმპორტის გადასახადის მიმართ 27%-ით, აქციზის გადასახადის მიმართ გაიზარდა 9%-ით, დამატებული ღირებულების გადასახადის მიმართ 40%-ით, ხოლო მთლიანად საშუალოდ გაიზარდა 26%-ით.

იგივე ინდექსები გავიანგარიშოთ 2016 წლის საბაჟო შემოსავლების მონაცემების მიხედვით, 2015 წელთან შედარებით.

ინდექსის მნიშვნელობები მივიღეთ:

იმპორტის გადასახადის მიმართ

$$i = \frac{q_1}{q_0} = \frac{70041}{69294} = 1.01 \quad \text{ანუ} \quad 101 \%$$

აქციზის გადასახადის მიმართ

$$i = \frac{q_1}{q_0} = \frac{887730}{651137} = 1.36 \quad \text{ანუ} \quad 136 \%$$

დამატებული ღირებულების გადასახადის მიმართ

$$i = \frac{q_1}{q_0} = \frac{2356653}{1637524} = 1.44 \quad \text{ანუ} \quad 144 \%$$

მთლიანი საბაჟო შემოსავლების ინდექსმა შეადგინა:

$$i = \frac{q_1}{q_0} = \frac{3314424}{2366087} = 1,40 \quad \text{ანუ} \quad 140 \%$$

2016 წლის საბაჟო შემოსავლები, 2015 წლის საბაჟო შემოსავლებთან შედარებით, იმპორტის გადასახადის მიმართ გაიზარდა 1%-ით, აქციზის გადასახადის მიმართ გაიზარდა 36%-ით, დამატებული ღირებულების გადასახადის მიმართ 44%-ით, ხოლო მთლიანად საბაჟო შემოსავლები საშუალოდ გაიზარდა 40%-ით.

საქართველოს საბაჟო შემოსავლები 2012-2016 წლებში
(ათასი ლარი)

წელი	2012	2013	2014	2015	2016* ⁶⁹
სულ	1,292,053	1,198,956	1,871,692	2,366,087	3,314,424
დღგ	747,417	586,184	1,172,369	1,637,524	2,356,653
აქციზი	450,684	516,604	598,436	651,137	887,730
იმპორტის გადასახადი	90,079	89,375	94,883	69,294	70,041
სხვა გადასახადები	3,873	6,793	6,004	8,131	

ცხრილი შედგენილია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე

2015 წლის მთლიანი საბაჟო შემოსავლები, 2012 წელთან შედარებით, გაიზარდა 83,1%-ით, იმპორტის გადასახადი შემცირდა 23,1%-ით, აქციზი გაიზარდა 44,5%-ით, დამატებული ღირებულების გადასახადი – 119,1%-ით.

2016 წლის მთლიანი საბაჟო შემოსავლები, 2012 წელთან შედარებით, გაიზარდა 156,5%-ით, იმპორტის გადასახადი შემცირდა 22,2%-ით, აქციზი გაიზარდა 97%-ით, დამატებული ღირებულების გადასახადი – 215,3%-ით.

აგრეგატიული ინდექსის აგების დროს გადავაწყდით პრობლემებს. ინდექსის ასაგებად უნდა გამოგვეყენებინა ექსპორტ-იმპორტის მონაცემები, რაც საკმაოდ დიდი მოცულობისაა და მრავალფეროვან ბაზას წარმოადგენს. ამასთან, სასაქონლო კოდების მიხედვითაც უნდა გაგვეანალიზებინა ბაზა. აქ გასათვალისწინებელია, რომ გადასახადის განაკვეთებიც საგადასახადო კოდების მიხედვითაა დიფერენცირებული. კერძოდ: არის განსხვავებული საპროცენტო განაკვეთი, მაგალითად, იმპორტის გადასახადის განაკვეთი განსხვავდება სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, ზოგი იბეგრება 5-პროცენტიანი განაკვეთით, ხოლო ზოგი 12-პროცენტიანი განაკვეთით. აქციზის გადასახადი იბეგრება განსხვავებულად, კონკრეტული საქონლის მიხედვით, და საპროცენტო განაკვეთი მიყენებულია სხვადასხვა ზომის ერთეულების მიხედვით, სწორედ ყველა პირობის

⁶⁹ * 2016 წლის საბაჟო შემოსავლები დათვლილია ახალი მეთოდით (დარიცხვის მეთოდი), რომელიც ფინანსთა სამინისტრომ 2016 წელს დანერგა.

გათვალისწინების შემთხვევაში გართულდა პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე აგრეგატული ინდექსის აგება.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომია როგორც მთლიანი საბაჟო სტატისტიკის მონაცემები, ასევე მობილიზებული თანხების მოცულობა, რაც რეალურად უნდა გაგვეანგარიშებინა ინდექსის აგების შემთხვევაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბაჟო სტატისტიკაში ინდექსების გამოყენების მეორე დიდი სფეროა ექსპორტ-იმპორტი.

საბაჟო სტატისტიკაში ექსპორტისა და იმპორტის საშუალო ფასების დინამიკის გაზომვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ე.წ. „პარადოქსების“ პრობლემა ეკონომიკაში და, მათ შორის, საგარეო ეკონომიკურ კავშირთა თეორიებშიც. ეს „პარადოქსები“ იმით ვლინდება, რომ შესაძლებელია, მაგალითად, არცერთი სახეობის საექსპორტო პროდუქციის ფიზიკური მოცულობა და ფასები არ გაიზარდოს, მაგრამ საშუალო ფასის დინამიკა იყოს ზრდადი. ამ შედეგს იწვევს ის გარემოება, რომ საექსპორტო საქონლის სტრუქტურულმა ძვრებმა (საქონლის შემადგენლობაში მაღალფასიანი საქონლის ან მომსახურების ხვედრითი წილის ზრდა) განაპირობა საშუალო ფასის მატება საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით.

განვიხილოთ წონის მიხედვით უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ხუთეული 2014-2016 წლების მიხედვით.

ცხრილი 2

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ხუთეული (რაოდენობისა და ერთეულის ფასის მიხედვით)⁷⁰

საქონლის დასახელება ექსპორტში	2014		2015		2016	
	რაოდენობა (ათასი ტონა)	ერთეულის ფასი (აშშ დოლარი)	რაოდენობა (ათასი ტონა)	ერთეულის ფასი (აშშ დოლარი)	რაოდენობა (ათასი ტონა)	ერთეულის ფასი (აშშ დოლარი)
აზოტოვანი სასუქები	464	0.3	454	0.2	343	0.2
ნავთობი ნედლი	58	0.6	240	0.4	115	0.3
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	187	1.3	240	1.1	284	1.1

⁷⁰ www.geostat.ge

ფეროშენადნობები	270	1.1	219	0.9	229	0.7
მინერალური და მტკნარი წყლები	147	0.9	102	0.8	117	0.7

ამ მონაცემებიდან აშკარაა, რომ საექსპორტო ხუთეულის ყველა სახეობაზე, 2014 წელთან შედარებით, როგორც 2015 წელს, ისე 2016 წელს ფასები შემცირდა. 2015 წელთან შედარებით კი, 2016 წელს ზოგოერთ მათგანზე ფასები შენარჩუნდა, ნაწილზე კი კვლავ შემცირდა. მაგრამ წინასწარ, გაანგარიშების გარეშე, რთულია თქმა, საშუალო ფასი საანგარიშო 2015 და 2016 წელს შემცირებული იქნება თუ არა. ამის საფუძველს გვაძლევს სწორედ საექსპორტო საქონლის სტრუქტურის ცვალებადობა: ზოგი საქონლის ხვედრითი წილი გაიზარდა, ზოგის კი შემცირდა.

ამის გასარკვევად, პირველ რიგში, გავიანგარიშოთ საშუალო ფასები შეწონილი საშუალო არითმეტიკულის დახმარებით როგორც 2014 (საბაზისო) და 2015 (სანგარიშო) წლებში, ისე 2015-2016 წლებისათვის:

$$2014\text{წ. } \bar{x} = \frac{\sum xf}{\sum f} = \frac{(464 \cdot 0.3) + (58 \cdot 0.6) + (187 \cdot 1.3) + (270 \cdot 1.1) + (147 \cdot 0.9)}{464 + 58 + 187 + 270 + 147} = 0,75 \text{ აშშ დოლარი}$$

$$2015\text{წ. } \bar{x} = \frac{\sum xf}{\sum f} = \frac{(454 \cdot 0.2) + (240 \cdot 0.4) + (240 \cdot 1.1) + (219 \cdot 0.9) + (102 \cdot 0.8)}{454 + 240 + 240 + 219 + 102} = 0,59 \text{ აშშ. დოლარი}$$

მაშასადამე, ამ პერიოდში საშუალო ფასი შემცირდა 0,75 აშშ დოლარიდან 0,59 აშშ დოლარამდე, ანუ 21,2%-ით. ეს მაშინ, როცა თითოეული დასახელების საქონელზეც ფასები შემცირდა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში საგარეო ვაჭრობაში, სწორი ფისკალური პოლიტიკაა გატარებული.

დაფიქსირდა თუ არა ცვლილებები 2016 წელს?

მონაცემებიდან აშკარაა, რომ 2016 წელს საექსპორტო ხუთეულის პირველ ორ სახეობაზე 2015 წელთან შედარებით ფასები უცვლელია, ხოლო დანარჩენ საქონელზე შემცირებულია (მაგ.: „ფეროშენადნობები“ $0.7/0.9 \times 100 = 77.8$ ანუ 22.2%-ით, „მინერალური და მტკნარი წყლები“ $0.7/0.8 \times 100 = 87.5$ ანუ 12.5%-ით, „ნედლი ნავთობი“ $0.3/0.4 \times 100 = 75.0$, ანუ 25%-ით),

გავიანგარიშოთ საშუალო ფასები 2015 (საბაზისო) და 2016 (სანგარიშო) წლებისათვის:

$$2015\text{წ. } \bar{x} = \frac{\sum xf}{\sum f} = \frac{(454 \cdot 0.2) + (240 \cdot 1.1) + (219 \cdot 0.9) + (102 \cdot 0.8) + (240 \cdot 0.4)}{454 + 240 + 219 + 102 + 240} = 0.59 \text{ აშშ დოლარი}$$

$$2016\text{წ. } \bar{x} = \frac{\sum xf}{\sum f} = \frac{(343 \cdot 0.2) + (284 \cdot 1.1) + (229 \cdot 0.7) + (117 \cdot 0.7) + (115 \cdot 0.3)}{343 + 284 + 229 + 117 + 115} = 0.61 \text{ აშშ დოლარი}$$

როგორც ვხედავთ, ამ პერიოდში საშუალო ფასი 0,59 აშშ დოლარიდან 0,61 აშშ დოლარამდე, ანუ 3,39%-ით გაიზარდა. ეს მაშინ, როცა ზოგიერთი დასახელების საქონელზე ფასები არ შეცვლილა, ზოგიერთზე კი შემცირდა კიდევ.

საბაჟო სტატისტიკაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად უნდა აიგოს ცვალებადი, სტრუქტურული და ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსები.

ამ ინდექსების გასაანგარიშებლად დავადგინეთ საექსპორტო საქონლის სტრუქტურა 2014-2016 წლებში და ძირითადი საქონლის ტოპსუთეულის წილის მანევრებლები მთლიან ექსპორტში. შედეგები კოეფიციენტების სახით წარმოვადგინეთ შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 3

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ხუთეული
(წილისა და ერთეულის ფასის მიხედვით)

საქონლის დასახელება ექსპორტში	2014		2015		2016	
	ხვედრითი წილი (ω ₀)	ერთეულის ფასი (p ₀)	ხვედრითი წილი (ω ₁)	ერთეულის ფასი (p ₁)	ხვედრითი წილი (ω ₁)	ერთეულის ფასი (p ₁)
აზოტოვანი სასუქები	0.41	0.3	0.36	0.2	0.32	0.2
ნავთობი ნედლი	0.05	0.6	0.19	0.4	0.11	0.3
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	0.17	1.3	0.19	1.1	0.26	1.1
ფეროშენადნობები	0.24	1.1	0.17	0.9	0.21	0.7
მინერალური და მტკნარი წყლები	0.13	0.9	0.08	0.8	0.11	0.7

წყარო: ცხრილი აგებულია ჩვენ მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი ასახავს საექსპორტო საქონელბრუნვაზე ორივე ფაქტორის (სასაქონლო სტრუქტურის და ფასების) ერთდროულ გავლენას და აიგება შემდეგნაირად:

$$I = \frac{\sum \omega_1 p_1}{\sum \omega_0 p_0}$$

სადაც ω₁ და ω₀ - სასაქონლო სტრუქტურაში თითოეული საექსპორტო სახის საქონლის ხვედრითი წილია, შესაბამისად, საანგარიშო და საბაზისო წლებში

გამოსახული კოეფიციენტის სახით, ხოლო ხოლო p_1 და p_0 საქონლის ერთეულის ფასებია საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

გაიანგარიშოთ ინდექსის მნიშვნელობა 2015 და 2016 წლისათვის.

ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი 2015 წლისათვის, ჩვენი მონაცემებით, გაუტოლდა 0.76-ს, რაც ნიშნავს, რომ ექსპორტის საქონელბრუნვა წინა წელთან შედარებით შემცირდა 24%-ით.

$$I = \frac{\sum \omega_1 p_1}{\sum \omega_0 p_0} = \frac{(0,36 \cdot 0,2) + (0,19 \cdot 0,4) + (0,19 \cdot 1,1) + (0,17 \cdot 0,9) + (0,08 \cdot 0,8)}{(0,41 \cdot 0,3) + (0,05 \cdot 0,6) + (0,17 \cdot 1,3) + (0,24 \cdot 1,1) + (0,13 \cdot 0,9)} = 0.76$$

მეორე ინდექსი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსი, რომელმაც უნდა გაზომოს საექსპორტო საქონელბრუნვის ცვალებადობა, მხოლოდ ფასების ცვალებადობის მიხედვით.

$$I = \frac{\sum \omega_1 p_1}{\sum \omega_1 p_0}$$

$$I = \frac{\sum \omega_1 p_1}{\sum \omega_1 p_0} = \frac{(0,36 \cdot 0,2) + (0,19 \cdot 0,4) + (0,19 \cdot 1,1) + (0,17 \cdot 0,9) + (0,08 \cdot 0,8)}{(0,36 \cdot 0,3) + (0,19 \cdot 0,6) + (0,19 \cdot 1,3) + (0,17 \cdot 1,1) + (0,08 \cdot 0,9)} = 0.79$$

აქ ჩანს, რომ 2015 წელს ცალკეულ საქონელზე ფასების შემცირებამ საანალიზო პერიოდში, საშუალო ფასიც შეამცირა. დაბოლოს, სტრუქტურული ძვრების ინდექსი, რომელიც ზომავს საექსპორტო საქონელბრუნვის ცვალებადობაზე ცალკეული საქონლის ხვედრითი წილის ცვალებადობის გავლენას, გაიანგარიშება ფორმულით:

$$I = \frac{\sum \omega_1 p_0}{\sum \omega_0 p_0}$$

$$I = \frac{\sum \omega_1 p_0}{\sum \omega_0 p_0} = \frac{(0,36 \cdot 0,3) + (0,19 \cdot 0,6) + (0,19 \cdot 1,3) + (0,17 \cdot 1,1) + (0,08 \cdot 0,9)}{(0,41 \cdot 0,3) + (0,05 \cdot 0,6) + (0,17 \cdot 1,3) + (0,24 \cdot 1,1) + (0,13 \cdot 0,9)} = 0.96$$

როგორც ვხედავთ, ფასების უცვლელობის პირობებში სტრუქტურული ძვრების ინდექსი 4%-ით შემცირდა. აღნიშნული გამოწვეულია, ნედლი ნავთობის და სპილენძის მადნები და კონცენტრატები გარდა, დანარჩენი საქონლის, ხვედრითი წილის შემცირებით.

როგორია ექსპორტის ცვალებადი, სტრუქტურული და ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსის მნიშვნელობები 2016 წელს?

ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი მივიღეთ 1,02. რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ექსპორტის საქონელბრუნვა 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, გაიზარდა 2%-ით.

$$I = \frac{\sum \omega_1 p_1}{\sum \omega_0 p_0} = \frac{(0,32 \cdot 0,2) + (0,26 \cdot 1,1) + (0,21 \cdot 0,7) + (0,11 \cdot 0,7) + (0,11 \cdot 0,3)}{(0,36 \cdot 0,2) + (0,19 \cdot 1,1) + (0,17 \cdot 0,9) + (0,08 \cdot 0,8) + (0,19 \cdot 0,4)} = 1.02$$

ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსი აღმოჩნდა 0,89-ის ტოლი:

$$I = \frac{\sum \omega_1 p_1}{\sum \omega_1 p_0} = \frac{(0,32 \cdot 0,2) + (0,26 \cdot 1,1) + (0,21 \cdot 0,7) + (0,11 \cdot 0,7) + (0,11 \cdot 0,3)}{(0,32 \cdot 0,2) + (0,26 \cdot 1,1) + (0,21 \cdot 0,9) + (0,11 \cdot 0,8) + (0,11 \cdot 0,4)} = 0.89$$

აქ ჩანს, რომ ცალკეულ საქონელზე ფასების შემცირებამ საანალიზო პერიოდში საშუალო ფასიც შეამცირა. დაბოლოს, სტრუქტურული ძვრების ინდექსი, რომელიც ზომავს საექსპორტო საქონელბრუნვის ცვალებადობაზე ცალკეული საქონლის ხვედრითი წილის ცვალებადობის გავლენას მივიღეთ 1.15:

$$I = \frac{\sum \omega_1 p_0}{\sum \omega_0 p_0} = \frac{(0,32 \cdot 0,2) + (0,26 \cdot 1,1) + (0,21 \cdot 0,9) + (0,11 \cdot 0,8) + (0,11 \cdot 0,4)}{(0,36 \cdot 0,2) + (0,19 \cdot 1,1) + (0,17 \cdot 0,9) + (0,08 \cdot 0,8) + (0,19 \cdot 0,4)} = 1.15$$

ამრიგად, ფასების უცვლელობის პირობებში სტრუქტურული ძვრების ინდექსი 15%-ით გაიზარდა. აღნიშნული გამოწვეულია, აზოტოვანი სასუქების და ნედლი ნავთობის გარდა, დანარჩენი საქონლის ხვედრითი წილის გაზრდით.

შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ 2016 წლის მონაცემებით, გაანგარიშებული ყველა ინდექსი აჭარბებს 2015 წლის ინდექსებს. ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი გაზრდილია 0.76-დან 1.02-მდე, ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსი გაზრდილია 0.79-დან 0.89-მდე და სტრუქტურული ძვრების ინდექსი 0.96-დან 1.15-მდე. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ხუთეულის რაოდენობრივად არ გაზრდილა, პირიქით, დაფიქსირდა შემცირება (2014 წელს – 1126 ათასი ტონა, 2015 წელს – 1255 ათასი ტონა, ხოლო 2016 წელს – 1088 ათასი ტონა), მაინც გაზრდილია ინდექსის მაჩვენებლები, რაც,

რეალურად, გამოწვეულია სწორედ იმ საქონლის ზრდით, რომლის ერთეულის ფასიც ყველაზე მაღალია (სპილენძის მადნები და კონცენტრატები).

ექსპორტისა და იმპორტის ფასების ინდექსების გაანგარიშება საბაჟო სტატისტიკაში ვაჭრობის პირობების ინდექსის აგების საშუალებას იძლევა, რომლის ფორმალიზებული გამოსახულება შემდეგი სახისაა:

$$I = \frac{I_{p(\text{ექსპორტი})}}{I_{p(\text{იმპორტი})}}$$

სადაც I – ვაჭრობის პირობების ინდექსია, რომელიც გეინვენებს საანგარიშო პერიოდის ვაჭრობის პირობებს საბაზისოსთან შედარებით (თუ ის ერთი ტოლია, მაშინ ვამბობთ, რომ საანგარიშო პერიოდში ვაჭრობის პირობები იგივეა, რაც იყო საბაზისო პერიოდში, ხოლო თუ ერთზე მეტია, მაშინ ეს პირობები გაუმჯობესებულია, თუ ნაკლები – გაუარესებულია);

$I_{p(\text{ექსპორტი})}$ – საექსპორტო საქონლის საშუალო ფასის ინდექსია;

$I_{p(\text{იმპორტი})}$ – საიმპორტო საქონლის საშუალო ფასის ინდექსი.

ვაჭრობის პირობების ინდექსის აგება დღესაც გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. პირდაპირი ფორმით, ზემოთ აღნიშნული ფორმულის მიხედვით, ვაჭრობის პირობების ინდექსი ვერ გაიანგარიშება. ამის მიზეზი არის ის, რომ ექსპორტის ფასების ინდექსის გაანგარიშება ხდება 2014 წლიდან, ხოლო იმპორტის ფასების ინდექსი პირველად გაანგარიშდა და გამოქვეყნდა 2017 წლის იანვარში. ამიტომ ვაჭრობის პირობების ინდექსის გასაანგარიშებლად, იმპორტის ფასების ინდექსის მაგივრად, გამოვიყენეთ CPI სამომხმარებლო ფასების ინდექსი იმპორტულ საქონელზე.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წელს წინა, საბაზისო 2014 წლთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი იმპორტულ საქონელზე 2,2%-ით გაიზარდა და 102,2% შეადგინა, ხოლო ექსპორტის ფასების ინდექსი 12,3%-ით გაიზარდა და 112,3%-ის დონეზე დაფიქსირდა. ამის გათვალისწინებით, ვაჭრობის პირობების ინდექსი გამოვიდა **109,9%**. ხოლო 2016 წელს წინა, საბაზისო 2015 წლთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი იმპორტულ საქონელზე -1,4%-ით შემცირდა და 98,6% შეადგინა, ხოლო ექსპორტის ფასების ინდექსი 2,0%-ით გაიზარდა და 102,0%-ის დონეზე დაფიქსირდა. ამის გათვალისწინებით, ვაჭრობის პირობების ინდექსი გამოვიდა **103,4%**.

რადგან ვაჭრობის პირობების ინდექსი გვიჩვენებს საანგარიშო პერიოდის ვაჭრობის პირობების ცვლილებას საბაზისოსთან შედარებით, კოეფიციენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოეფიციენტის ერთზე მეტობის პირობებში საანგარიშო პერიოდში, 2015 წელს 2014 წელთან და ასევე 2016 წელს 2015 წელთან შედარებით ვაჭრობის პირობები გაუმჯობესებულია. 2016 და 2015 წლების მიმართ დათვლილი ვაჭრობის პირობების ინდექსი შემცირებულია 109.9%-იდან 103.4%-მდე, აქ უნდა აღინიშნოს, რომ შემცირება გამოწვეულია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით და დოლარის კურსის ცვლილებით.


თავი III. საბაჟო შემოსავლების ეკონომიურ-სტატისტიკური ანალიზი

3.1. საბაჟო შემოსავლების რეგიონული სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი

საბაჟო სტატისტიკის ამოცანები განისაზღვრება საბაჟო სტრუქტურების საქმიანობის რაოდენობრივი ანალიზის აუცილებლობით, რომელიც გულისხმობს ქვეყნის ექსპორტ-იმპორტზე და საერთაშორისო ტრანზიტით გადაადგილებული საქონლის მახასიათებლის სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს. გარდა ამისა საბაჟო სტატისტიკის ამოცანას წარმოადგენს საბაჟო კანონმდებლობის დამრღვევებზე მონაცემთა ინფორმაციული ბაზის შექმნა; ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ტენდენციების, სტრუქტურის, დინამიკის განსაზღვრა და ანალიზი, საბაჟო დეპარტამენტს დაქვემდებარებული საბაჟო ორგანოების სტატისტიკური სამსახურების კოორდინაცია.

საბაჟო შემოსავლების რეტროსპექტული ანალიზი ავლენს დინამიკაში სხვადასხვა გადასახადების არაერთგვაროვან ტენდენციებს, რაც გადასახადების სპეციფიკურობისა და საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით განსხვავებულია. 2007-2015 წლებში შეინიშნება საბაჟო შემოსავლების სახით მობილიზებული თანხების არაერთგვაროვანი ტენდენცია. თუ 2007-2008 წლებში საკმაოდ მაღალი იყო საბაჟო შემოსავლების მოცულობა, 2009 წლიდან მისი სიდიდე იწყებს კლებას, მაგალითად, 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, დაფიქსირდა 10,5%-იანი კლება, ხოლო 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, კლების ტემპი იყო 12,8%, 2012 და 2013 წელს კვლავ კლების ტემპი დაფიქსირდა, შესაბამისად, 8,4%-სა და 7,2%-ს დონეზე. 2014 წლიდან იწყება საბაჟო შემოსავლების მკვეთრი მატება, მარტო 2013 წელთან შედარებით, 2017 წელს 56,1%-თ გაიზარდა საბაჟო შემოსავლების მოცულობა და 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, ზრდის ტემპმა 126,4% შეადგინა (იხ. დიაგრამა1).


საბაჟო შემოსავლების დინამიკა 2007-2015 წლებში (მლნ. ლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ცხადია, განსხვავებული იყო ცალკეული რეგიონული ცენტრების შემოსავლების წილის მაჩვენებლებიც საერთო შემოსავლების მოცულობაში. მაჩვენებლების რაოდენობრივი ზომით უპირობო ლიდერი, როგორც დიაგრამიდან 2-დან ჩანს, წლების განმავლობაში იყო თბილისის რეგიონული ცენტრი, რომლის წილი საერთო საბაჟო შემოსავლებში საკვლევ პერიოდში მერყეობდა 68%-დან 79,4%-ის დიაპაზონის ფარგლებში. დანარჩენ რეგიონული ცენტრებს შორის შედარებით მაღალი და მეტნაკლებად სტაბილური მაჩვენებლებით ხასიათდებოდა ბათუმის რეგიონული ცენტრი.

რეგიონული ცენტრების შემოსავლების წილი მთლიან საბაჟო შემოსავლებში




დიაგრამა აგებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

როგორია საბაჟო შემოსავლების დინამიკა ცალკეული გადასახადების მიხედვით? როგორც დიაგრამიდან ჩანს (იხ. დიაგრამა 2), საბაჟო გადასახადების დინამიკა განსხვავებულია და დიაგრამაზე გამოსახული ცალკეული გადასახადების მიხედვით პერიოდების შესაბამისად არაერთგვაროვანი ტენდენციები იკვეთება, განსხვავებულია ზრდისა და მატების ტემპები და, შესაბამისად, საბაჟო შემოსავლებშიც არათანაბრად იცვლებოდა თითოეულის პროცენტული წილის მაჩვენებლებიც.

დიაგრამა 3


საბაჟო გადასახადების სტრუქტურა
(2007-2016 წლები)



წყარო: დიაგრამა აგებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

მართალია, 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესაბამისად შემცირდა იმპორტზე გადახდილი აქციზიდან მიღებული შემოსავლები, მაგრამ, მთლიანობაში, ის მაინც აბსოლუტური ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა (იხ. დიაგრამა 4),

იმპორტზე გადახდილი აქციზის გადასახადის შემოსავლების დინამიკა (მლნ.ლარებში)



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.


2009 წელს, წინა წელთან შედარებით, 17%-იანი კლება 2010 წლის 20%-იანი მატებით შეიცვალა და უკვე 2013 წელს, 2009 წელთან შედარებით, მატების ტემპმა 57% და 2015 წელს კი 97% შეადგინა. ჯაჭვური მეთოდით გაანგარიშებული ზრდის ტემპების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმპორტზე გადახდილი აქციზიდან მიღებული შემოსავლების დინამიკაში მკვეთრად გამოხატული ზრდის ტენდენციები შეინიშნება. მაგალითად, 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, 29%-ით გაიზარდა აქციზიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა, 2009 წელს კი, წინა 2008 წელთან შედარებით, შემცირდა 17%-ით. 2010 წელს ისევ 20%-იანი მატების ტემპი დაფიქსირდა, 7,6%-იანი მატება შენარჩუნდა 2011 წელსაც, რომელიც შენარჩუნდა 2012 წელსაც, როდესაც, წინა წელთან შედარებით, აქციზიდან მიღებული შემოსავლები 6%-ით გაიზარდა. 2013 წელს მატების ტემპი გაიზარდა 14,6%-მდე, 2014 წელს 15,8%-იანი მატების ტემპი, ხოლო 2015 წელს 8,8% დაფიქსირდა. ყველაზე მეტად აქციზიდან მიღებული შემოსავლები გაიზარდა 2016 წელს, როდესაც შემოსავლების მატების ტემპმა, წინა წელთან შედარებით, 36,3% შეადგინა.

რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს, 2007-2016 წლებში ვლინდება მკვეთრად განსხვავებული ტენდენციები. კერძოდ, ჯერ გამოიკვეთა დღეს აბსოლუტური კლების ტენდენცია და შემდეგ ის ჩაანაცვლა აბსოლუტურად

მზარდმა ტენდენციამ. საქმე ისაა, რომ 2014 წლამდე დღგ-დან მიღებული შემოსავლები იყო მცირე, თანაც დინამიკაში – კლებადი. მართალია, 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, დღგ-ს მოცულობა გაიზარდა 2,7%-ით, მაგრამ 2009 წელს, 2008 წელთან შედარებით, 7,8%-ით შემცირდა. იგივე ტენდენცია შენარჩუნდა 2010 წელსაც და კლების ტემპმა 6,9% შეადგინა, შემდეგ უფრო გაიზარდა და 2011 წელს 22,4%-ის დონეზე დაფიქსირდა. ანალოგიური მდგომარეობა შენარჩუნდა 2012-2013 წლების მიხედვითაც, გაგრძელდა კლების ტენდენცია და მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 15,7% და 21,6% შეადგინა. საბაჟო შემოსავლების ზრდის მიმართულებით სრულიად ახალი ეტაპი იწყება 2014 წლიდან, როდესაც გაიზარდა სწორედ დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავლები. მარტო 2014 წელს გაორმაგდა დღგ-დან მიღებული შემოსავლების მოცულობა, ე.ი. დაფიქსირდა 100%-იანი მატების ტემპი. 2015 წელს 39,7%-ით გაუმჯობესდა აღნიშნული მაჩვენებელი. 2016 წელსაც, 2015 წელთან შედარებით, 43,9%-ით მეტი შემოსავალი იქნა მიღებული. მარტო 2014-2016 წლებში დღგ-დან მიღებული შემოსავლები საშუალოდ 12%-ით გაიზარდა (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 5

იმპორტზე გადახდილი დღგ-ის შემოსავლების დინამიკა 2007-2016 წლებში
(მლნ. ლარებში)




წყარო: დიაგრამა ავტულია ჩვენ მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

არაერთგვაროვანია 2007-2016 წლებში იმპორტის გადასახადიდან (ყოფილი საბაჟო გადასახადი) მიღებული შემოსავლების მოცულობის ზრდისა და მატების ტემპებიც. თუ 2007 წლიდან 2010 წლამდე სისტემატურდ მცირდებოდა იმპორტის

გადასახადის მოცულობა, როდესაც ჯაჭვური ზრდის ტემპები, შესაბამისად, შეადგენდა 96,6%-სა (კლება 3,4%) და 69,2% (კლება 30,8%), 2010 წელს იმპორტის გადასახადების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 96%-ით გაიზარდა და 70,382,894.5 ლარი შეადგინა. 2011 წელს 32,4%-ით კიდევ უფრო გაიზარდა მისი სიდიდე. 2012 წლიდან იწყება იმპორტის გადასახადების შემცირება. ამ წელს, წინა წელთან შედარებით, 3,4%, ხოლო 2013 წელს 0,8%-იანი კლება დაფიქსირდა. მართალია, 2014 წელს 6,2%-ით გაიზარდა იმპორტის გადასახადიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა, მაგრამ 2015 წელს წინა წელთან შედარებით 27%-ით ისევ შემცირდა 69,293,960.6 ლარი შეადგინა, რითიც, ფაქტობრივად, მიუახლოვდა 2010 წლის დონეს. მართალია, 2016 წელს 1,1%-იანი მატება დაფიქსირდა, მაგრამ იმპორტის გადასახადიდან მიღებული შემოსავლების დონემ 2010 წლის დონეს ვერ გადააჭარბა.

დიაგრამა 6

იმპორტის გადასახადის დინამიკა 2007-2016 წლები
(მლნ.ლარებში)




წყარო: დიაგრამა აგებულია ჰვენ მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

მართალია, 2016 წლიდან ფუნქციონირებს ახალი აღრიცხვის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ერთიან სახაზინო კოდს და გადასახადის სახეების მიხედვით გადასახადები აღირიცხება დარიცხული გადასახადების მიხედვით, ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება განვიხილოთ საბაჟო შემოსავლების რეგიონალური სტრუქტურა ახალციხის, ბათუმის, თბილისის, რუსთავის, ფოთის, თელავისა და ქუთაისის რეგიონული ცენტრების მიხედვით, რომლებიც ცალკეული

გადასახადების მიხედვით არსებულ ტენდენციებს ავლენენ მხოლოდ 2015 წლამდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ახალციხის რეგიონული ცენტრის საბაჟო შემოსავლების რაოდენობრივი მონაცემების ცვლილება უკანასკნელი წლების მიხედვით (იხ. დიაგრამა 6). მართალია, შემოსავლების წილის ცვლილება დიფერენცირებულია წლების მიხედვით, იგი ხშირად, 0,3-0,4%-ის ფარგლებში მერყეობს.

დიაგრამა 7

შემოსავლები ახალციხის რეგიონული ცენტრის მიხედვით (მლნ.ლარებში)




წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ რეგიონული ცენტრისათვის 2013 წელს დაფიქსირდა და 9 923 798.5 ლარს გაუტოლდა, რომელიც 43.2%-ით შემცირდა 2014 წლისთვის, რა დროსაც საბაჟო შემოსავლებმა 5 632 983.2 ლარი შეადგინა. 2015 წელს შემოსავლების მოცულობა, ახალციხის რეგიონული ცენტრის მიხედვით, გაუმჯობესდა, 24%-ით გაიზარდა და, საბოლოოდ, 6 988 903,5 ლარი შეადგინა.

თითქმის იგივე ტენდენციები გამოიკვეთა ცალკეული ტიპის გადასახადების დინამიკაში ახალციხის რეგიონული ცენტრის მიხედვით, რაც დასტურდება დიაგრამით №8.

საბაჟო შემოსავლების დინამიკა ახალციხის რეგიონული ცენტრის მიხედვით
(მლნ. ლარებში)



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, ძირითადი წილი საბაჟო შემოსავლებში, როგორც მოსალოდნელი იყო, უკავია დამატებული ღირებულების გადასახადს, რომლის ყველაზე დიდი მოცულობა, 7,6 მლნ.ლარი, 2013 წელს დაფიქსირდა. მისი წილი ახალციხის რეგიონული ცენტრის საერთო საბაჟო შემოსავლებში 2015 წელს 74%-ს გაუტოლდა და მთლიანი საბაჟო შემოსავლების მხოლოდ 0,2% შეადგინა. ამასთან, შედარებით უმნიშვნელოა აქციზისა და იმპორტის გადასახადის წილების პროცენტული მნიშვნელობები, რომლებმაც ახალციხის რეგიონული ცენტრის შემოსავლების, შესაბამისად, 11% და 8% შეადგინა.


საერთო საბაჟო შემოსავლებში საკმაოდ მაღალი წილით ხასიათდება ბათუმის რეგიონული ცენტრი. 2015 წლის მონაცემებით, მისი წილი 12,1%-ს შეადგენს, რაც 2011 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 2010 წელს დაფიქსირდა ამ რეგიონისათვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 13,9%, რაც აბსოლუტურ გამოსახულებაში 223 936 189.2 ლარს გაუტოლდა.

როგორც დიაგრამა №9-დან ჩანს, 2012 წლის შემდეგ შემოსავლები, ბათუმის რეგიონული ცენტრის მიხედვით, აბსოლუტური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მარტო 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, შემოსავლები 91%-ით, 2014 წელს,

წინა წელთან შედარებით, 100%-ით, ხოლო 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, 27,3%-ით გაიზარდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2007-2010 წლების ბათუმის რეგიონული ცენტრის მიხედვით, შემოსავლები რაოდენობრივად გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე 2012 წლის შემდეგ და 2010 წელს საკვლევი პერიოდში თავისი მნიშვნელობის მაქსიმუმს მიაღწია, მაგრამ საყურადღებოა, რომ მიუხედავად მონაცემების მაღალი ნიშნულისა, 2010 წლამდე შემოსავლები კლების ტენდენციით ხასიათდებოდა.

დიაგრამა 9


საბაჟო შემოსავლების დინამიკა ბათუმის რეგიონული ცენტრის მიხედვით
(მლნ.ლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

საგრძობია ბათუმის რეგიონული ცენტრის წილი საბაჟო შემოსავლებში, რომელიც 2012 წლის 4,5%-იდან 2015 წელს 12,1%-მდე გაიზარდა. თუმცა, ამით მხოლოდ 2008 წლის დონეს გაუსწორდა. ყველაზე მაღალი წილი ბათუმის რეგიონულ ცენტრს 2010 წელს დაუფიქსირდა 13,2%-ის დონეზე.


საბაჟო შემოსავლების დინამიკა ბათუმის რეგიონული ცენტრის მიხედვით (მლნ.ლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

იგივე ტენდენციები გამოიკვეთა ცალკეული ტიპის გადასახადების დინამიკაში ბათუმის რეგიონული ცენტრის მიხედვით. ყველაზე დიდია დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა, რომელიც 2015 წელს 24%-ითაა გაზრდილი, 2014 წელთან შედარებით, ხოლო 2012 წელთან შედარებით 122%--ით. განსაკუთრებით გაიზარდა აქციზის გადასახადიდან მიღებული შემოსავლები 2014-2015 წლებში, როდესაც, 2013 წელთან შედარებით, ეს შემოსავლები, შესაბამისად, 2,5-ჯერ და 5-ჯერ გაიზარდა.

საბაჟო შემოსავლები ბათუმის რეგიონული ცენტრის მიხედვით (მლნ.ლარი)




წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

თბილისის რეგიონული ცენტრი, ბუნებრივია, უპირობო ლიდერია, როგორც საბაჟო შემოსავლების მოცულობის, ისე საბაჟო შემოსავლების საერთო ჯამში თავისი წილის მიხედვითაც. თბილისის რეგიონული ცენტრს შემოსავლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 1770 მლნ ლარი – 2015 წელს დაფიქსირდა და მისი წილი საბაჟო შემოსავლებში 74,8%-ს გაუტოლდა. თუმცა ყველაზე მაღალი პროცენტული წილის მაჩვენებელი 2012 წელს იყო, როდესაც 1 292 052 616,7 ლარის მქონე საერთო საბაჟო შემოსავლების 79,4% თბილისის რეგიონულ ცენტრზე მოდიოდა. ამ პერიოდში (2015 წელს, 2012 წელთან შედარებით), მართალია, 4,8 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული წილის მაჩვენებელი, მაგრამ შემოსავლების აბსოლუტური მაჩვენებელი 72,5%-ითაა გაზრდილი.

დიაგრამა 11


საბაჟო შემოსავლების დინამიკა თბილისის რეგიონული ცენტრის მიხედვით (მლნ.ლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ისევე, როგორც სხვა რაიონული ცენტრების შემთხვევაში, აქაც უკანასკნელი წლების მიხედვით საკმაოდ მაღალია დღგ-დან მღებული შემოსავლების მატების ტემპები, რომლებმაც 2015 წელს 44,8%, ხოლო 2014 წელს 108,5% შეადგინა (იხ.დიაგრამა 11); იზრდება აქციზიდან მიღებული შემოსავლებიც, შესაბამისად, 2015 წელს 14,0%-იანი, 2014 წელს 14,5%-იანი მატების ტემპით და 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, თვალსაჩინოა 31,7%-ით იმპორტის გადასახადების შემცირება.

თბილისის რეგიონული ცენტრის საბაჟო შემოსავლების დინამიკა
გადასახადის სახეების მიხედვით (მლნ. ლარი)




წყარო: დიაგრამა აგებულია ჰენ მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ცხადია, მაღალია თბილისის რეგიონული ცენტრის წილის მჩვენებელი საბაჟო შემოსავლებში. მისი პროცენტული წილი 2010 წლის 65,1%-დან 2015 წელს 74,8%-მდე გაიზარდა (იხ. დანართი 2).

2015 წლისათვის შემცირებულია თელავის რეგიონული ცენტრის შემოსავლების სიდიდე და, შესაბამისად – მისი წილის საერთო საბაჟო შემოსავლებშიც. 2012 წელს შემოსავლები 7,3%-ით შემცირდა, 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, 36%-იანი მატება დაფიქსირდა, 2014 წელს, მართალია, მცირედ (0,1%-ით), მაგრამ მაინც შემცირდა, 2015 წელს კი უფრო მეტად – 19,3%-ით. ბოლო მონაცემებით თელავის რეგიონული ცენტრის შემოსავლების წილი საერთო საბაჟო შემოსავლებში 0,10%-მდე დაეცა.


თელავის რეგიონული ცენტრის საბაჟო შემოსავლების დინამიკა
(მლნ. ლარებში)



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

თელავის რეგიონული ცენტრის საბაჟო შემოსავლების დინამიკა იმის დასტურია, რომ ამ ცენტრის შემოსავლებში ყველაზე მაღალი წილით აქციზიდან მიღებული შემოსავლები გამოირჩევა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 2015 წელს იმპორტზე გადახდილი აქციზის გადასახადი მთლიანი საბაჟო გადასახადების 79,2% შეადგინა, 7,4%-ი იმპორტზე გადახდილი დღგ-ზე მოდის და ხოლო დარჩენილი წილი, 13,4%, იმპორტის გადასახადს შეადგენს. 2013 და 2014 წელს აქციზის მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო, შესაბამისად, 74,4% და 78,5% (იხ.დიაგრამა 14).

თელავის რეგიონული ცენტრის საბაჟო შემოსავლების დინამიკა გადასახადების მიხედვით (მლნ.ლარი)




წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

რუსთავის რეგიონული ცენტრის მონაცემებით უკანასკნელი ორი წლის მიხედვით შემცირებულია რუსთავის რეგიონული ცენტრის შემოსავლების წილი საბაჟო შემოსავლების საერთო მოცულობაში.

მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბაჟო შემოსავლები 9%-ითაა გაზრდილი, მისი წილი საერთო შემოსავლებში 2015 წელს, 2013 წელთან შედარებით, 4,3 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული. 2014 წელთან შედარებითაც, 2015 წელს კლების ტემპები ფიქსირდება შემოსავლების მიხედვით 5,9%-იანი, ხოლო წილის მიხედვით 1,8%-ული პუნქტით (იხ. დანართი 2).

დიაგრამა 15


რუსთავის რეგიონულიცენტრის შემოსავლების დინამიკა (მლნ. ლარებში)



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

2012 წლიდან ფოთის რეგიონული ცენტრის შემოსავლები დინამიკა პოზიტიურია, მართალია, მცირედ, მაგრამ მაინც ფიქსირდება მატების ტემპები. თუ 2013 წელს მატება 38,1% იყო, 2014 წელს – 26,6%, ხოლო 2015 წელს 0,7% დაფიქსირდა. უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წელს 16,1%-იანი კლება დაფიქსირდა, 2008 წელთან შედარებით. ფოთის რეგიონული ცენტრის შემთხვევაში 2010 წელი იყო გამორჩეული, როდესაც ცენტრის შემოსავლებმა, რაოდენობრივად თავის მაქსიმუმს 203 977 788.4 ლარს მიაღწია, საერთო საბაჟო შემოსავლებში 12,6%-იანი წილით, 2015 წლის მიხედვით ფოთის რეგიონული ცენტრის წილი 12,1%-ია (იხ. დიაგრამა 2).


ფოთის რეგიონული ცენტრის შემოსავლების დინამიკა 2007-2015 წლები
(მლნ. ლარებში)



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ყველა ზემოთ განხილული ცენტრის ანალოგიურად, ქუთაისის რეგიონული ცენტრის მონაცემები შინაარსობრივად იმავე ტენდენციების გამოვლენისა და, შესაბამისად, იმავე დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ფაქტია, რომ აქაც მცირდება რეგიონული ცენტრის წილის მაჩვენებელი საბაჟო შემოსავლების საერთო მოცულობაში, რომელიც 2010 წლის 3,2 %-დან 2015 წელს 1,5%-მდე დაეცა და, როგორც ყველა დანარჩენი რეგიონული ცენტრების მიხედვით, ამ ცენტრის შემოსავლებშიც ჭარბობს დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავლები. მაგრამ ეს ტენდენცია გამოკვეთა 2010 წლიდან, მანამდე ძირითადი შემოსავალი აქციზიდან მიღებული შემოსავალი იყო. ქუთაისის რეგიონული ცენტრის შემოსავლები 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, 8,8 %-ით გაიზარდა, თუმცა, 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, 1,2%-ით შემცირდა. 2011-2012 წლებში, შესაბამისად, 35% და 30 %-იანი კლების ტემპები დაფიქსირდა.

ქუთაისის რეგიონული ცენტრის შემოსავლების დინამიკა 2007-2015 წლები
(მლნ.ლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო შემოსავლების დინამიკა დამოკიდებულია სასაქონლო ოპერაციებსა და იმ ტვირთების ნაკადებზე, რომლებიც ექვემდებარებოდა დაბეგვრას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საგადასახადო კანონმდებლობის დიდ დარღვევად არ ითვლებოდა ცენტრალური ბიუჯეტის გადასახადების გადახდა სხვა საბაჟოს სახაზინო კოდზე. მაგალითად, თუ სასაქონლო დეკლარაცია გაფორმდა ფოთის გამშვებ პუნქტზე, გადამხდელს შეეძლო გადასახადი გადაეხადა თბილისის საბაჟოს სახაზინო კოდზე. 2016 წლიდან შემოსავლების აღრიცხვის ახალი სისტემა დაინერგა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ. ახალი აღრიცხვის სისტემა ითვალისწინებს ერთიან სახაზინო კოდს და გადამხდელი მხოლოდ ერთ სახაზინო კოდზე იხდის გადასახადს (ახალი სახაზინო კოდი 101001000). გადასახადის სახეების მიხედვით გადასახადების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხული გადასახადების მიხედვით.

აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ გადასახადის გადამხდელს კანონით აქვს მინიჭებული უფლება, გამოიყენოს ზედმეტად გადახდილი გადასახადები ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ან მომავალი გადასახადების გადახდის ჩათვლის გზით. სწორედ ეს წარმოადგენს ხშირ შემთხვევაში იმის წინაპირობას, რომ დარიცხული გადასახადები შეიძლება არ შემცირდეს, მაგრამ გადახდილი თანხების მოცულობა იყოს ნაკლები. ასევე მნიშვნელოვანი

აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გადასახადის განაკვეთის ცვლილება (გაზრდა ან შემცირება რომელიმე კონკრეტულ საქონელზე) იწვევს შემოსავლების ცვლილებას.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის შეუსაბამობები რომელიც, შესაძლოა, ერთი შეხედვით, ჩანდეს დარიცხული თანხების, ექსპორტ/იმპორტის მოცულობის ზრდის ან კლების, და გადახდილი თანხების მოცულობების შემთხვევაში, სრულიად შესაბამისია ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით.

საბაჟო სტატისტიკა, როგორც სტატისტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, შეისწავლის არა მარტო საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენების რაოდენობრივ მხარეს, არამედ საბაჟო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო გადასახადების აღრიცხვასა და ანალიზთან, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლასა და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევასთან. მაშასადამე საბაჟო სტატისტიკა აერთიანებს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკასა და სპეციალურ საბაჟო სტატისტიკას. თუ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა შეისწავლის ექსპორტის, იმპორტის და საგარეო სავაჭრო ბრუნვის სტატისტიკას, სპეციალური საბაჟო სტატისტიკა მოიცავს დეკლარირების სტატისტიკას, საბაჟო გადასახადების სტატისტიკას, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებს, კონტრაბანდის, კონფისკაციის, საერთაშორისო გადაზიდვების, საერთაშორისო საფოსტო გზავნილების სტატისტიკასა და სხვ.

ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, საბაჟო დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან მიახლოებისა და საბაჟო საქმიანობის სრულყოფის მიმართულებით. კერძოდ, ამოქმედდა უფლებამოსილი ექსპორტიორის ინსტიტუტი, რომლის თანახმადაც, საქართველოში რეგისტრირებულ ექსპორტიორებს შესაძლებლობა ეძლევათ, უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მინიჭების შემდეგ ევროკავშირის 28 ქვეყანაში (ასევე თურქეთში) პრეფერენციული წარმოშობის საქონლის ექსპორტზე წარმოშობის სერტიფიკატის EUR.1-ის აღების ნაცვლად, თვითონ შეადგინონ „წარმოშობის დეკლარაცია“ კომერციულ დოკუმენტზე და ისარგებლონ საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული პრეფერენციული რეჟიმით ქართული წარმოშობის საქონელზე.

ამასთან, განხორციელდა საქონლის გაფორმების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ღონისძიებები, კერძოდ, დასავლეთ საქართველოდან გასატანი საფოსტო გზავნილების გაფორმება შესაძლებელი გახდა ამავე რეგიონში – გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „ბათუმი“;

საქონლის წინასწარ დეკლარირება იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში და საქონლის დეკლარირება ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მომსახურების დეპარტამენტის ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს სერვისცენტრის გარდა, შესაძლებელი გახდა გლდანი-ნაძალადევისა და ქ. ზუგდიდის სერვისცენტრებში. ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში აუცილებელი გახდა ევროპულ საბაჟო კოდექსთან მიახლოება, ამის ბაზაზე კი საერთო ტრანზიტის კონვენციასთან მიერთება და ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტის იმპლემენტაცია.

ამასთან, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში ფორმდება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული შემდეგი საქონელი: მაღფუჭებადი საქონელი, ცხოველები, მასობრივი ინფორმაციის შემცველი საქონელი, სტიქიური უბედურებების, ავარიებისა და კატასტროფების დროს საჭირო საქონელი, წინასწარ დეკლარირებული საქონელი. 30 კალენდარული დღის ნაცვლად 45-მდე გაიზარდა საქონლის წინასწარი დეკლარირებისთვის განსაზღვრული ვადა, გაიზარდა გადასახდელების გადახდის საშელავათო პერიოდიც (არაუგვიანეს 45 დღისა) და გამარტივდა „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობები. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენიდან სტატუსის მისაღებად 12 თვის ნაცვლად გასული უნდა იყოს 6 თვე. „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის გაუქმების შემდეგ მისი ხელახალი მინიჭების შესახებ პირის განცხადების წარდგენის ვადა 6 თვიდან შემცირდა 3 თვემდე. განხორციელდა ჯარიმების ლიბერალიზაცია და ოპტიმიზაცია. კერძოდ, ჯარიმის თანხები 5 000 და 10 000 ლარიდან შემცირდა 500 და 1 000 ლარამდე. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ჯარიმა 5 000 და 10 000 ლარის ოდენობით უფრო გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებამ გამოიწვია ნიშანდებული საქონლის განკარგვა/განადგურება. გადასახადის გადამხდელებისთვის, პროცედურების გამარტივების მიზნით, დანერგილია ელექტრონული სერვისები და პროგრამული მოდულები.

საბაჟო დეპარტამენტი ფლობს საზღვაო ტრანსპორტით გადაადგილებული ტვირთებისა და საჰაერო გზით გადაადგილებული მგზავრების შესახებ წინასწარ ინფორმაციას. ის აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული საბაჟო რისკების მართვის სპეციალური სისტემის დანერგვაში. CTS, როგორც პროგრამული უზრუნველყოფა, არის ტვირთების შერჩევის სისტემა,

რომელიც საზღვაო ტრანსპორტით გადაადგილებული ტვირთების შესახებ წინასწარი ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების საშუალებას იძლევა.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მგზავრების შესახებ წინასწარი ინფორმაციის (Advance Passenger Information – API) და მგზავრის პირადი მონაცემების ჩანაწერის (Passenger Name Record – PNR) სისტემების დანერგვის მიმართულებითაც, რაც შესაძლებელს გახდის, საჰაერო გზით გადაადგილებული მგზავრების შესახებ წინასწარი ინფორმაციის ელექტრონულად მიღებას და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად აამაღლებს საბაჟო რისკების მართვის ეფექტურობას.

მაღალია კინოლოგიური მომსახურების ხარისხიც. 2016 წელს სამსახურებრივი ძალების რაოდენობა 22-დან გაიზარდა 27-მდე და, შესაბამისად, სამსახურებრივი ძალების მომსახურებით უზრუნველყოფილია 15 საბაჟო გამშვები პუნქტი და გაფორმების ეკონომიკური ზონა.

ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან მაქსიმალური მიახლოების უზრუნველსაყოფად

➤ იზრდება გადასახადის შემცირებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის დადგენილი თანხის ოდენობა 50 000 ლარიდან 100 000 ლარამდე;

➤ უქმდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქმედებებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით საგადასახადო სამართალდარღვევას წარმოადგენს;

➤ სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შექენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარი;

➤ სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების ნიშნის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა;

➤ დღგ-სგან თავისუფლდება საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის და საავიაციო სამუშაოების მომსახურების გაწევა;

➤ დღგ-სგან და აქციზისგან თავისუფლდება შიდა საავიაციო რეისებისა და სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საწვავის იმპორტი და მიწოდება;

➤ აქციზისგან თავისუფლდება მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით ყურძნის ღვინის დისტრილაციით მიღებული სპირტის წარმოება;

➤ 2 წლით იზრდება დაუსრულებელი მშენებლობებისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათის გამოყენების ვადა. მშენებლობის დასრულების საბოლოო ვადად განისაზღვრება 2019 წლის 31 დეკემბერი;

➤ იზრდება საგადასახადო დავალიანების თანხის ზღვარი 5000-დან 50 000 ლარამდე, რომლის გადახდის 1 წლის ვადით გადავადებაც (გრაფიკის გაკეთება) შესაძლებელი იქნება საგადასახადო ორგანოში უზრუნველყოფის წარდგენის გარეშე;

➤ საშემოსავლო გადასახადით არ დაიბეგრება მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი ფიზიკური პირის მიერ წარმოებული ჭარბი ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტისათვის მიწოდებით მიღებული შემოსავალი;

➤ საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საკუთრების აღიარების შედეგად წარმოშობილი სარგებელი;

➤ უქმდება საწარმოებისათვის გადახდილი პროცენტის გადახდის წყაროსთან დაკავების ვალდებულება;

➤ საწარმოს მიერ მიღებული მოგება, რომლითაც გაიზრდება დამფუძნებლის მიერ ამავე საწარმოს კაპიტალი, არ ჩაითვლება მოგების განაწილებად და არ დაიბეგრება მოგების გადასახადით;

➤ მოგების გადასახადით დაბეგვრას დაექვემდებარება მხოლოდ პარტნიორი ფიზიკური და პარტნიორი არარეზიდენტი პირის მიერ აღებული სესხის უზრუნველყოფა;

➤ ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იცვლება აქციზის გადასახადის სტრუქტურა ალკოჰოლიან სასმელებზე;

➤ სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულ მეწარმეებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩამოწერონ განადგურებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები – ჩამოწერისთვის განისაზღვრება სპეციალური წესი; სრულყოფილი ხდება საბაჟო პროცედურები და მსუბუქდება სანქციები; ზუსტდება არაერთი ნორმა, რომელიც ორაზროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

3.2. საქართველოს საგაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური ანალიზი

დღეს, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფონზე, ღრმა და ყოვლისმომცველი საგაჭრო სივრცის პირობებში საქართველოსათვის აქტუალურია რამდენიმე საკითხი:

➤ საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის საგაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება;

➤ ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი საგაჭრო ურთიერთობების, ასევე, პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება;

➤ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის განვითარება და, შესაბამისად, ამ შეთანხმების გამოყენება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირების და საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის;

➤ ექსპორტის ხელშეწყობისა და გაზრდის საფუძველზე საქართველოს უარყოფითი საგაჭრო ბალანსის გაუმჯობესება;

➤ საქართველოს საგარეო ვაჭრობის შედეგებისა და საგაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების რეგულარული ანალიზი,

➤ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების განხორციელება სამთავრობო უწყებათა შორის და შესაბამის ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის კოორდინაციის ფონზე.

საქართველო სარგებლობს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით, რაც გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა. ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებულია შემდეგ ქვეყნებთან: აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, თურქეთი. ამასთან, რუსეთის ფედერაციასა და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს გარკვეულ გამონაკლისებს პროდუქციის მხრივ.

როგორია საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლების სტატისტიკა დინამიკაში?

შესაბამისი ინფორმაციული ბაზის საფუძველზე, გაგანალიზეთ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2017 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 1423 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 18%-ით მეტია; აქედან ექსპორტი 356 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (27%-ით მეტი), ხოლო იმპორტი 1067 მლნ. აშშ დოლარს (15%-ით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2017 წლის იანვარ-თებერვალში 712 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 50 % შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 289 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28%-ით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. თუ გავანალიზებთ საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებს დინამიკაში, დავინახავთ, რომ სურათი განსხვავებულია და, პერიოდების შესაბამისად, არაერთგვაროვანი ტენდენციები იკვეთება; განსხვავებულია საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ზრდისა და მატების ტემპები და, შესაბამისად, არათანაბრად იცვლებოდა თითოეულის პროცენტული წილის მაჩვენებლებიც.

მართალია, 2017 წლის დასაწყისში მაჩვენებლებმა პოზიტიური მოლოდინები გააჩინა საგარეო ვაჭრობის გაზრდის მიმართულებით, მაგრამ, წინასწარი მონაცემებით, 2016 წლის სტატისტიკა არასახარბიელოა, საკმარისია აღინიშნოს, რომ 2016 წელს, მართალია, არათანაბრად, მაგრამ შემცირდა საგარეო ვაჭრობის თითქმის ყველა ძირითადი მაჩვენებლის რაოდენობრივი ზომა, მაგალითად, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა – 1,1%-ით, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი – 4,2%-ით, საქონლის რეგისტრირებული იმპორტი – 0,1%-ით, 1,7%-ით გაიზარდა საგარეო ვაჭრობის სალდო (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 4

საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა (მლნ. აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016*	2016 წ. 2015 წ. შედარებით %	2016წ/2012 წ. შედარებით %	2016წ/2010 წ. შედარებით%
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6444	7797	5609	6913	9259	10433	10933	11463	9497	9400	-1,1	-10,0	+36
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი	1232	1495	1134	1677	2186	2377	2911	2861	2205	2113	-4,2	-11,0	+26


(FOB)													
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	5212	6302	4476	5236	7072	8056	8023	8602	7292	7287	-0,1	-10,0	+39
საგარეო ვაჭრობის სადღო	-3980	-4806	-3342	-3559	-4886	-5680	-5112	-5741	-5088	-5175	+1,7	-8,9	+45
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	1113	1,1\$-ით,1326	990	1380	1693	1606	1812	1873	1637	1657	+1,2	+3,2	+20

წყარო: ცხრილი შედგენილის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

უფრო დეტალურად განვიხილოთ საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები. 2016 წლის წინასწარი მონაცემებს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 9400 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, აქედან ექსპორტი 2113 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი 7287 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

დიაგრამა 18

საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (მლნ. აშშ დოლარს)



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წელს 5175 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 55% შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 1657 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1%-ით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

2015 წლის მონაცემების მიხედვით კი, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9931.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის, 2014 წლის,

მაჩვენებელზე 13,3%-ით ნაკლები იყო. ამავე პერიოდში ექსპორტი შემცირდა 23,0-ით და 2203,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი შემცირდა 10,1-ით და 7728,0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა შეადგინა -5524,4 მლნ აშშ დოლარი, რაც სავაჭრო ბრუნვის 55,6% იყო. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, ის შემცირებულია 3,6%-ით, ხოლო 2016 წელთან შედარებით, მეტია 6%-ით.


ანალოგიური სურათი იკვეთება 2013-2015 წლებშიც, როდესაც საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 13%-ით, ხოლო ექსპორტი 23%-ით და იმპორტი 9%-ით შემცირდა, თუმცა, 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, იმპორტის 7,2%-ის გაზრდის გამო, საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში 4,8%-ანი მატების ტემპი დაფიქსირდა ექსპორტის 1,8%-ით შემცირების პირობებში. ექსპორტის ზრდის შედეგად საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ყველაზე მაღალი დონე 2013 წელს დაფიქსირდა. თუ შევადარებთ ბოლო პერიოდის მაჩვენებლების მატებისა და კლების ტემპებს, დავინახავთ, რომ 2012 წელთან შედარებით, საგარეო ვაჭრობის ძირითად მაჩვენებლებისათვის კლების ტემპების გამოხატული, კერძოდ, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა შემცირდა 10%-ით, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი 11%-ით, ხოლო რეგისტრირებული იმპორტი 10%-ით, 2010 წელთან შედარებით, ყველა მიმართულებით მატების ტემპებმა, შესაბამისად, 36%, 26%, 39% შედგინა.

აღნიშნულ პერიოდში ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის შემცირება გამოიწვია, როგორც შიგა, ისე გარე ფაქტორებმა. ერთ-ერთი ასეთი გარე ფაქტორი იყო რუსეთთან ჯერ გართულებული ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები, შემდგომ კი 2008 წელის აგვისტოს ომი და გლობალური მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებები და ა. შ. რომლებმაც გამოიწვია ექსპორტზე მოთხოვნის შემცირება. ექსპორტის შემცირების მაღალი მაჩვენებელი განაპირობა საქართველოს ექსპორტის სტრუქტურამაც. კერძოდ, მსოფლიოში მიმდინარე სავალუტო რყევებისა და მისგან გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად, მოთხოვნა განსაკუთრებით შემცირდა არაპირველადი მოთხოვნის სასაქონლო პოზიციებზე. აღნიშნულს ადასტურებს საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკატორი სექციების მიხედვით საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური მონაცემები. ექსპორტის შემცირების შიდა ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი მაინც წარმოების მოცულობის არასაკმარისი ზრდის ტემპია. ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საკვლევ პერიოდში, 2007-2016 წლებში, 2013 წელს დაფიქსირდა, როცა

მისი მოცულობა 2911 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, რომელიც 2016 წელს 2113 მილიონ აშშ დოლარამდე დაეცა.

დიაგრამა 19

საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB) (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა აკრებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე


თუმცა, 2007 წლიდან ექსპორტი სიტუმატურ ზრდის ტენდენციას განიცდიდა 2014 წლამდე. მაგალითად, 2007 წელს ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 1232 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 41,8 %-ით მეტია, ასევე ზრდის ტემპი დაფიქსირდა 2008 წელს, როდესაც მისმა სიდიდემ 1495 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა მაჩვენებელზე 21,3%-ით მეტი აღმოჩნდა. -24,1 %-იანი კლება დაფიქსირდა 2009 წელს – 1134 მლნ.აშშ დოლარის მოცულობით. ბოლო სამწლიანი პერიოდი ნეგატიურია, რადგან ყველა წელს ფიქსირდება ექსპორტის კლების ტემპები.

თითქმის მსგავსი სურათი გამოიკვეთა იმპორტის დინამიკის ანალიზისას. კერძოდ, 2007-2012 წლამდე იმპორტის ტენდენციები მზარდია. აგვისტოს მოვლენების გამო, ცხადია, გამოკაკლისი გახდა 2009 წელი. თუ 2007 წელს, გასული წლის მონაცემებთან შედარებით, მატების ტემპმა შეადგინა 41,8%, 2008 წელს ის კიდევ უფრო გაუმჯობესდა და, წინა წლის დონესთან მიმართებით, 20,9%-ით გაიზარდა. 2009 წელს, ბუნებრივია, იმპორტის 29%-იანი კლება დაფიქსირდა, მაგრამ კლება მალევე შეიცვალა ზრდის ტენდენციით და 2010 წელს 17%, 2011 წელს 35,1%, 2012 წელს კი 13,9%-იანი მატების ტემპები გამოიკვეთა. 2013 წელსაც შენარჩუნდა მიღწეული დონე, მაგრამ, სამწუხაროდ, 2015-2016-წლიანი პერიოდი მხოლოდ, შესაბამისად, 15% და 0,1% კლების ტემპებით ხასიათდება. ამ

ბოლო ათი წლის განმავლობაში იმპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2014 წელს და შეადგინა 8602 მლნ. აშშ დოლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 7,2%-ით მაღალია.

დიაგრამა 20

საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF) (მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ექსპორტის გეოგრაფიული სტრუქტურის ანალიზით ვლინდება, რომ ისევ შენარჩუნებულია უანასკნელი პერიოდის ტენდენცია: ექსპორტში უპირობოდ იკავებთა დსთ-ის ქვეყნებთან საექსპორტო ურთიერთობების მაღალი მაჩვენებლები, გაზრდილია ექსპორტი ევროავშირის ქვეყნებთანაც.

დიაგრამა 21

საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (%)




წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

თუმცა, 2016 წლის წინასწარი მონაცემებით, წინა წელთან შედარებით ექსპორტის სიდიდე როგორც დსთ-ის, ისე ევროკავშირის ქვეყნებთან, თურქეთთანაც, მართალია, მცირედ, მაგრამ მაინც, შესაბამისად, 8,4%, 7,9% და 3,6%-თაა შემცირებული.

რაც შეეხება საიმპორტო ქვეყნების გეოგრაფიულ სტრუქტურას, აქ იკვეთება დსთ-ისა და ევროკავშირის ქვეყნები. საერთოდ, იმპორტისათვის მახასიათებელი ტენდენციები სრულადაა დაცული ცალკეული ქვეყნების ჯგუფების მიხედვითაც. 2014 წლამდე იზრდება იმპორტის მაჩვენებელი და მაღალია უპირატესად გამოკვეთილი ქვეყნების ჯგუფების მაჩვენებლებიც. ცალკე უნდა გამოიყოს იმპორტი თურქეთთან, რადგან, როგორც ქვემოთ მოტანილი 21-ე დიაგრამიდან ჩანს, თვალშისაცემია თურქეთიდან იმპორტის მაღალი მაჩვენებლები. საკმარისია აღინიშნოს, რომ 2014 წლამდე მაღალი ტემპებით იზრდებოდა იმპორტის მოცულობა, თავის მაქსიმუმს მან სწორედ 2014 წელს მიაღწია და შეადგინა 2373,5 მლნ აშშ დოლარი. იმპორტში არსებული ზოგადი ტენდენციების შესაბამისად, 2015-2016 წლებში, როგორც ყველა ჯგუფის მიხედვით, ისე თურქეთთანაც იკლო იმპორტის მოცულობამ. მართალია, 2016 წელს 1352,6 მლნ აშშ დოლარის იმპორტი განხორციელდა თურქეთიდან საქართველოში, რაც წინა წლის მონაცემს 2%-ით აღემატება, მაგრამ, 2014 წელთან შედარებით, ის შემცირებულია 22%-ით.

დიაგრამა 22

საქონლის იმპორტი ქვეყნების მიხედვით
(საქონლის ღირებულების მიხედვით, მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ძალზედ საინტრესოა სუამის ქვეყნებში (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) საგარეო ვაჭრობის განხილვა. აღნიშნულ ჯგუფში საქართველოდან ექსპორტის საკმაოდ მაღალი წილი ფიქსირდება და 2012 წელს ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (33,9 პროცენტი) დაფიქსირდა ბოლო 16 წლის განმავლობაში.

ცხრილი 5

საქართველოს ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (მლნ.აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016*
ევროკავშირის ქვეყნები	268.5	335.2	237.6	309.2	424.4	353.0	607.4	624.2	645.2	571.0
დსთ-ს ქვეყნები	461.9	540.9	416.2	676.6	1,052.1	1,244.6	1,621.3	1,465.3	840.9	737.6
შავი ზღვის ეკ. თანამშრომლობის ორგანიზ. ქვეყნები	634.4	884.0	697.2	898.1	1,182.8	1,326.4	1,778.3	1,676.8	1,089.2	974.0
ეკ. თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზ. ქვეყნები	598.6	749.6	519.6	742.7	814.8	796.1	841.7	943.5	769.2	736.0
სუამის ქვეყნები	232.5	338.7	251.2	374.3	577.2	805.4	917.1	689.1	307.4	227.9

წყარო: ცხრილი შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

როგორც ჩანს, 2012 წელს აღნიშნულ 3 ქვეყანაში იყო კონცენტრირებული საქართველოს ექსპორტის მესამედი ნაწილი. დღესდღეობით კი, 2016 წლის მონაცემებით, სუამის ქვეყნებზე მოდის საქართველოს მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 10,8%, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 3,1 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული. რაც შეეხება იმპორტს, 2016 წელს სუამის ქვეყნებში განხორციელებული იმპორტის წილი მთლიან იმპორტში 2015 წლის დონეზე შენარჩუნდა და 13%-ს გაუტოლდა.

ცხრილი 6

საქართველოს იმპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (მლნ.აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016*
ევროკავშირის ქვეყნები	1,538.9	1,756.4	1,330.1	1,466.6	2,050.8	2,428.7	2,266.3	2,372.0	2,080.8	2,213.6
დსთ-ის ქვეყნები	1,849.4	1,998.0	1,286.5	1,576.3	1,949.5	2,060.1	2,177.6	2,127.5	1,968.2	1,979.7


შავი ზღვის ეკ. თანამშ. ორგანიზ. ქვეყნები	2,653.2	2,981.5	2,275.0	2,609.0	3,566.6	3,902.1	4,025.6	4,356.9	3,580.0	3,578.6
ეკ. თანამშრ. და განვითარების ორგანიზ. ქვეყნები	2,322.8	3,027.2	2,227.5	2,532.7	3,422.6	4,042.6	3,887.4	4,344.5	3,598.9	3,740.9
სუამ-ის ქვეყნები	961.1	1,269.4	825.4	1,040.8	1,334.3	1,300.6	1,269.9	1,200.4	1,004.6	920.7

წყარო: ცხრილი შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

როგორც კონტინენტებისა და ქვეყანათა ჯგუფების ანალიზიდან გამომდინარე, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითად ბირთვს წარმოადგენს ტერიტორიულად ახლომყოფი ქვეყნები. აქედან გამომდინარე, საქართველოს საგარეო საქონელბრუნვის ორიენტაციას ჯერ კიდევ ტერიტორიული და მენტალური სიახლოვის მქონდე დსთ-ის წევრი ქვეყნები განსაზღვრავს. განსაკუთრებით მაღალია მათი წილი საექსპორტო ნაკადებში, რომელიც 2000-2016 წლებში 36,2-დან 55,7%-მდე დიაპაზონში მერყეობს, მაშინ როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების წილი იმავე წლების განმავლობაში 29,3%-ზე მაღალი ნიშნულით არ დაფიქსირებულა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, რადგან სავაჭრო ბრუნვის მესამედზე მეტი მხოლოდ ამ სამ ქვეყანაზეა კონცენტრირებული.

დიაგრამა 23

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ცვლილება 2016 წელს წინა წლების შესაბამის პერიოდთან შედარებით (%)



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე


დანართი 1-ში მოცემული ცხრილი აჩვენებს 2015-2016 წლების ექსპორტ-იმპორტის ყოველთვიურ დინამიკას აბსოლუტურ მაჩვენებლებში და მათ ცვლილებას (პროცენტულად) წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.

როგორც ამ დანართიდან ჩანს, 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს მარტის შემდეგ ფიქსირდება იმპორტის მატების ტემპები. მართალია, შემცირებულია ექსპორტის კლების ტემპები, მაგრამ ჯერჯერობით მაინც მაინც დაბალია მისი მაჩვენებლები. მხოლოდ სექტემბრიდან ფიქსირდება მატების ტემპები, რომელიც დღესაც გრძელდება. თუმცა, წლიური მაჩვენებლები, სამწუხაროდ, უარყოფითია და 2016 წლისათვის ბრუნვა, წინა წელთან შედარებით, 1%-ით, ექსპორტი 0,1%-ით და ექსპორტი 4,2%-ითაა შემცირებული.

ექსპორტისა და იმპორტის დინამიკას თვეების მიხედვით აჩვენებს ქვემოთ მოტანილი დიაგრამა.

დიაგრამა 24

ექსპორტისა და იმპორტის დინამიკა 2014-2016 წლებში თვეების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: დიაგრამა ავებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

2016 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2784 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 571 მლნ. აშშ დოლარი იყო (12%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 2213 მლნ. აშშ დოლარი (6%-ით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 30% შეადგინა, მათ შორის

ექსპორტში 27% და იმპორტში 30% (2015 წელს, შესაბამისად, 29, 29 და 28 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 32 პროცენტი (2015 წელს 28 პროცენტი).

დიაგრამა 25, 26

ქვეყნების ჯგუფების წილი ექსპორტში და იმპორტში



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2016 წელს 2717 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2015 წელთან შედარებით, 3%-ით ნაკლები). აქედან ექსპორტი 738 მლნ. აშშ დოლარი (12%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1980 მლნ. აშშ დოლარი (1%-ით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 29% იყო, მათ შორის ექსპორტში 35% და იმპორტში 27% (2015 წელს შესაბამისად 30, 38 და 27 პროცენტი). 2016 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 24% (2015 წელს 22 პროცენტი).

2015 წელს დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2808.1 მლნ აშშ დოლარი იყო (2014 წელთან შედარებით, 21.8 პროცენტით ნაკლები). აქედან ექსპორტი 839,5 მლნ აშშ დოლარი (2014 წელთან შედარებით 42,7%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1968,6 მლნ აშშ დოლარი (2014 წელთან შედარებით 7,3%-ით ნაკლები) დაფიქსირდა. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის წილი 2015 წელს 28,3%-ით განისაზღვრა, მათ შორის ექსპორტში 38,1% და იმპორტში 25,5% (2014 წელს, შესაბამისად, 31,3%, 51,2% და 24,7%). 2015 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 20,4% (2014 წელს კი – 11,5%).

დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტის მაღალი მაჩვენებლის პარალელურად გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებში მისი სიდიდე. 2015 წელს ექსპორტმა 646,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მართალია, ეს დსთ-ის მაჩვენებელზე 29,9%-ით დაბალია,

მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო 16-წლიანი პერიოდის განმავლობაში.

რაც შეეხება საიმპორტო ნაკადებს, ქვეყნების ჯგუფების ჭრილში, ექსპორტისაგან განსხვავებული მდგომარეობაა. მხოლოდ 2015 წელს ევროკავშირთან მთლიანმა იმპორტმა 2518,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ეს მთლიანი იმპორტის 32,6%-ია და 27,9%-ით მეტია დსთ-ის მაჩვენებელზე (2015 წელს დსთ-ის იმპორტი 1968,6 მლნ აშშ დოლარი იყო და მთლიან იმპორტში 25,5% ეჭირა).

2016 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 65% შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი (1526 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (881 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (717 მლნ. აშშ დოლარი).

ცხრილი 7

უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში


	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
სულ	2 112 849.5	100.0	7 287 460.2	100.0	9 400 309.7	100.0
მათ შორის:						
თურქეთი	173 586.0	8.2	1 352 646.2	18.6	1 526 232.2	16.2
რუსეთი	206 225.3	9.8	675 022.6	9.3	881 247.9	9.4
ჩინეთი	169 586.9	8.0	547 503.2	7.5	717 090.0	7.6
აზერბაიჯანი	152 559.1	7.2	492 142.1	6.8	644 701.2	6.9
გერმანია	85 313.5	4.0	419 570.7	5.8	504 884.2	5.4
უკრაინა	73 254.2	3.5	417 758.2	5.7	491 012.4	5.2
სომხეთი	150 643.5	7.1	216 790.1	3.0	367 433.6	3.9
იტალია	72 471.0	3.4	262 826.5	3.6	335 297.4	3.6
ბულგარეთი	167 159.3	7.9	150 392.7	2.1	317 552.0	3.4
აშშ	68 258.1	3.2	213 763.5	2.9	282 021.6	3.0
ქვეყნები – სულ	793 792.6	37.6	2 539 044.4	34.8	3 332 837.0	35.5

წყარო: ცხრილი შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

საგაჭრო პარტნიორების სიას, საგარეო საგაჭრო ბრუნვის მიხედვით, ლიდერობს თურქეთი 16,2%-ით, მას მოჰყვება რუსეთი – 9,4% და ჩინეთი – 7,6%. გერმანია და უკრაინა თითქმის თანაბარი წილით გამოირჩევიან, შესაბამისად – 5,4% და 5,2%, ხოლო აზერბაიჯანი ტრადიციულად გამორჩეულ ადგილს იკავებს ათეულში 6,9%-ით, ამჯერად, მართალია, შემცირებული სიდიდით.

დიაგრამა 27

ათი უმსხვილესი საგაჭრო პარტნიორი ქვეყანა 2016 წელს (მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: დიაგრამა ავებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

თუ შევადარებთ საგარეო ვაჭრობის უკანასკნელი ორი წლის მონაცემებს, შევნიშნავთ, რომ მცირდება მთლიან ბრუნვაში ჩინეთის, აზერბაიჯანის, გერმანიის, უკრაინის, აშშ-ის პროცენტული წილის მაჩვენებლები და იზრდება იტალიის, ნიდერლანდების, სომხეთის საგარეო ვაჭრობის წილის მაჩვენებლები.

2016 წელს, სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, 312 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 15% შეადგინა, თხილის ექსპორტი 179 მლნ. აშშ დოლარს და, შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 9%-ს უდრიდა. მესამე ადგილზე ფეროშენადნობების ჯგუფი იმყოფებოდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 169 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 8% შეადგინა.

2016 წლის უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფი



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე


უთუოდ საინტერესოა როგორ იცვლებოდა ხუთი წამყვანი სასაქონლო ჯგუფის დინამიკა საქონლის ღირებულების მიხედვით.

უთუოდ საინტერესოა, როგორ იცვლებოდა ხუთი წამყვანი სასაქონლო ჯგუფის დინამიკა საქონლის ღირებულების მიხედვით.

როგორც 29-ე დიაგრამიდან ვხედავთ სპილენძის მადნები და კონცენტრატების მაჩვენებლების მნიშვნელობები 2012 წლამდე სტაბილურობით გამოირჩეოდა, 2013 წლიდან კი სისტემატური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ასე მაგალითად, 2013 წელს 2012 წელთან შედარებით ექსპორტირებული სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების მოცულობა 3-ჯერ გაიზარდა და 161,6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2014 წელს მაჩვენებელი წინა წინა წელთან შედარებით 53%-ით გაიზარდა, 2015 წელს 9%-ით, ხოლო 2016 წელს 2015 წელთან შედარებით 15,2%-იანი მატება დაფიქირდა

მადნები და კონცენტრატები სპილენძის - სასაქონლო ჯგუფის ღირებულების დინამიკა


(მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

2012 წლიდან მზარდი ტენდენციით ხასიათდება კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი - სასაქონლო ჯგუფის ღირებულების მაჩვენებლების დინამიკაც, თუმცა 2012 წლამდე არაერთგვაროვანი ტენდენციები შეინიშნებოდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ თუ 2008 წელს ამ სასაქონლო ჯგუფის ღირებულება 2007 წლის 65,1 მლნ. აშშ დოლარიდან 31,7 მლნ. აშშ დოლარამდე დაეცა, 2009 წელს კლების ტემპი მატებამ შეცვალა და ის 120 %-ს გაუტოლდა. მართალია 2012 წელს კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი - სასაქონლო ჯგუფის ღირებულება 2011 წელთან შედარებით მკვეთრად, 36%-ით შემცირდა და 83,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მაგრამ მაინც გადააჭარბა 2010 წლის დონეს. 2013 წლიდან კი ამ სასაქონლო ჯგუფის საქონლის ექსპორტის მოცულობის მაჩვენებლები მკვეთრად გაიზარდა, თუმცა 2014 წელთან შედარებით მომდგნო ორ წელს დაფიქსირდა 4%-იანი და 3%-იანი კლების ტემპი.

კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი - სასაქონლო ჯგუფის ღირებულების დინამიკა
(მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

რაც შეეხება ფეროშენადნობების (სასაქონლო ჯგუფი 7202) ექსპორტის მოცულობის დინამიკას, იგი ცვალებადია წლების მიხედვით. ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2014 წელს და შეადგინა 285.8 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2006 წელს აღინიშნა, როდესაც მისი მოცულობა შეადგენდა 89.8 მლნ. აშშ დოლარს.

როგორც 30-ე დიაგრამიდან ჩანს ყველაზე მაღალი, 2014 წლის დონესთან შედარებით ფეროშენადნობების ექსპორტი 2015 და 2016 წელს შესაბამისად 32% და 13%-ით შემცირდა, და მისი მოცულობა 194,8 და 169,3 მლნ. აშშ დოლარამდე დაეცა.

ფეროშენადნობები - სასაქონლო ჯგუფის ტირებულების დინამიკა
(მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე


მეტად საინტერესოა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის მაჩვენებლების დინამიკა. 2013 წლამდე იზრდებოდა ექსპორტირებული ავტომობილების მოცულობა და შესაბამისად მათი ღირებულება. 2013 წელს მიაღწია თავის მაქსიმუმს და შეადგინა 703,8 მლნ. აშშ დოლარი, მაგრამ შემდეგ, 2016 წლამდე ყოველწლიურად ხდებოდა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის შემცირება. ასე მაგალითად, თუ 2014 წელს მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის მოცულობა წინა წელთან შედარებით 27%-ით შემცირდა, 2015 წელს მისი კლების ტემპმა 34%, ხოლო 2016 წელს 2015 წელთან შედარებით მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 8%-ით შემცირდა.

მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი 2014 წლიდან აზერბაიჯანთან, რომელიც ძირითადი პარტნორი ქვეყანა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის მიმართულებით, მანქანების მიწოდების შემცირებაა, რაც აზერბაიჯანის ეკოლოგიურ სტანდარტ ევრო 4-ზე გადასვლამ გამოიწვია.

დიაგრამა 32

მსუბუქი ავტომობილები ექსპორტის მაჩვენებლების დინამიკა

(მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე


ბუნებრივია, 2012 წლიდან შეიცვალა ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტის მაჩვენებლები. ყველაზე მაღალ ნიშნულს 2014 წელს მიაღწია და 180,4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამიტომაც 2014 წელი განსაკუთრებული

მნიშვნელობის იყო ქართული ღვინის ექსპორტის თვალსაზრისით უკანასკნელი 10 წლის მანძილზე. 2014 წლის ღვინის ექსპორტზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, როგორც რაოდენობრივად, ისე ცნობადობის თვალსაზრისით 2013 წელს იუნესკოს მიერ ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული მეთოდისთვის არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსის მინიჭებამ, მეორე მხრივ, ქართულ ღვინოზე რუსული ემბარგოს გაუქმებამ.

2015 წლისათვის ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტის მაჩვენებლები მკვეთრად დაეცა, წინა წელთან შედარებით 47%-ით შემცირდა, მაგრამ თავისი მნიშვნელობით 2012 წლის დონეს მაინც გადააჭარბა.

დიაგრამა 33

ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტის დინამიკა
(მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე


2016 წელს 2015 წელთან შედარებით ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტი 18,5%-ით გაიზარდა.

რაც შეეხება საიმპორტო საქონელს, უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2016 წელს ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო, რომლის იმპორტმა 619 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 9% შეადგინა. მეორე ადგილზე იმყოფებოდა მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 477 მლნ. აშშ დოლარით, რაც

იმპორტის 7% იყო. მესამე ადგილზე სამკურნალო საშუალებების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 326 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 5%).

დიაგრამა 34

2016 წლის უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე


დეტალურად გაგანალიზოთ იმპორტირებული საქონლის ხუთი წამყვანი სასაქონლო ჯგუფის დინამიკა საქონლის ღირებულების მიხედვით.

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დინამიკა მთლიან საკვლევე პერიოდში შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად მზარდია. მაგრამ 2009 წელს, წინა წელთან შედარებით 28%-ით, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით 29%-ით, ხოლო 2016 წელს კი წინა წელთან შედარებით 6%-ით შემცირდა.

დიაგრამა 35

ნავთობი და ნავთობპროდუქტების იმპორტის დინამიკა

(მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

მსუბუქი ავტომობილების იმპორტის შემთხვევაში ცალკეული პერიოდების მიხედვით ექსპორტის ანალოგიური ტენდენციები გამოიკვეთა.

დიაგრამა 36

მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დინამიკა

(მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: დიაგრამა ავტოულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

როგორც 34-ე დიაგრამიდან ჩანს, მსუბუქი ავტომობილების იმპორტმა თავის მაქსიმუმს 2014 წელს მიაღწია და 715,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 135%-ით აღემატება 2009 წლის დონეს, 77%-ით 2010 წლის, 40%-ით 2011 წლის, 8%-ით 2012 წლის და 6.5%-ით 2013 წლის დონეს. 2015 წელს სახეზეა მსუბუქი ავტომობილების იმპორტის 35%-იანი კლება, რომელიც მაღევე, 2016 წელს მართალია მცირედ, მაგრამ მაინც 1,9%-იანი მატებით შეიცვალა.

რაც შეეხება დაფასოებული სამკურნალო საშუალებების იმპორტს, აქ 2009 და 2014 წელს დაფიქსირებული უმნიშვნელო კლების გარდა, (შესაბამისად 5% და 4,5%) მკვეთრად გამოხატული ზრდის ტენდენცია იკვეთება. სამკურნალო საშუალებების იმპორტმა ყველაზე მაღალ ნიშნულს 2016 წელს მიაღწია, როდესაც ის 325,7 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა. ეს მაჩვენებელი 7,3%-ით აღემატება წინა წლის დონეს, 3,5%-ით 2014 წლის, ხოლო 15,8%-ით 2013 წლის დონეს.

დაფასოებული სამკურნალო საშუალებები

(მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

არაერთგვაროვანი ტენდენცია ვლინდება ნავთობის აირებისა და აირისებრი ნახშირწყალბადების იმპორტის შემთხვევაში

ნავთობის აირებისა და აირისებრი ნახშირწყალბადების იმპორტის დინამიკა

(მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე


როგორც ვხედავთ 2010 წლიდან ძირითადად შეინიშნება ზრდის ტენდენცია. გამონაკლისია 2013 და 2016 წლები, როდესაც ამ სახის სასაქონლო ჯგუფის იმპორტი წინა წელთან შედარებით შესაბამისად 1% და 24%-ით შემცირდა.

ტოპსუთეულში შედის სატელეფონო აპარატების , ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების იმპორტი

დიაგრამა 39

სატელეფონო აპარატების , ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების იმპორტის იმპორტის დინამიკა

(მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

როგორც დიაგრამიდან ჩანს 2009, 2012 და 2015 წლების გარდა 2006 წლიდან შეინიშნება ამ სასაქონლო ჯგუფის იმპორტის ზრდის ტენდენცია. საკმარისია აღინიშნოს, რომ 2016 წლის მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით 18%-ით, 2013 წელთან 15%-ით, 2012 წელთან შედარებით 48%-ით გაიზარდა.

იმისათვის, რომ ნათლად წარმოგვედგინა დინამიკაში საიმპორტო და საექსპორტო საქონლის სასაქონლო სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები, დანართში მოტანილ ცხრილში წარმოვადგინეთ 2007-2017 წლებში ყველა იმ იმპორტირებული საქონლის ჩამონათვალი, რომლებიც ძირითად საიმპორტო ტოპათეულს მიეკუთვნებოდა (იხ. დანართი 2 და დანართი 3).

როგორც ვხედავთ, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, დაფასოებული სამკურნალო საშუალებები, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები აღნიშნული პერიოდის ყველა წელს იყო ტოპათეულში. ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი მხოლოდ ერთხელ, 2008 წელს, მანგანუმის მადნები და კონცენტრატები 2008 და 2010 წელს და ა.შ.

საექსპორტო პროდუქციის სასაქონლო სტრუქტურის ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფაქტობრივად, საკვლევი პერიოდში

ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა არ შეცვლილა. თუ დაგაკონკრეტებთ, 2006 წლიდან 2016 წლამდე ექსპორტში წამყვან პოზიციებს იკავებდა შემდეგი სასაქონლო ჯგუფები:

- ფეროშენადნობები;
- მსუბუქი ავტომობილები;
- მადნები და კონცენტრატები სპილენძის;
- ყურძნის ნატურალური ღვინოები;
- სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი;
- სამკურნალო საშუალებები დაფასოებული;
- ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით;
- ნარჩენები და ჯართი შავი ლითონებისა;
- კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი.

ამ წლების განმავლობაში ფეროშენადნობები და მსუბუქი ავტომობილები ყოველ წელს ხვდებოდნენ წამყვან ხუთ ექსპორტირებულ საქონელში.

რაც შეეხება იმპორტს, 2006 წლიდან 2016 წლამდე წამყვან პოზიციებს იკავებდა შემდეგი სასაქონლო ჯგუფები:

- ნავთობი და ნავთობპროდუქტები;
- მსუბუქი ავტომობილები;
- ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა.
- სამკურნალო საშუალებები დაფასოებული;
- აპარატურა გადამცემა რადიოსატელეფონო, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიისათვის მსუბუქი;
- მადნები და კონცენტრატები სპილენძის.
- სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების ჩათვლით;
- შერეული საქონელი;
- ხორბალი და მესლინი.


ამ წლების განმავლობაში ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები და სამკურნალო საშუალებები ყოველ წელს ხვდებოდნენ წამყვან ხუთ საიმპორტო საქონელის ჩამონათვალში.

მეტად მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურის შესწავლა.

საექსპორტო ქვეყნების ათეულს უპირობოდ ლიდერობს რუსეთი, რომლის ბრუნვა, წინა წელთან შედარებით, 27%-ით გაიზარდა. შემდეგ მოდის თურქეთი (წინა წელთან შედარებით, 7%-ით შემცირდა) და ჩინეთი (გაიზარდა 35%-ით) თითქმის თანაბარი მაჩვენებლები აქვს აზერბაიჯანსა და სომხეთს.

დიაგრამა 40

ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა 2015-2016 წლებში



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

2016 წელს, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია მთლიან ექსპორტში რუსეთისა და ჩინეთის წილის (შესაბამისად, წილი შეადგენს 10% და 8%) მაჩვენებელი, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და სხვ. წილის შემცირების პირობებში.


ექსპორტის გეოგრაფიულ სტრუქტურაზე წარმოდგენას გვიქმნის დანართში (დანართი 4) მოტანილი ცხრილი, საიდანაც ჩანს, რომ გარკვეული ცვლილებები ხდებოდა ქვეყნების სტრუქტურაში.

როგორც მე-11 ცხრილიდან ჩანს, თურქეთი ბულგარეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და უკრაინა საკვლევ პერიოდში ყოველთვის იკავებდნენ ადგილს საექსპორტო ქვეყნების ათეულში. 2013 წლიდან განსაკუთრებით გაიზარდა რუსეთის როლი ამ ურთიერთობებში, რაც, შესაბამისად, მაღალი ზრდის ტემპებით დასტურდება, მაგალითად, 2006 წელთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 174%-ით, 340%-ითაა გაზრდილი ექსპორტი ჩინეთშიც, რომელთანაც ექსპორტის ზრდის

ტემპები განსაკუთრებით საგრძნობია 2014 წლიდან. საკმარისია აღინიშნოს, რომ 2014 წელს ჩინეთთან ექსპორტის მოცულობა 2006 წელთან შედარებით 8,7-ჯერ, ხოლო 2012 წელთან შედარებით 3,5-ჯერ გაიზარდა. შემდგომ, 2015-2016, წლებში კი მატების ტემპები 39%-ისა და 35%-ის ფარგლებში დაფიქსირდა. 2013 წლიდან შემცირდა აზერბაიჯანთან ექსპორტის მოცულობის მაჩვენებლები, მარტო 2016 წელს, 2014 წელთან შედარებით, 72%-ით, ხოლო 2012 წელთან შედარებით, მისი მოცულობა 76%-ით შემცირდა. 2013 წლამდე აბსოლუტური ზრდის ტენდენცია იკვეთებოდა მესამე მეზობელ ქვეყანასთან – სომხეთთან, როდესაც საშუალოდ ყოველწლიურად ამ პერიოდში ექსპორტი 23%-ით იზრდებოდა. 2014 წლიდან კი იწყება სომხეთთან ექსპორტის კლების ტენდენცია და უკვე 2014-2016 წლებში, საშუალოდ, 28%-ით მცირდებოდა ყოველწლიურად და, ბოლოს 150,643.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. გაიზარდა ექსპორტის მოცულობა გერმანიასთან, შევიცარიასა და საფრანგეთთან, რომელთანაც მატების ტემპებმა 2016 წელს, წინა წელთან შედარებით, შესაბამისად – 13%, 65% და 18% შეადგინა.

დიაგრამა 41


უმსხილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში



წყარო: დიაგრამა ავებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

რაც შეეხება იმპორტს, აქ ტენდენციები უცვლელია და, ტრადიციულად, საიმპორტო ქვეყნების ტოპათეულს ლიდერობს თურქეთი, რომლის ბრუნვა, წინა წელთან შედარებით, მცირედ, მაგრამ მაინც შემცირებულია, შემდეგ მოდის რუსეთი, ჩინეთი და აზერბაიჯანი. იმპორტი გაიზარდა მხოლოდ სომხეთთან, ნიდერლანდებთან, იტალიასთან და რუსეთთან (იხ. დიაგრამა 42).

ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყანა 2015-2016 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს. თურქეთი, რუსეთი. ჩინეთი აზერბაიჯანი, გერმანია, უკრაინა მყარი საიმპორტო პარტნიორებია, ვინაიდან ისინი სისტემატურად ხვდებიან 2006-2016 წლების საიმპორტო ქვეყნების ათეულში.

როგორც დანართი 5-დან ვხედავთ, 2013-2015 წლის მერე საიმპორტო ათეულის ქვეყნებიდან იმპორტი გაიზარდა იტალიიდან, რომლის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა ამ პერიოდში 5,9% შეადგინა, სომხთიდანაც საშუალო წლიური მატების ტემპი 5,9%-ის დონეზე დაფიქსირდა, და ნიდერლანდებიდან, რომელთანაც იმპორტი 2013-2015 წლებში საშუალოდ 15%-ით გაიზარდა. საშუალოდ, 6%-ით შემცირდა იმპორტი ამერიკიდან, 26%-ით – რუმინეთიდან, იაპონიიდან და ა.შ.

ქვეყნებთან იმპორტის მაჩვენებლების ცვლილებამ გავლენა მოახდინა საიმპორტო ქვეყნების წილის პროცენტულ მაჩვენებლებზე.

უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში 2016 წელს (%)



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ცხადია, იმპორტში გამოვლენილი ტენდენციების შესაბამისად, შეიცვალა თურქეთის, რუსეთის, ჩინეთის, აზერბაიჯანის, გერმანიის და ა. შ. მთლიან იმპორტში წილის მაჩვენებლებიც. (იხ.ცხრილი 8)

ცხრილი 8

უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან საგარეო
სავაჭრო ბრუნვაში

	2015 წელი		2016 წელი	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტულ ი წილი
იმპორტი – სულ	7 292 306.2	100.0	7 287 460.2	100.0
თურქეთი	1 327 411.9	18.2	1 352 646.2	18.6
რუსეთი	625 122.3	8.6	675 022.6	9.3
ჩინეთი	587 378.8	8.1	547 503.2	7.5
აზერბაიჯანი	538 789.4	7.4	492 142.1	6.8
გერმანია	430 967.7	5.9	419 570.7	5.8
უკრაინა	455 571.5	6.2	417 758.2	5.7
იტალია	197 659.0	2.7	262 826.5	3.6
ნიდერლანდები	128 248.3	1.8	217 165.2	3.0
სომხეთი	175 055.0	2.4	216 790.1	3.0
აშშ	252 974.1	3.5	213 763.5	2.9

წყარო: ცხრილი შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე


შესაბამისი ინფორმაციული ბაზის საფუძველზე, საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურის შესწავლამ შემდეგი სურათი გამოავლინა:

ექსპორტის მიმართულებით, საქართველოს ტვირთების საბოლოო დანიშნულების ობიექტი, პირველ რიგში, არის აზიის კონტინენტი, რომლის მიმართულებითაც ექსპორტის მოცულობამ 2016 წელს 991,0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და იგი მთლიანი ექსპორტის 47%-ს შეადგენდა; შემდგომ ევროპა, რომლის მიმართულებითაც 2016 წელს 957,4 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი განხორციელდა, რაც მთლიანი ექსპორტის 45,3%-ია. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2006 წლამდე საქართველოს ძირითად საექსპორტო მიმართულებას

წარმოადგენდა ევროპა, 2006 წლიდან კი – აზია. იმავდროულად, 2006 წლიდან გააქტიურდა ექსპორტი ამერიკის კონტინენტზეც და მან 2012 წელს 386,1 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი ექსპორტის 16,2% შეადგინა, რომელიც 2016 წელს 6,3%-მდე დაეცა, გაიზრდა მთლიან ექსპორტში აფრიკის მიმართულებით ექსპორტის მოცულობა და შესაბამისად, მისი წილის პროცენტული მაჩვენებელიც.

დიაგრამა 44

საქართველოს ექსპორტის გეოგრაფიული მიმართულებები 2007-2016 წლებში (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე


2016 წელს აზიის კონტინენტზე განხორციელებული ექსპორტის უდიდესი წილი მოდიოდა ჩინეთსა და უზბეკეთზე, ხოლო იმპორტის მხრივ მნიშვნელოვანი როლი ეჭირა ჩინეთსა და იაპონიას.

რაც შეეხება საიმპორტო ნაკადებს (დიაგრამა №36), 2007-2016 წლებში იმპორტი, ძირითადად, აზიიდან და ევროპიდან თითქმის თანაბარი რაოდენობით ხორციელდებოდა და მთლიანი იმპორტის, შესაბამისად, 47,1% და 47,3%-ს შეადგენდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2000-2009 წლებში ევროპიდან შემოსული იმპორტი ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩეოდა დანარჩენ კონტინენტებს შორის და მთლიანი იმპორტის, საშუალოდ, 48,4% შეადგინა. 2010-2014 წლებში კი ევროპიდან იმპორტის წილმა, საშუალოდ, მთლიანი იმპორტის 44,6% შეადგინა. ამერიკის კონტინენტიდან იმპორტის მოცულობა დინამიკაში ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა, 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, საიმპორტო ნაკადები ამ მიმართულებით 8,5%-ით გაიზარდა, 450,4 მლნ აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 5,2% შეადგინა. 2016 წლისათვის თითქმის

შენარჩუნებულია ამერიკიდან საიმპორტო ნაკადების წილის მაჩვენებელი, ის 5,3%-ის დონეზეა და აბსოლუტურად 386,9 მლნ. აშშ დოლარი შეადგენს.

დიაგრამა №45

საქართველოს იმპორტის გეოგრაფიული მიმართულებები 2007-2016 წლებში (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა აკებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ასეთია საქართველოში საგარეო ვაჭრობის ძირითადი ტენდენციები. დღეს საქართველოს მთავარ პრობლემად კვლავ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი რჩება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2007-2017 წლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა საშუალოდ 4,8%-ით გაიზარდა, მაგრამ ასევე გაიზარდა სავაჭრო დეფიციტი. მარტო 2016 წელს, 2007 წელთან შედარებით, საგარეო ვაჭრობის საღდო 30%-ით გაიზარდა, რომლის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა ამავე პერიოდში 103,3% შეადგინა. შესაბამისად, არ გაზრდილა ექსპორტის იმპორტით გადაფარვის კოეფიციენტი. თუმცა, ამავე პერიოდში გაფართოვდა ვაჭრობის გეოგრაფია და გაიზარდა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა, რომელმაც ბოლო, 2016 წლის მონაცემებით, 136 შეადგინა. 2013 წელთან შედარებით, 40-დან 2016 წელს 44-მდე გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს, 94-დან 92-მდე შემცირდა იმ ქვეყნების რიცხვიც, რომლებთანაც საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. საგარეო ვაჭრობის ზრდა ძირითადად განპირობებულია

იმპორტის წინმსწრები ზრდის ტემპით. ბოლო მონაცემებით, იმპორტი 3,4-ჯერ აღემატება ექსპორტს.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა ანგარიშობს საგარეო ვაჭრობის, ექსპორტისა და იმპორტის კვოტების მაჩვენებლებს, თითოეული ინდიკატორის აბსოლუტური მოცულობის გაყოფით მთლიან შიდა პროდუქტის მოცულობაზე. ფორმალიზებულად ეს გამოსახება შემდეგნაირად:

$$\text{ექსპორტის კვოტა} = \frac{\text{ექსპორტის მოცულობა}}{\text{მშპ}} \times 100\%;$$

$$\text{იმპორტის კვოტა} = \frac{\text{იმპორტის მოცულობა}}{\text{მშპ}} \times 100\%,$$

$$\text{საგარეო ვაჭრობის კვოტა} = \frac{\text{საგარეო ვაჭრობის ბრუნვა}}{\text{მშპ}} \times 100\%,$$

$$\text{საგარეო ვაჭრობის სალდოს კვოტა} = \frac{\text{ექსპორტისა და იმპორტის სხვაობა}}{\text{ექსპორტისა და იმპორტის ჯამი}} \times 100\%,$$

ეკონომიკურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ექსპორტის კვოტის 10%-ზე გადამეტების შემთხვევაში ეკონომიკის გასსნილობის ხარისხი ითვლება მისაღებად.⁷¹

გასათვალისწინებელია, რომ სალდოს მაჩვენებელი თეორიულად მერყეობს -100 დან +100-მდე.⁷² თუ სალდოს კვოტა უტოლდება -100-ს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანა მთლიანად დამოკიდებულია იმპორტზე, ხოლო თუ მაჩვენებელი მიაღწევს +100-ს, მაშინ ქვეყანა ეწევა მხოლოდ ექსპორტს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე, ჩვენ გამოვიანგარიშეთ საგარეო ვაჭრობის ბრუნვის, იმპორტის, ექსპორტისა და საგარეო ვაჭრობის სალდოს კვოტის მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 9).

⁷¹ Экономическая статистика, под ред. Ю.Н. Иванова. М. 2006, стр. 542.

⁷² ხმალაძე მ., სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესში. ნაწილი II. თბ., 2015, გვ. 393.

საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლების კვლევის დინამიკა

კვლევა	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ექსპორტის	12,1	11,7	10,5	14,4	15,2	15,0	18,0	17,3	15,8	14,7
იმპორტის	51,2	49,2	41,8	45,2	48,8	50,8	49,7	52,0	52,1	51,0
საგარეო ვაჭრობის	63,3	60,9	52,3	59,6	64	65,8	67,7	69,3	67,9	65,6
საგარეო ვაჭრობის საღდოს	-61,8	-61,6	-58,7	-51,6	-52,7	-54,4	-46,8	-50	-53,6	-55

წყარო: ცხრილი შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2007-2016 წლებში ექსპორტის კვლევა მინიმალურ სიდიდეს აჭარბებს, 2014 წლამდე სისტემური ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, 2014 წლიდან მაჩვენებელი უკვე სისტემატურად მცირდება და 2016 წელს 14,7%-მდე ეცემა, რაც 2013 წლის მაჩვენებელს 3,3%-ული პუნქტით ჩამორჩება. მართალია, ეს მაჩვენებლები მაღალია დასაშვებ ზღვარზე, რაც საგარეო ბაზარზე ეროვნული საქონლის კონკურენტუნარიანობის მზარდ დონეზე მიუთითებს, მაგრამ, ბოლო წლებში შემცირების გამო, ეს კონკურენტუნარიანობაც მცირდება. რაც შეეხება იმპორტის კვლევას, აქ გამოკვეთილია მისი მაღალი დონე, რაც შიდა ბაზრის ჯერ კიდევ იმპორტირებული საქონლით გაჯერებას ნიშნავს. ანალოგიურ ტენდენციაზე მიუთითებს საგარეო ვაჭრობის საღდოს კვლევის მაჩვენებელიც, როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველა წლის მიხედვით, საღდოს კვლევის მაჩვენებელი უარყოფითია, ამან კი აჩვენა, რომ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები, ძირითადად, იმპორტით განისაზღვრება.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკისათვის მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის დონის დახასიათება, რომელიც გვიჩვენებს ექსპორტისა და იმპორტის მოცულობას საშუალოდ ერთ მოსახლეზე. ამიტომ მისი ფორმალიზებული გამოსახულება შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ:

$$\text{ექსპორტის დონე} = \frac{\text{ექსპორტის მოცულობა}}{\text{მოსახლეობის საშუალო რიცხვი}} ;$$

$$\text{იმპორტის დონე} = \frac{\text{ექსპორტის მოცულობა}}{\text{მოსახლეობის საშუალო რიცხვი}} ;$$

$$\text{საგარეო ვაჭრობის დონე} = \frac{\text{საგარეო ვაჭრობის სალდო}}{\text{მოსახლეობის საშუალო რიცხვი}}$$

ამ მაჩვენებლის მისაღებად ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა იყოფა მოსახლეობის საშუალო რიცხვზე, მიღებულ კოეფიციენტებს შორის სხვაობით მიიღება სალდოს კოეფიციენტი. სალდოს კოეფიციენტი პირდაპირ შეიძლება მივიღოთ საგარეო ვაჭრობის სალდოს შეფარდებითაც მოსახლეობის საშუალო რიცხვთან. საგარეო ვაჭრობის დონე შეიძლება დახასიათდეს იმპორტ-ექსპორტის თანაფარდობითა და საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის მაჩვენებლებითაც. იმპორტ-ექსპორტის თანაფარდობის მაჩვენებელი გამოითვლება იმპორტის გაყოფით ექსპორტზე, რომელიც გვიჩვენებს, რამდენჯერ აღემატება იმპორტის მოცულობა ექსპორტს. საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის მაჩვენებელი კი მიიღება სალდოს შეფარდებით საგარეო ვაჭრობის ბრუნვასთან. საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის მაჩვენებლების გამოთვლისათვის მნიშვნელობა არ აქვს, სალდო დადებითია თუ უარყოფითი. ამ შემთხვევაში, სალდო უარყოფითია, ამიტომ უარყოფით მოვლენასთან გვაქვს საქმე. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს სალდოს რამდენი პროცენტი მოდის ექსპორტ-იმპორტის ბრუნვაზე.⁷³

გავიანგარიშოთ ყველა ეს კოეფიციენტი 2008, 2012 და 2016 წლების მიხედვით და შედეგები წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილის სახით:

ცხრილი №10

საგარეო ვაჭრობის დონის მაჩვენებლები

	2008	2012	2016
ექსპორტის დონე	0,34	0.52	0.57
იმპორტის დონე	1.44	1,79	1.95

⁷³ ხმალაძე მ., სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. ნაწილი მეორე თბ., 2015, გვ. 420-422.

საღდოს დონე	1.10	1.30	1.39
ბრუნვის დონე	1.78	2.32	2,53
იმპორტის-ექსპორტის თანაფარდობის მაჩვენებელი	4.21	3.38	3.4
საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის მაჩვენებლები	61.6%	54,4%	55%

წყარო: ცხრილი შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

მიღებული მაჩვენებლებიდან ირკვევა, რომ საგარეო ვაჭრობის ზრდა იმპორტის წინმსწრები ზრდის ტემპითაა განპირობებული. თუ 2008 წლისათვის საერთოდ იმპორტი 4,2-ჯერ აღემატება ექსპორტს, 2012 წლისათვის მაჩვენებელი 3,38-მდე შემცირდა, რაც ექსპორტის ზრდის ხარჯზე განხორციელდა და თავისთავად დადებითი ფაქტია. თუმცა, 2008 წელთან შედარებით, 2014 წელს ევროკავშირთან გააქტიურებულმა საექსპორტო ურთიერთობებმა მისი სიდიდე 39%-ით შეამცირა. 2012 წელს 2008 წელთან შედარებით 7,2%-ული პუნქტითაა შემცირებული საქართველოს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი საღდოს ხვედრითი წილიც ბრუნვაში, რომელიც 54,4%-ს გაუტოლდა. 2016 წელს ის 55%-ის დონეზე აღინიშნა. ექსპორტის ზრდის გამო, 23%-ული პუნქტით გაუმჯობესდა ექსპორტის დონის მაჩვენებელი, რომელიც იმავე პერიოდში 0,34-დან 0,57-მდე გაიზარდა, ხოლო იმპორტის დონე – 1,44-დან 1,95-მდე.

3.3. სპეციალური საბაჟო სტატისტიკა საქართველოში


როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბაჟო სტატისტიკა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ახორციელებს არა მარტო საბაჟო სამსახურის, არამედ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ინფორმაციულ უზრუნველყოფას საქართველოს საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო ორგანოების საქმიანობის შესახებ. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც საქმე სპეციალურ საბაჟო სტატისტიკას ეხება. ცნობილია, რომ საბაჟო სტატისტიკა შეისწავლის არა მარტო საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენების რაოდენობრივ მხარეს, არამედ საბაჟო საქმიანობის იმ მიმართულებებსაც, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო გადასახადების აღრიცხვასა და ანალიზთან, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლასა და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევასთან. სწორედ ესაა სპეციალური საბაჟო სტატისტიკის შესწავლის ობიექტი, ხოლო საგანი მოიცავს დეკლარირების, საბაჟო გადასახადების, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების, კონტრაბანდის, კონფისკაციის, საერთაშორისო გადაზიდვების, საერთაშორისო საფოსტო გზაწინააღმდეგობის რაოდენობრივ ასახვას და შესაბამისად მათ ანალიზს.

სპეციალური საბაჟო სტატისტიკის წარმოების ძირითად ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტს მიეკუთვნება საბაჟო სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგია. მისი შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომები, კონცეფციები, წესები, პრინციპები და კრიტერიუმები ასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უახლეს რეკომენდაციებში.

რადგან დეკლარირების სტატისტიკური ანლიზი გულისხმობს იმპორტისა და ექსპორტის დეკლარაციების რაოდენობის ანალიზს, პირველ რიგში, გავარკვიოთ, რა იგულისხმება დეკლარაციების რაოდენობაში. ის მოიცავს Asycuda – სასაქონლო საბაჟო დეკლარაციებს, გამარტივებული დეკლარაციებს, სპეციალურ დეკლარაციებს და შსს. მომსახურების სააგენტოს მიერ გაფორმებული დეკლარაციებს.

2016 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოს საბაჟოზე გაფორმდა 506 834 ათსი დეკლარაცია, რაც 9%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე, მაგრამ 4%-ით ნაკლებია 2014 წელს გაფორმებულ დეკლარაციების რაოდენობაზე. 2013 წლამდე იზრდებოდა დეკლარირების მაჩვენებელი, რომელიც, საშუალოდ, 37,5 ათასით იზრდებოდა 2007-2013 წლებში.


სულ დეკლარაციების რაოდენობა



წყარო: დიაგრამა აგებულია ჰვენ მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

გაფორმებულ დეკლარაციების დიდი ნაწილი, 84%, მოდიოდა იმპორტის დეკლარაციებზე, რომლის დინამიკა 2007-2016 წლებში, ძირითადად, ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. გამონაკლისია 2015 წელი, როდესაც დეკლარაციების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 6%-ით შემცირდა.

იმპორტის დეკლარაციების რაოდენობა



წყარო: დიაგრამა აგებულია ჰვენ მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.


ზოგადი სურათი ისეთია, რომ თუ 2016 წელს, წინა წელთან შედარებით, მხოლოდ 8,9%-ით გაიზარდა იმპორტის დეკლარირების რაოდენობა, 2013 წელთან

შედარებით 10%-იანი მატების, 2011 წელთან შედარებით 38,5%-იანი და 2010 წელთან შედარებით 70%-იანი მატების ტემპი დაფიქსირდა. მთლიან პერიოდში, 2007-2016 წლებში იმპორტზე დეკლარაციების რაოდენობა, საშუალოდ, 11%-ით იზრდებოდა.

განსხვავებული ტენდენციები გამოკვეთა ექსპორტის შემთხვევაში.

დიაგრამა 48

ექსპორტის დეკლარაციების რაოდენობა



წყარო: დიაგრამა აკებულია ჩვენ მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამიდან ჩანს, რომ გაფორმებული ექსპორტის დეკლარაციების რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით ცვალებადია. 2010 წლამდე შედარებით სტაბილური სურათი იკვეთება, მაგრამ მაჩვენებლები რაოდენობრივი ზომა არცთუ ისე მაღალი იყო და, ძირითადად, 18-20 ათასის ფარგლებში მერყეობდა. 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, 40%-ით გაიზარდა გაფორმებული დეკლარაციების რაოდენობა, 2012 წელს ისევ შემცირდა, ამჯერდ უფრო მეტად – 15 %-ით. 2013-2014 წლებში თითქმის ერთ დონეზე შენარჩუნდა, რომელიც 2012 წელთან შედარებით, შესაბამისად, 24% და 29%-ით გაიზარდა. 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, 5%-ით, ხოლო 2016 წელს ბოლო პერიოდში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია და 37 640 შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 25,6%-ით მეტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის მონაცემები ორჯერ აღემატება 2007 წლის დეკლარაციების რაოდენობას.

2016 წელს საერთოდ გაფორმებული დეკლარაციების რაოდენობა გაზრდილია, იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა კი ზოგ შემთხვევაში მცირედ, მაგრამ მაინც შემცირებულია. ეს გამოწვეულია იმით, რომ, შესაძლებელია, საქონლის შემოტანა

მოხდარიყო ნაწილ-ნაწილი ტვირთის მცირე მოცულობით, რის გამოც ყოველ შემოტანილ ტვირთზე ფორმდებოდა დეკლარაცია, თუმცა, საქონლის საერთო მოცულობა შესაძლებელია იმაზე მცირე ყოფილიყო, რისი მოლოდინიც იყო გახშირებული დეკლარირების საფუძველზე. ამიტომ დეკლარაციების რაოდენობის ზრდა არ ნიშნავს ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის პირდაპირპროპორციულ ზრდას.


საბაჟო სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა საბაჟო წესების დარღვევით გადაადგილებული საქონლის ზუსტი არიცხვა მოქმედი რეგულაციების მიხედვით, ცალკეული დანაშაულობების მიხედვით და სათანადო ინფორმაციით საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურების უზრუნველყოფა შემდგომი რეაგირებისათვის.

2016 წლიდან საბაჟო დეპარტამენტი ადმინისტრირებას უწევს ეროვნულ საბაჟო სამართალდარღვევებთან ქსელს (nCEN), რომელიც წარმოადგენს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ აპლიკაციას. აპლიკაცია საშუალებას იძლევა, თითოეულ სამართალდარღვევაზე სრულყოფილად შეივსოს ინფორმაცია ეროვნული და საერთაშორისო მიზნებისთვის და უზრუნველყოფს საბაჟო სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის საერთაშორისო დონეზე გაცვლას.

საბაჟო პროცედურების დადგენილი ნორმების დარღვევა იწვევს გადასახადის გადამხდელია დაჯარიმებას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციების დინამიკა წლების მიხედვით შემდეგნაირია:

დიაგრამა 49

საბაჟო სამართალდარღვევების დინამიკა




წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სხივ შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, სამართალდარღვევების დინამიკა არაერთგვაროვანია. 2013 წლამდე მცირდებოდა ამ დარღვევების რაოდენობა და ყველაზე მცირე მაჩვენებელი 2012 წელს დაფიქსირდა (მხოლოდ 3,596 შემთხვევა). მარტო 2013 წელს თითქმის გაორმაგდა სამართალდარღვევების რაოდენობა, როდესაც მატების ტემპმა 98% შეადგინა, 2014 წელს კიდევ უფრო გაიზარდა ეს მაჩვენებელი. მხოლოდ 2014 წლიდან დაიწყო შემცირების ტენდენცია, რომელიც გრძელდება დღესაც.

აღსანიშნავია, რომ გამოვლენილ დარღვევათა დიდი ნაწილი, 84%, გადაცემულია საგამოძიებო ორგანოებისათვის შემდგომი რეაგირებისათვის. დანარჩენი წესრიგდება საბაჟო რეგულაციების საფუძველზე. უკანასკნელი სამი წლის მონაცემების მიხედვით, მცირდება საბაჟოზე გამოვლენილი დარღვევების რიცხვი, მაგრამ უცვლელია საგამოძიებო ორგანოებისათვის გადაცემის მაჩვენებელი. მაშასადამე, 2016 წელს გამოვლენილი დანაშაულობების უფრო მეტი რაოდენობა სერიოზული სახის დარღვევებს წარმოადგენდა და გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს.

დიაგრამა 50


საბაჟო დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ბოლო ათი წლის საბაჟო სამართალდარღვევების სტატისტიკა აჩვენებს, რომ ყველაზე დიდი რაოდენობის ჯარიმები დაირიცხა 2007 წელს და 20 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

დარიცხული თანხების მოცულობა (მლნ. ლარებში)



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

რაოდენობრივად, ყველაზე მეტი სამართალდარღვევის ოქმი, 13465, შედგა 2008 წელს. 2013 წლიდან შედარებით სტაბილური მდგომარეობა ფიქსირდება. ამ დროს დაჯარიმებების რაოდენობა 7 ათასი ლარით და დარიცხული თანხების მოცულობა კი 5 მილიონი ლარის ფარგლებში განისაზღვრა.

2011 წლიდან საგადასახადო კოდექსის მოქმედი საბაჟო სამართალდარღვევების მუხლების მიხედვით მონაცემები მოცემულია ცხრილი №1-ში.

ცხრილი 11

საგადასახადო კოდექსის მოქმედი საბაჟო სამართალდარღვევები მუხლების მიხედვით

წლები	მუხლი №289	მუხლი №290	მუხლი №290
2011	3,983,381	160,200	
2012	2,261,200	60,000	
2013	3,717,761	740,000	
2014	5,257,927	288,000	12,000
2015	4,804,276	496,000	16,085
2016	4,254,772	220,000	4,000


წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური

როგორც ჩანს, უფრო მეტად ვლინდება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული დარღვევები და ამის შესაბამისი საგადასახადო

სანქციების დაწესებით მაღალია დარიცხული თანხების მოცულობა, რომელიც 2016 წლის მონაცემებით 4 254772 ლარს გაუტოლდა, რაც 12%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე, 10 %-ით ნაკლებია 2014 წლის დონეზე, მაგრამ 14,4%-ით აღემატება 2013 წლის და 88%-ით 2012 წლის მაჩვენებლებს.

დიაგრამა 52

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციების მიხედვით რაოდენობრივად გამოწერილი ოქმების და დარიცხული თანხების დინამიკა (მუხლი 289)



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

2007 წლიდან საგადასახადო კოდექსის მიხედვით საბაჟო სამართალდარღვევის მუხლებს მიეკუთვნება:

- მუხლი №237 – საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობა;
- მუხლი №238 – დეკლარირების დადგენილ ვადაში განუხორციელებლობა;
- მუხლი №239 – საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო; იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნა/მოცილება ან/და განადგურება;
- მუხლი №240 – საბაჟო გადასახდელების ოდენობის შემცირება;
- მუხლი №241 – არასატარიფო ღონისძიებების დაცვისთვის თავის არიდება;
- მუხლი №242 – საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის უკანონო გადატანა ან გადმოტანა;
- მუხლი №243 – საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებლად საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გახსნა, ხელმეორედ შეფუთვა, გადატვირთვა ან გადმოტვირთვა;

- მუხლი №245 – საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევა;
- მუხლი №246 – სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებული საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა;
- მუხლი №247 – საბაჟო დამუშავების ოპერაციებზე საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევა;
- მუხლი №248 – საქონლის დაკარგვა, განადგურება ან უკანონო განკარგვა;
- მუხლი №249 – დოკუმენტების შენახვის ვადის დარღვევა;
- მუხლი №250 – საბაჟო დეკლარაციაში საბაჟო ღირებულების თაობაზე არასწორი მონაცემების შეტანა;
- მუხლი №251 – სატრანსპორტო საშუალების შემოსვლის/ჩამოფრენის ან გასვლის/გაფრენის შესახებ საბაჟო ორგანოსათვის შეუტყობინებლობა;
- მუხლი №252 – საბაჟო საწყობის, თავისუფალი საწყობის ან უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობა;
- მუხლი №253 – საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანა;
- მუხლი №288 3 – სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების გარეშე მიწოდება, ტრანსპორტირება, ექსპორტი, იმპორტი;
- მუხლი №289 – საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები;
- მუხლი №290 – სანებართვო პირობების შეუსრულებლობა;
- მუხლი №290 – სსზ-ის სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა.⁷⁴

2016 წელს სულ 9950 სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლინდა, ამასთან, 8,278 საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 8,764,539 ლარი, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 1,282 ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხა 838,532 ლარი იყო.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, კერძოდ, 2015 წლის მაისიდან, ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანისა და სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადის 45

⁷⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. <http://www.mof.ge/ViewFile.aspx?Id=149>

კალენდარული დღიდან 60 კალენდარულ დღემდე გაზრდამ და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მისაბმელისა და ნახევრად მისაბმელის გაფორმების მიზნით, საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელებისთვის (საბაჟო საწყოში დროებით დასაწყობების გარეშე) 1 დღის საფასურის შემცირებამ 10 ლარიდან 5 ლარამდე, ასევე, საგადასახადო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებამ – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 2015 წლის 1 მაისამდე შემოყვანილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მფლობელი გაათავისუფლა აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებაზე, საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, გადასახდელი თანხის გადაუხდელობისთვის, საქონლის წარდგენის/ზოგადი დეკლარირების/დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისთვის, სასაქონლო ოპერაციის პირობების დარღვევისთვის, თუ 2015 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოფდა ამ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების წარდგენასა და გაფორმებას – გამოიწვია სატრანსპორტო საშუალების მიტანისა და სასაქონლო ოპერაციის ვადის დარღვევისთვის, საგადასახადო სამართალდარღვევის კუთხით, ჯარიმების ეტაპობრივი შემცირება.

რა იყო 2016 წელს გამოვლენილი მნიშვნელოვანი სამართალდარღვევები:⁷⁵ საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფში“ განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ფსიქოტროპული ნივთიერების, LYRICA-ს, შემცველი მედიკამენტის გადატანის მცდელობა; საბაჟო გამშვებ პუნქტ „ნინოწმინდაში“ განსაკუთრებით დიდი ოდენობის სიგარეტის შეტანის მცდელობა – 33 582 კოლოფი (671 640 ღერი); ექსპორტის სასაქონლო დეკლარაციით, საბაჟო გამშვებ პუნქტ „ყაზბეგის“ გავლით, დეკლარაციაში მითითებული საქონლის გარეშე გადაადგილება; საბაჟო გამშვებ პუნქტ „წითელი ხიდის“ კონტროლის ზონაში 178 კგ-მდე ნარკოტიკული საშუალება ჰეროინის შემოტანის მცდელობა; საბაჟო გამშვებ პუნქტ „წითელ ხიდზე“ რკინის კონსტრუქციაში მოწყობილ სპეციალურ სამალავში აღმოჩნდა სხვადასხვა სინჯისა და წონის ოქროს სხმულები, რომლის საბაჟო ღირებულებამ, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, 1 322 763 ლარი შეადგინა.

2016-2017 წლებში გამოვლინდა შემდეგი სამართალდარღვევები:

➤ საბაჟო გამშვებ პუნქტებში – „ნინოწმინდა“, „სარფი“, „ბათუმის აეროპორტი“, „სადახლო საავტომობილო“, ვალესა და წითელ ხიდზე –

⁷⁵ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის ანგარიში. გვ. 34;
http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=10180

აღმოჩენილ იქნა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები და სარფში არადეკლარირებული სიგარეტი;

➤ საბაჟო გამშვებ პუნქტებში – „სადახლო-საავტომობილო“ და „სარფი“ – აღმოჩნდა არადეკლარირებული სიგარეტის დიდი პარტია; არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები (საერთო წონა 80.09 გრ.საქონლის საბაჟო ღირებულებამ 8,444.74 ლარი შეადგინა.);

➤ საბაჟო გამშვებ პუნქტ „ყაზბეგში“ აღმოაჩინეს არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები;

➤ თბილისის აეროპორტში კი არადეკლარირებული მობილური ტელეფონები;

➤ დაფიქსირდა 19 996 ლარის საქონლის ელექტრონული ზედნადების გარეშე გადატანის მცდელობა და სხვ.

დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებულ იქნა კონკრეტული შედეგები და შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

ევროკავშირის საბაჟო კოდექსის დებულებები არ შეესაბამება ქართულ კანონმდებლობას, რაც გამოიხატება შემდეგში:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლის მე-8 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად, სასაქონლო კოდის განსაზღვრის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მოქმედების ვადაა 3 წელი, ხოლო ევროკავშირის საბაჟო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად 6 წელია;

- საქართველოს კანონმდებლობით, იმპორტის სასაქონლო რეჟიმისას საქონლის მიმართ არ გამოიყენება ე.წ. „სატარიფო კვოტები და „უმაღლესი სატარიფო განაკვეთები“, რაც გაწერილია ევროკავშირის საბაჟო კოდექსის მე-20 მუხლში;

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 49-ე მუხლის მიხედვით, ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შემდეგ საბაჟო დეკლარაცია უნდა გაფორმდეს 20 ან 45 დღეში, მაშინ, როდესაც ქართული კანონმდებლობით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დეკლარირებულ საქონელზე საბაჟო დეკლარაცია შესაძლოა გაფორმდეს სხვადასხვა ოფციების მიხედვით;

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 51-ე მუხლის მიხედვით, საქონლის დროებითი შენახვისას საბაჟო უწყებამ ეკონომიკურ ოპერატორს შეუძლია მოსთხოვოს გარანტია. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, გარანტია არ მოითხოვება;

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 65–66-ე მუხლების მიხედვით, საქონლის გაშვების შემდეგ არ შეიძლება დეკლარანტმა ცვლილება შეიტანოს დეკლარაციაში. ქართული კანონმდებლობით, აღნიშნული შეზღუდვა არ არსებობს;

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსის 99-ე მუხლის მიხედვით, ორი სახის საწყოები გამოიყოფა: „საჯარო საწყოები“, რომელიც შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საწყოების რეჟიმისას და „კერძო საწყოები“, რომელიც შეუძლია გამოიყენოს საწყოების მფლობელმა საწყოების რეჟიმისას. ქართული

კანონმდებლობით, აღნიშნული დაყოფა არ არსებობს და „საბაჟო საწყობი“ ნებისმიერი პირისთვის განისაზღვრება და ა.შ.

ჩვენი აზრით, აუცილებელია ევროკავშირის საბაჟო კოდექსში მოცემული პრინციპებისა და საბაჟო პროცედურების გათვალისწინებით, შეიქმნას ისეთივე იერარქიის სამართლებრივი აქტი, რომლითაც საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდება საბაჟო სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები და შეიქმნება რეგულირების სტაბილური ნორმატიული მექანიზმი – საქართველოს საბაჟო კოდექსი. ამავე დროს, აუცილებელია საბაჟო პროცედურების მარეგულირებელი ფუნდამენტური წესები და რეგულაციები დადგინდეს საკანონმდებლო აქტით და არა ქვენორმატიული აქტით. ამასთან, არ მოიპოვება იმ რიგი ტერმინების განმარტებები ქართულ კანონმდებლობაში, რომლებიც ასახულია ევროკავშირის საბაჟო კოდექსის მე-4 მუხლში – „საბაჟო გადაწყვეტილება“, „რისკი“, „რისკებზე დაფუძნებული მართვა“, „პროცედურის მფლობელი“, „გადაამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ“ (ზოგადად ტერმინები ასახულია საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლში). საქართველოს საბაჟო კოდექსის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია რიგი ტერმინების ერთად თავმოყრა. გასათვალისწინებელია, რომ საბაჟო სფეროს ტერმინები ასახულია სსკ-ის 207-ე მუხლში და, ამ კუთხით, შესაძლებელია გაფართოვდეს ტერმინთა ჩამონათვალი.

მიგვაჩნია, რომ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა საჭიროებს მეთოდოლოგიურ სრულყოფას. ფაქტია, რომ საგარეო სავაჭრო-სასაქონლო ოპერაციების ნაწილი აღურიცხავი რჩება, არასრულია სტატისტიკური აღრიცხვის არეალი, რის გამოც, რეგისტრირებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობა არ შეესაბამება რეალური ნაკადების სიდიდეს. ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საქსტატი საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას აწარმოებს გაეროს საერთაშორისო მეთოდოლოგიის შესაბამისად, საბაჟო სტატისტიკის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის ფონზე, როგორც ვნახეთ, თვალსაჩინოა სტატისტიკური აღრიცხვის ძირითადი პრობლემები, რომელთა დაძლევის წინაშეც დგას დღეს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახური. პრობლემები ზოგადად ვლინდება,

➤ როდესაც საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზებში არ ფიქსირდება საქონლის წარმოშობის ქვეყანა, არამედ აისახება მხოლოდ მოვაჭრე ქვეყანა;

➤ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში ველის - „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ – სისტემატურად შეუვსებლობისას;

➤ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში იმპორტირებულ ავტომობილებზე მიახლოებითი და არა საიმპორტო ღირებულების მიწერის საკითხშიც;

➤ იმპორტირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე შესაბამისი სასაქონლო კოდების არასწორად მინიჭებისას. ასევე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეექსპორტისას მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში რეგისტრაციისას, როდესაც არ ფიქსირდება ავტომანქანის ექსპორტირების თარიღი და საექსპორტო ღირებულება;

➤ გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის სრულყოფილად შევსების დროს: როდესაც არასრულად მიეთითება ქვეყნების, თერთმეტნიშნა დონეზე საქონლის კოდები და ღირებულება;

➤ საწყობიდან საწყობში გადატანის ოპერაციებისათვის რეჟიმის სწორად მინიჭების დროს;

➤ საბაჟო საწყობიდან რეექსპორტის რეჟიმით ტვირთების იმავე ქვეყანაში გატანის აღრიცხვისას, საიდანაც მოხდა შემოტანა;

➤ კანონმდებლობით სავალდებულოა, რომ დეკლარაციაში მიეთითოს საქონლის გამომგზავნი და საბოლოო დანიშნულების ქვეყანა, ზოგ დეკლარაციაში ეს ინფორმაცია არ არის დაფიქსირებული;

➤ საბაჟოზე აღრიცხვისას შესაძლებელია გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა გადამუშავების/რემონტის შემთხვევაში საქონლის დეკლარაციაში დაფიქსირებისასა და არასწორად მინიჭებული რეჟიმების დროს, რაც ექპორტ-იმპორტის სტატისტიკური აღრიცხვისას ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს. კერძოდ, რემონტის რეჟიმი ენიჭება როგორც გადასამუშავებლად განკუთვნილ, ისე სარემონტო საქონელს. მეთოდოლოგიის თანახმად, გადამუშავება აისახება საქონლით საგარეო ვაჭრობაში, ხოლო რემონტი წარმოადგენს მომსახურებით ვაჭრობის საგანს;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო მეთოდოლოგიურ სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის და გაეროს რეკომენდაციების შესრულების მიზნით, უნდა განიხილონ ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა, რათა სსიპ მომსახურების სააგენტომ შეძლოს სრული ინფორმაციის მოწოდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპორტ-იმპორტის შესახებ. მათ მიერ მოწოდებულ დროულ და სრულყოფილ ინფორმაციაზე

მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა უტყუარობა და მაღალი ხარისხი.

ასევე, გაეროს მოთხოვნების გათვალისწინებითა და რეკომენდაციების შესაბამისად, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია შეიცვალოს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია და მას დაემატოს FOB ფასები იმპორტისთვის. იმპორტი უნდა აღირიცხოს როგორც CIF, ისე FOB ფასში. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია საგადასახდლო ბალანსისთვისაც, ვინაიდან მასში იმპორტი აისახება FOB ფასებში.

გაეროს რეკომენდაციების შესრულება, პირველ რიგში, უზრუნველყოფს საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაქსიმალურ მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან, პარტნორი ქვეყნების მონაცემებთან ჩვენი ქვეყნის მონაცემების ურთიერთშესადარისობას, საგადასახდლო ბალანსისა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემისთვის სტატისტიკურ მონაცემთა წყაროების სრულყოფას, რაც, საბოლოო ჯამში, საგარეო ვაჭრობისა და, მთლიანად, საგარეო სექტორის სტატისტიკის ხარისხობრივი გაუმჯობესების მყარი გარანტი იქნება.

საბაჟო შემოსავლებისა (იმპორტის გადასახადი, აქციზის გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი და სხვა გადასახადები) და ექსპორტ-იმპორტის ცვლილების შესასწავლად ავაგეთ და გავიანგარიშეთ საბაჟო ინდექსები. კერძოდ, ინდივიდუალური ინდექსები იმპორტის გადასახადის მიმართ, დამატებული ღირებულების გადასახადის მიმართ, მთლიანი საბაჟო შემოსავლების მიმართ. ეს ინდექსები იმაზე მიუთითებს, რომ 2015 წლის საბაჟო შემოსავლები, 2014 წლის საბაჟო შემოსავლებთან შედარებით, შემცირდა იმპორტის გადასახადის მიმართ 27%-ით, აქციზის გადასახადის მიმართ გაიზარდა 9%-ით, დამატებული ღირებულების გადასახადის მიმართ – 40%-ით, ხოლო მთლიანად საშუალოდ გაიზარდა 26%-ით. აგრეგატული ინდექსების აგება ვერ შევძელით მთელი რიგი მიზეზების გამო. აგრეგატული ინდექსის აგების დროს გადავაწყდით პრობლემებს, რომლებიც ძირითადად ექსპორტ-იმპორტის მონაცემების საკმაოდ დიდ მოცულობასა და მრავალფეროვან ბაზას უკავშირდებოდა. პირველ რიგში, საჭირო იყო სასაქონლო კოდების მიხედვით ბაზის გაანალიზება. გასათვალისწინებელი იყო აგრეთვე გადასახადის განაკვეთებიც, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიხედვითაა დიფერენცირებული. ამიტომ გართულდა პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე აგრეგატული ინდექსის აგება. მის სანაცვლოდ ჩვენ ავაგეთ ექსპორტის საქონელბრუნვის ცვალებადი, სტრუქტურული და ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსები, რისთვისაც დავადგინეთ საექსპორტო

საქონლის სტრუქტურა საბაზისო და საანგარიშო წლებში წონის მიხედვით უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ხუთეულის – აზოტოვანი სასუქების, ნედლი ნავთობის, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ფეროშენადნობების, მინერალური და მტკნარი წყლების – მიხედვით. ავაგეთ: ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი, რომელიც ასახავს საექსპორტო საქონელბრუნვაზე ორივე ფაქტორის (სასაქონლო სტრუქტურისა და ფასების) ერთდროულ გავლენას; ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსი, რომელმაც გაზომა საექსპორტო საქონელბრუნვის ცვალებადობა მხოლოდ ფასების ცვალებადობის მიხედვით და სტრუქტურული ძვრების ინდექსი ხვედრითი წილის ცვალებადობის გავლენისათვის.

ამ ხუთი დასახელების საქონლის მიხედვით, 2015 წელს ბრუნვა შემცირდა შემცირდა 24%-ით (ინდექსი მივიღეთ 0.76), რაც გამოიწვია ფასების 21%-იანმა შემცირებამ, ხოლო სტრუქტურული ძვრების ინდექსი 4%-ით შემცირდა, რაც ნედლი ნავთობის, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების გარდა, დანარჩენი საქონლის ხვედრითი წილის შემცირების შედეგია. 2016 წელს კი ექსპორტის ბრუნვა გაიზარდა 2 %-ით, ცალკეულ საქონელზე ფასების შემცირებამ საანალიზო პერიოდში საშუალო ფასიც შეამცირა და სტრუქტურული ძვრების ინდექსი, რომელიც ზომავს საექსპორტო საქონელბრუნვის ცვალებადობაზე ცალკეული საქონლის ხვედრითი წილის ცვალებადობის გავლენას, მივიღეთ 1.15. აღნიშნული გამოწვეულია, აზოტოვანი სასუქებისა და ნედლი ნავთობის გარდა, დანარჩენი საქონლის ხვედრითი წილის გაზრდით.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2016 წლის მონაცემებით გაანგარიშებული ყველა ინდექსი აჭარბებს 2015 წლის მაჩვენებლებს. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ხუთეული რაოდენობრივად არ გაზრდილა, პირიქით, შემცირდა, ინდექსის მაჩვენებლები მაინც გაიზარდა, რაც, რეალურად, გამოწვეულია სწორედ იმ საქონლის ზრდით, რომლის ერთეულის ფასიც ყველაზე მაღალია (სპილენძის მადნები და კონცენტრატები).

ავაგეთ და გავიანგარიშეთ ვაჭრობის პირობების „მოდულიზირებული“ ინდექსი. უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობის პირობების ინდექსის აგება დღესაც გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. პირდაპირი ფორმით, ზემოთ აღნიშნული ფორმულის მიხედვით, ვაჭრობის პირობების ინდექსის გაანგარიშება ვერ ხერხდება. ამის მიზეზი ისაა, რომ ექსპორტის ფასების ინდექსი გაიანგარიშება

2014 წლიდან, ხოლო იმპორტის ფასების ინდექსი პირველად გაანგარიშდა და გამოქვეყნდა 2017 წელს (იანვარში). ამიტომ ვაჭრობის პირობების ინდექსის გასაანგარიშებლად, იმპორტის ფასების ინდექსის მაგივრად, გამოვიყენეთ CPI სამომხმარებლო ფასების ინდექსი იმპორტულ საქონელზე.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წელს, წინა საბაზისო 2014 წელთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი იმპორტულ საქონელზე 2,2%-ით გაიზარდა და 102,2% შეადგინა, ხოლო ექსპორტის ფასების ინდექსი 12,3%-ით გაიზარდა და 112,3%-ის დონეზე დაფიქსირდა. ამის გათვალისწინებით, ვაჭრობის პირობების ინდექსი მივიღეთ 109,9%. რადგან ვაჭრობის პირობების ინდექსი გვიჩვენებს საანგარიშო პერიოდის ვაჭრობის პირობების ცვლილებას საბაზისოსთან შედარებით, კოეფიციენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოეფიციენტის ერთზე მეტობის პირობებში საანგარიშო პერიოდში, 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, ვაჭრობის პირობები გაუმჯობესებულია. ხოლო 2016 წელს, წინა საბაზისო 2015 წელთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი იმპორტულ საქონელზე -1,4%-ით შემცირდა და 98,6% შეადგინა, ექსპორტის ფასების ინდექსი კი 2,0%-ით გაიზარდა და 102,0%-ის დონეზე დაფიქსირდა. ამის გათვალისწინებით, ვაჭრობის პირობების ინდექსი გამოვიდა **103,4%**. როგორც ვხედავთ, ინდექსი შემცირებულია, რაც გამოწვეულია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებითა და დოლარის კურსის ცვლილებით.

საბაჟო შემოსავლების რეტროსპექტრული ანალიზი დინამიკაში ავლენს სხვადასხვა გადასახადის არაერთგვაროვან ტენდენციებს, რაც გადასახადების სპეციფიკურობისა და საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით ერთგვაროვანი არაა. 2007-2015 წლებში შეინიშნება საბაჟო შემოსავლების სახით მობილიზებული თანხების განსხვავებული ტენდენცია. თუ 2007-2008 წლებში საკმაოდ მაღალი იყო საბაჟო შემოსავლების მოცულობა, 2009 წლიდან მისი სიდიდე იკლებს, მაგალითად, 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, დაფიქსირდა 10,5%-იანი კლება, ხოლო 2011 წელს 2010 წელთან შედარებით კლების ტემპი იყო 12,8%, 2012 და 2013 წელს კვლავ კლების ტემპი დაფიქსირდა, შესაბამისად, 8,4%-ისა და 7,2% დონეზე. 2014 წლიდან იწყება საბაჟო შემოსავლების მკვეთრი მატება. მარტო 2013 წელთან შედარებით, 56,1%-ით გაიზარდა საბაჟო შემოსავლების მოცულობა და 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, ზრდის ტემპმა 126,4% შეადგინა.

საბაჟო გადასახადების დინამიკა განსხვავებულია, რის გამოც ცალკეული გადასახადების მიხედვით, პერიოდების შესაბამისად, არაერთგვაროვანი ტენდენციები ვლინდება. განსხვავებულია ზრდისა და მატების ტემპები და, შესაბამისად, საბაჟო შემოსავლებშიც არათანაბრად იცვლებოდა თითოეულის პროცენტული წილის მაჩვენებლებიც, კერძოდ: აქციზის გადასახადიდან მიღებული შემოსავლები, მაგალითად, 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, 29%-ით გაიზარდა, 2009 წელს კი, წინა 2008 წელთან შედარებით, შემცირდა 17%-ით. 2010 წელს ისევ 20%-იანი მატების ტემპი დაფიქსირდა, 7,6%-იანი მატება შენარჩუნდა 2011 და 2012 წელსაც, როდესაც, წინა წელთან შედარებით, აქციზიდან მიღებული შემოსავლები 6%-ით გაიზარდა. ამრიგად, არაერთგვაროვანი ტენდენციები შეიცვალა აბსოლუტური ზრდის ტენდენციით. 2013 წელს მატების ტემპი გაიზარდა 14,6%-მდე, 2014 წელს 15,8%-იანი, ხოლო 2015 წელს 8,8% მატების ტემპი დაფიქსირდა. ყველაზე მეტად აქციზიდან მიღებული შემოსავლები გაიზარდა 2016 წელს, ამ დროს შემოსავლების მატების ტემპმა 36,3% შეადგინა.

რაც შეეხება დღგ-ს, აქ ვლინდება მკვეთრად განსხვავებული ტენდენციები ორი პერიოდის მიხედვით: 2008-2013 წლები და 2014 წლიდან დღემდე. საქმე ისაა, რომ 2014 წლამდე დღგ-დან მიღებული შემოსავლები სისტემატურად იკლებდა. მართალია, 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, დღგ-ს მოცულობა გაიზარდა 2,7%-ით, მაგრამ 2009 წელს, 2008 წელთან შედარებით, 7,8%-ით მოიკლო. იგივე ტენდენცია შენარჩუნდა 2010 წელსაც და კლების ტემპმა 6,9%-ი შეადგინა, ხოლო 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, კლებამ 22,4% იყო. 2012-2013 წლებში კიდევ გაგრძელდა კლების ტენდენცია და მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 15,7% და 21,6% შეადგინა. 2014 წლიდან იწყება დღგ-დან მიღებული შემოსავლების ზრდა. მარტო 2014 წელს გაორმაგდა შემოსავლების მოცულობა, ე.ი. დაფიქსირდა 100%-იანი მატების ტემპი. 2015 წელს 39,7%-ით გაუმჯობესდა აღნიშნული მაჩვენებელი. 2016 წელსაც, 2015 წელთან შედარებით, 43,9%-ით მეტი შემოსავალი შემოვიდა. საშუალოდ 2014-2016 წლებში დღგ-დან მიღებული შემოსავლები 12%-ით გაიზარდა.

არაერთგვაროვანია ასევე 2007-2016 წლებში იმპორტის გადასახადიდან (ყოფილი საბაჟო გადასახადი) მიღებული შემოსავლების მოცულობის ზრდისა და მატების ტემპები. თუ 2007 წლიდან 2010 წლამდე სისტემატურად მცირდებოდა იმპორტის გადასახადის მოცულობა, როდესაც ჯაჭვური ზრდის ტემპები, შესაბამისად, შეადგენდა 96,6%-სა (კლება 3,4%) და 69,2% (კლება 30,8%). 2010 წელს იმპორტის გადასახადების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 96%-ით

